

40524
K 2

Handwritten text in a cursive script, likely Georgian, at the top of the document.



Main body of handwritten text in a cursive script, likely Georgian, covering the upper and middle portions of the document.

Handwritten text in a cursive script, likely Georgian, located in the lower-left quadrant of the document.

წ. ასათიანი

მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის

„მეცნიერება“
1973

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XXXII

მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის
(საქართველოს აღწერილობა შედგენილი ჰაველე ალენაოელის მიერ)



1973

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ
О ГРУЗИИ

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ГРУЗИИ XVII ВЕКА

(описание Грузии, составленное Павлом
Алеппским)

*Подготовка к изданию, исследование и комментарии
Н. Ш. Асатиани*

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1973

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს უმსახავ არსებულ უცხოური წყაროების კომისია


რ.ა. 2015-9398

მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის

(საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე
ალექსოელის მიერ)

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები
დაურთო ნ. ა ს ა თ ი ა ნ შ ა

K 40524
2



„მეცნიერება“
თბილისი
1973

წარმოდგენილ ნაშრომში ქვეყნდება მე-17 საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს აღწერილობა, რომელიც შეადგინა ანტონიუს პატრიარქ მაკარიოსის შვილმა პავლე ალბოელმა. აღწერილობა შეიცავს საყურადღებო ცნობებს ქართული სამეფო-სამთავროების გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მასში დაცულია უფრო ადრეული ვითარების ამსახველი ზოგიერთი ცნობაც (მაგ., დავით აღმაშენებლის რუსეთთან დაკავშირების შესახებ და სხვ.). შესავალში გამოკვლეულია მღვდელმთავარი მამა-შვილის საქართველოში მოგზაურობა, აღწერილობის შედგენის გარემოება, აგრეთვე მე-17 საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი ფაქტი.

სარედაქციო კოლეგია:

ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი,

გ. წ ე რ ე თ ე ლ ი

(მთ. რედაქტორი), ს. ჯ ი ქ ი ა, რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა

რუსული წყაროების სერიის რედაქტორი ი. ც ი ნ ც ა ძ ე



შესავალი

მე-17 საუკუნის საქართველოს საისტორიო წყაროებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღწერილობითი ხასიათის ძეგლებს, რომლებსაც ადგენდნენ საქართველოში მყოფი უცხოელები. ამ აღწერილობათა უმრავლესობა დასავლეთ ევროპელ და რუს ავტორებს ეკუთვნით¹. უცხოელის თვალთ დანახული სინამდვილე ბევრ ისეთ ფაქტსა და ნიუანსს შეიცავს, რაც ხშირად ადგილობრივ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში არ ასახულა; ამიტომ ასეთი აღწერილობანი მკვლევართ ეხმარებათ უფრო სრულად წარმოადგინონ ამა თუ იმ ეპოქის ისტორიული სურათი. ამას გარდა, ეს აღწერილობანი გარკვეული მიზნით (პოლიტიკურ-დიპლომატიური, სავაჭრო-ეკონომიური, გეოგრაფიული და სხვა) იყვნენ შედგენილნი და მათში აისახებოდა საქართველოს პოლიტიკური პარტნიორების დამოკიდებულება საქართველოსადმი. ეს ძეგლები საინტერესო მასალას შეიცავენ როგორც საქართველოს საშინაო სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების, ისე საგარეო ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად.

მე-17 საუკუნის საქართველოს შესახებ დღეისათვის ცნობილ აღწერილობებს ემატება კიდევ ერთი საინტერესო ძეგლი, რომელიც აღმოჩნდა მოსკოვის ძველ საბუთთა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ЦГАДА), საილუმლო საქმეთა საგანგიოს (Приказ тайных дел) ფონდში. საქართველოს ეს აღწერილობა შედგენილია ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის შვილის პავლე ალუპოელის მიერ. პავლე ალუპოელი თავის მამასთან ერთად საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ ჩავიდა მოსკოვში ნიკონის გასამართლებაში მონაწილეობის მისაღებად. მოსკოვში ამ მღვდელმთავრებისათვის რუსეთის პოლიტიკის შესწავლას მიუძღრავთ თხოვნით შეედგინათ საქართველოს აღწერილობა. ეს საქმე არქიდიაკონ პავლე ალუპოელს შეუსრულებია და აღწერილობა წარუდგენია საილუმლო საქმეთა საგანგიოში.

¹ М. А. Полиевктов. Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935 г.

პავლე ალექსოელი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად 'ცნობილი ავტორია. გარდა ჩვენი აღწერილობისა, მას ეკუთვნის არაბულ ენაზე შესრულებული საკმაოდ გახმაურებული თხზულება მისი და მისი მამის, მაკარიოს ანტიოქელის რუსეთში პირველი (1654 — 1656) მოგზაურობის შესახებ. ეს თხზულება უმნიშვნელოვანესი წყაროა მე-17 საუკუნის 50-ანი წლების რუსეთის, უკრაინის, აგრეთვე მოლდავეთ-ვლახეთის ისტორიის შესასწავლად. მამა-შვილი უშუალო მომწერენი და მონაწილენი იყვნენ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა, როგორც იყო უკრაინელი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობა ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით, უკრაინის შეერთება რუსეთთან, რუსეთ-პოლონეთის ომის (1654—1656), ნიკონის საეკლესიო რეფორმა და სხვა. არანაკლები მნიშვნელობისაა ეს თხზულება ამავე პერიოდის მოლდავეთ-ვლახეთის ისტორიის შესასწავლად.

პავლე ალექსოელის აღნიშნული თხზულება პირველად მეცნიერებისთვის ცნობილი გახდა გასული საუკუნის 20-ან წლებში და მას შემდეგ იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა². 1824 წ. ინგლისელებმა ალექსოში შეიძინეს ამ თხზულების 1765 წელს გადაწერილი პირი. 1829—1836 წლებში გამოქვეყნდა მისი ინგლისური თარგმანი³, ხოლო 1836 წელს მისგან რუსულადაც ითარგმნა⁴. თანდათან გამოქვეყნდა მრავალი სტატია და თარგმანი როგორც რუსულ, ასევე რუმინულ ენებზე⁵.

² პავლე ალექსოელის თხზულების შესწავლისა და თარგმან-გამოქვეყნების ისტორია, აგრეთვე, ამ თხზულების შეფასება მოცემული აქვს აკად. ი. კრაჩკოვსკის თავის შრომაში «Описание путешествия Макария антиохийского как памятник арабской географической литературы и как источник для истории России в XVII веке», см. Советское востоковедение, т. VI, 1949; მისივე, «Арабская географическая литература», Н. Ю. Крачковский. Избранные сочинения, т. IV, ред. Г. В. Церетели, М.-Л., 1957.

³ Travels of Macarius, patriarch of Antioch written by his attendant archdeacon Paul of Aleppo. in Arabic transl. by F. C. Belfour, I—II. London, 1829—1836.

⁴ Савельев П. Странствование арабского патриарха Макария из Алеппо в Москву. Библиотека для чтения на 1836 год, XV, № 3, გვ. 1—2; № 4, გვ. 60—112.

⁵ პავლე ალექსოელის შესახებ არსებული ლიტერატურის ნაწილობრივი ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა მოცემულია პ. საველევის დასახელებულ შრომაში. იხ. აგრეთვე А. Е. Крымский, Материалы для выяснения церковной и литературной деятельности антиохийского патриарха Макария XVII в. и описателя его путешествия на Русь — Рихдат Макарийус архидиакона Павла Алеппского.

XIX საუკუნის 90-ან წლებში პროფ. გ. ა. მურკოსმა გამოაქვეყნა ჭერ ცალკეული წერილები და ცალკეული ადგილების თარგმანები, ხოლო შემდეგ პავლე ალეპოელის მოგზაურობის აღწერილობის ახალი, მთლიანი თარგმანი 5 ტომად, სხვადასხვა დამატებითი მასალებითურთ⁶. ამ თარგმანის ბეჭდვის დროს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მიკვლეულ იქნა მე-17 საუკუნის ხელნაწერი, რომლის ძირითადი ნაწილი თვითონ პავლე ალეპოელის ხელითაა დაწერილი.

პავლე ალეპოელის თხზულების შესწავლა-გამოყენება ინტენსიურად გრძელდებოდა შემდეგ ხანებშიც. რუს მეცნიერებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ამ აღწერილობას რუმინელი მეცნიერები. მკვლევარ ა. ი. იაციმირსკის შენიშვნით, „ძნელად თუ იპოვით რომელიმე სერიოზულ გამოკვლევას რუმინეთის ისტორიის შესახებ, სადაც პავლე ალეპოელის თხზულება არ იყოს მეტ-ნაკლებად გამოყენებული“⁷. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუმინელი მეცნიერის ბაზილ რადუს შრომა, რომელმაც ხელი მოჰკიდა პავლე ალეპოელის თხზულების ტექსტების კრიტიკულ შესწავლას და თარგმნას. მან თავის ახალ გამოცემას საფუძვლად დაუდო პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მე-17 საუკუნის ზემოთ აღნიშნული ხელნაწერი.

1927 წელს გამოქვეყნდა მისი შრომის პირველი ნაწილი⁸, სადაც კრიტიკულად შესწავლილია აღნიშნული ხელნაწერები, ხოლო 1930 წელს დაიწყო პავლე ალეპოელის თხზულების არაბული

გო. Извлечения из докладов в Восточной комиссии Московского археологического общества, 1909—1912. Труды по востоковедению, изд. Лазаревским инст. вост. языков. XXXVIII, М., 1913; Н. Ю. Крачковский, Избран. соч., т. IV, гл. 700—712.

⁶ Муркос Г. А. Путешествие антиохийского патриарха Макария в Россию в половине XVII века, описание его сыном, архидиаконом Павлом Алеппским, I—V. Перевод с арабского. Чтения Общества истории и древностей, М., 1896—1900; მისივე, Арабская рукопись путешествия антиохийского патриарха Макария в Россию в половине XVII века. Описание рукописи, принадлежащей Библиотеке Московского Главного архива Мин. ин. дел. М., 1899.

⁷ Яцимирский А. И., Рец. на кн.: Путешествие антиохийского патриарха Макария в Россию в пол. XVII в. Перевод с арабского Г. Муркоса, I—V, М. 1896—1900. Живая старина, X, вып. IV, С. П. б, 1900, гл. 584—589.

⁸ Radu B., Voyage du patriarche Macaire, étude préliminaire. Paris, 1927.

ტექსტისა და ფრანგული თარგმანის გამოქვეყნება⁹. 1933 და 1949 წლებში გამოქვეყნდა კიდევ ორი ნაკვეთი¹⁰, უკვე ბაზილ რადუს გარდაცვალების შემდეგ.

ამრჩვად, როგორც ვხედავთ, პავლე ალექსოელისა და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოკვლევები არსებობს, მკვლევართ ხელთა აქვთ მისი თხზულების არა ერთი გამოცემა, მაგრამ ამის მიუხედავად, როგორც სამართლიანად შენიშნავდა აკად. ი. კრაჩკოვსკი, პავლე ალექსოელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის მდგომარეობა ჯერ კიდევ ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. მაკარიოს ანტიოქელი და პავლე ალექსოელი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენდნენ და თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ თავიანთი დროის ისტორიულ მოვლენებში, მათი მოღვაწეობა კი ასევე სათანადოდ შესწავლილი არ არის. პავლე ალექსოელი და მაკარიოს ანტიოქელი საქართველოში იმყოფებოდნენ 1664—1666 წლებში, რუსეთში მეორედ წასვლის წინ. მათ გარკვეული როლი ითამაშეს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიაში და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ორივემ, მამამაც და შვილმაც დაგვიტოვა XVII საუკუნის 60-ანი წლების საქართველოს აღწერილობა¹¹.

პავლე ალექსოელის „საქართველოს აღწერილობა“ უკანასკნელ დრომდე სამეცნიერო წრეებისათვის უცნობი იყო და ჩვენ მიერ იქნა მიკვლეული მოსკოვის ძველ საბუთთა ცენტრალურ სახელმწი-

⁹ Voyage du patriarche Macaire d'Antioche, Texte arabe et traduction française par Basil Radu. Patrologia Orientalis, XXII, 1, Paris, 1930.

¹⁰ Patrologia Orientalis, XXV, 1933; XXVI, 5, 1949.

¹¹ მაკარიოს ანტიოქელის მიერ არაბულად შედგენილი საქართველოს აღწერილობა ფრანგული თარგმანითურთ 1905 წელს გამოსცა ო. ლებედევამ (Histoire de la conversion des Géorgiens au christianisme par le patriarche Macaire d'Antioche. Traduction de l'Arabe par Mme Olga de Lébédew, Roma, 1905); 1905 წელსვე პ. ყუზემ გამოსცა ამ თხზულების რუსული თარგმანი არაბულ ტექსტთან ერთად (Ж у з е П., Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария, Казань, 1905). ორივე გამოცემას საფუძვლად ჰქონდა ვატკიანის ბიბლიოთეკის 1756 წ. ხელნაწერი. აღნიშნული გამოცემები მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება და დღეისათვის უკვე მომეღებულად უნდა ჩაითვალოს, სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში¹დაცულია ამ აღწერილობის თვით ავტორისეული ავტოგრაფი (იხ. Каталог арабских рукописей ИНА, вып. 2, М., 1961, გვ. 59). ფრაგმენტი ამ ხელნაწერიდან გამოქვეყნებულია აკად. გ. წერეთლის მიერ შედგენილ ქრესტომათიაში (იხ. გ. წერეთლი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949; ხელნაწერის შესახებ იხ. წინასიტყვაობა, გვ. 8—9).

ფო არქივში. იგი დაცულია ე. წ. საიდუმლო საქმეთა საგანგოს ფონდში (ფონდი № 27), 542 ნომრით. ჩვენ შევისწავლეთ აღნიშნული ფონდის სხვა საქმეებიც, სადაც მოიპოვება მასალები ნიკონის გასამართლებაში მონაწილეობის მისაღებად პატრიარქ მაკარიოსისა და მისი თანმხლები პირების მოსკოვში ჩასვლის შესახებ¹²; შევისწავლეთ ზოგიერთი დოკუმენტიც, რომელიც მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული¹³. აღნიშნული დოკუმენტების ნაწილი გამოქვეყნებულია ჯერ კიდევ რევოლუციამდელ გამოცემებში, ძირითადად ნიკონის მოღვაწეობის შესახებ არსებულ გამოკვლევებში¹⁴. შესწავლილი მასალა საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ მამა-შვილის საქართველოში ყოფნა-მოგზაურობის ფაქტები და ზოგიერთი ახალი მომენტიც რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან. ახალი ფაქტებით ივსება პავლე ალექსოვლის ბიოგრაფიაც.

§

პავლე ალექსოვლი, წარმოშობით სირიელი არაბი (მისი არაბული სახელია ბულოს იბნ აზ-ზა'იმ ალ-ჰალაბი), დაიბადა დაახლოებით 1627 წ. ქ. ალექოში. დედა ადრე გარდაეცვალა და მისი აღზარდა მამამისმა — მაკარიოსმა იყისრა. მაკარიოსი (მისი არაბული სახელია მაკარიუს იბნ-აზ-ზა'იმ ალ-ჰალაბი ალ-ანთაქი) ჯერ არჩეული იყო ქ. ალექოსის მიტროპოლიტად, ხოლო 12 წლის შემდეგ, 1647 წ. 12 დეკემბერს იგი აურჩევიათ ანტიოქიის პატრიარქად, რომლის რუზიდენციაც მაშინ გადატანილი იყო ქ. დამასკოში. ანტიოქიის საპატრიარქო, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა საპატრიარქოები, თურქეთის ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული და მეტად დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა. მაკარიოსს დიდი ვალი დასდებია, რომელიც ყოველწლიურად იზრდებოდა მაღალი პროცენტული გადასახადის გამო. ამ ვალის გასასტუმრებელი სახსრების შესაგროვებლად მაკარიოსი იძულებული იყო არაერთხელ ემოგ-

¹² ЦГАДА, ф. 27, д. №№ 140, 205, 207, 208, 217, 219, 227, 555, 560.

¹³ მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ყოფ. სინოდის საბუთთა ფონდი, საბ. №№ 2296, 2297, 2298.

¹⁴ Н. Т и б е н н е т, Историческое исследование дела патриарха Никона, ч. I—II, С. Пб, 1884; А. А. Д м и т р и е в с к и й, Приезд в Астрахань восточных патриархов Пайфия Александрийского и Макария Антиохийского и связанное с ним учреждение здесь митрополии, Труды Киевской Духовной Академии, 1904; кн. III.

ზაურა ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში და საქართველოშიც. ამ მოგზაურობის დროს მას განუყრელად თან ახლდა მისი ვაჟი პავლე, რომელიც 1648 წლიდან პატრიარქის არქიდიაკონად იყო ხელდასმული.

პირველად მამა და შვილი საკალმასოდ მოსკოვისაკენ ვაემართნენ. 1654 წელს მათ გზად გაიარეს ვლახეთ-მოლდავეთი, უკრაინა, ევროპული რუსეთის ნაწილი და 1655 წ. 2 თებერვალს ჩავიდნენ მოსკოვში. მოსკოვში მათი ყოფნა დამთხვავა ნიკონის საეკლესიო რეფორმების გატარების პერიოდს და ამდენად მამა-შვილი ამ რეფორმებთან დაკავშირებული ამბების თანადამხდური და მონაწილენი იყვნენ. მაკარიოს ანტიოქელი, რომელიც აღმოსავლური ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული წარმომადგენელი იყო, ყოველმხრივ ეთანხმებოდა ამ რეფორმების გატარებას და თვითონაც ქმედით მონაწილეობას იღებდა მათ განხორციელებაში, მით უმეტეს, რომ ამ რეფორმებისადმი მხარდაჭერით იგი ვარაუდობდა უხვი მოწყალების მიღებას მოსკოვის მეფისაგან, ამას გარდა მათი ეკლესიების დაახლოებაც უსათუოდ მის მიზნებს ეთანხმებოდა.

ანტიოქიის პატრიარქმა დიდი სამსახური გაუწია ნიკონს თავისი საჯარო გამოსვლებითა და ავტორიტეტით¹⁵. მეფე ალექსი მიხეილის-ძემ სათანადოდ დაუფასა პატრიარქ მაკარიოსს გაწეული სამსახური და დიდად დასაჩუქრებული გამოისტუმრა უკან.

პავლე ალეპოელმა დაწვრილებით აღწერა რუსეთში თავიანთი პირველი მოგზაურობა. როგორც აღვნიშნეთ, ეს თხზულება ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა მე-17 საუკუნის რუსეთის, უკრაინის და მოლდავეთ-ვლახეთის ისტორიის შესასწავლად. პავლე ალეპოელს თავის თხზულებაში შეჰქონდა ყველაფერი, რასაც კი ნახულობდა და რის მოწმეც თვითონ იყო თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს. იგი ყურადღებიან დამკვირვებლად ჩანს. პავლე ალეპოელის აღმწერლობითი უნარის შესახებ მისი თხზულების რუსულ ენაზე მთარგმნელი გ. მურკოსი შემდეგს შენიშნავს: «Павел Алеппский в своих записках касается всего, что может видеть и слышать во время своего продолжительного путешествия: описывает страну, нравы и обычаи жителей, селения и города, замечательные здания, по преимуществу церк-

¹⁵ Н. Ф. Каптерев, Патриарх Никон и царь Алексей Михайлович, т. I, Сергеев Посад, 1909, гл. 152—162, 179, 205 და სხვ.

ში ი. მონასტერი, торжественные служения» და სხე¹⁶. რუსულ ისტორიოგრაფიაში პავლე ალეპოელის თხზულება ფართოდ არის გამოყენებული, როგორც ერთ-ერთი უძვირფასესი პირველწყარო. მისი თხზულების ღირსებას ზრდიდა შემდეგი გარემოებაც. ცნობილია, რომ რუსეთის მმართველი წრეები უცხოელებს არ აძლევდნენ საშუალებას გასცნობოდნენ რუსეთის საშინაო ცხოვრებას, ამიტომ ევროპელ ავტორთა ცნობები ამ პერიოდის რუსეთის შესახებ სისრულეს მოკლებული და ზედაპირული ხასიათისაა. პატრიარქ მაკარიოსსა და პავლე ალეპოელს კი სრული თავისუფლება ჰქონდათ მოსკოვში თუ სხვაგან მიმოსვლისა, მათთვის საინტერესო მოვლენებისადმი დაკვირვებისა და სხვა. ისე რომ პავლე მაკარიოსის-ძის თხზულება ბევრი ისეთი ცნობის შემცველია, რასაც ევროპელი ავტორების აღწერილობებში ვერ ვხვდებით. იგივე გ. მურკოსი პავლე ალეპოელის თხზულების შესახებ შენიშნავს, რომ «По полноте и разнообразию содержания — это один из самых лучших и ценных письменных памятников о России середины XVII века и во многих отношениях превосходит записки тогдашних западноевропейских путешественников. Последние являлись в Россию по большей части в качестве послов на короткое время и по необходимости ограничивали свои наблюдения одною внешней стороной гражданского быта».

საერთო აღიარებით პავლე ალეპოელი სანდო და კეთილსინდისიერი ავტორია. ეს გარემოება ჩვენ გვაინტერესებს პავლე ალეპოელის, როგორც საქართველოს აღწერილობის ავტორის დახასიათებისათვის.

§

საქართველოში პავლე ალეპოელისა და მისი მამის მოგზაურობა, როგორც ზემოთაც მივუთითებდით, დაემთხვა ნიკონის გასამართლების ამბავს.

მე-17 საუკუნის 50-ან წლებში პატრიარქ ნიკონის შიერ გატარებული საეკლესიო რეფორმა მიზნად ისახავდა რუსეთის ეკლესიაში ერთიანი წესების დანერგვას და მათ ვასწორებას ბერძნული საეკლესიო წესების მიხედვით. ბერძნული საეკლესიო წეს-

¹⁶ Г. Муркос. Путешествие антиохийского патриарха..., предисловие переводчика, Русское обозрение, т. 37, № 2, 1896., стр. 706.

სები კი მართლმადიდებლური ორთოდოქსალობის ნიმუშად ითვლებოდა. ასეთი ღონისძიებების გატარება საეკლესიო სფეროში სავსებით შეესაბამებოდა რომანოვების თვითმპყრობელობის ინტერესებს. ჯერ ერთი, აღნიშნული რეფორმა ხელს უწყობდა რუსეთის ეკლესიის ცენტრალიზაციას, რაც აუცილებელი იყო რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის და სეორე მხრით, ხელს შეუწყობდა რუსეთის ეკლესიის დაახლოებას ბერძნულ და აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთან, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აღმოსავლეთის ასპარეზზე რუსეთის მოქმედების სახელმძღვანელო პოლიტიკის წარმატებისათვის, პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა მართლმადიდებლურ სამყაროში რუსეთის ჰეგემონობის მოპოვებას („მოსკოვი მესამე რომია“).

მეფე ალექსი მიხეილის-ძე ყოველმხრივ უჭერდა მხარს ამ რეფორმების გატარებას, მაგრამ წარმატებებმა ამ საქმეში მეტად გაზარდა პატრიარქ ნიკონის ავტორიტეტი და ძალაუფლება და იგი უკვე მეფისადმი მორჩილებასაც თაკილობდა. პატრიარქი ნიკონი საჯაროდ ატარებდა „დიდი ხელმწიფის“ ტიტულს და ყოველმხრივ ცდილობდა ხაზი გაესვა თავისი ხელისუფლების უპირატესობისათვის სამეფო ხელისუფლებასთან შედარებით. იგი ავითარებდა თეორიას— „ЯКО СВЯЩЕНСТВО ЦАРСТВА ПРЕДЛОЕ ЕСТЬ“. ამ ნიდავზე მეფესა და პატრიარქ ნიკონს შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. 1660 წელს საეკლესიო კრებაზე მეფე ალექსი მიხეილის-ძემ დასვა პატრიარქ ნიკონის გადაყენებისა და ახალი პატრიარქის არჩევის საკითხი, მაგრამ გავლენიანი საეკლესიო წრეების მხრივ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. უკრაინელი სწავლული ბერები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის პატრიარქის გასამართლება შეეძლოთ მხოლოდ მსოფლიო პატრიარქებს. მეფე ალექსი მიხეილის-ძე იძულებული გახდა მოეწვია ეს მსოფლიო პატრიარქები და ნიკონის საკითხის განხილვა კიდევ რამდენიმე წლით გადაედო.

მე-17 საუკუნისათვის მართლმადიდებლური ეკლესიის მსოფლიო პატრიარქებად ითვლებოდნენ კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის პატრიარქები. მათ მოსაწვევად მოსკოვიდან სპეციალური მოციქული — ბერძენი იეროდიაკონი მელეტი გაიგზავნა. მელეტიმ პატრიარქებთან მეფე ალექსი მიხეილის-ძის წერილები წაიღო. ეს ხდება 1663 წლის დასაწყისში. მელეტი თავდაპირველად კონსტანტინოპოლში ჩავიდა და პატრიარქს გადასცა რუსეთის მეფის წერილები.

კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მეფე ალექსი მიხეილის-ძის წერილების მიღებისთანავე სასწრაფოდ მოიწვია ადგილობრივ მღვდელმთავართა კრება. კრებას დაესწრო იქ მყოფი იერუსალიმის პატრიარქი ნექტარიც. კრებამ მიიღო დადგენილება წერილობითი პასუხი გაეგზავნათ რუსეთის მეფისათვის. კრების მიერ შემუშავებული ტექსტი კითხვა-პასუხის ფორმით იყო შედგენილი. დასმული იყო კითხვები თუ რა კანონიერი უფლებები უნდა ჰქონოდა პატრიარქს და მათზე გაცემული პასუხების სახით გადმოცემული იყო ამ კრების მონაწილე მღვდელმთავართა შეხედულებანი ამ საკითხზე. პასუხებში გატარებული იყო აზრი, რომ პატრიარქი უნდა ემორჩილებოდეს მეფეს და მისი ნების მიხედვით უნდა მოქმედებდეს. აღნიშნული დადგენილების ტექსტები ხელმოსაწერად გადაეგზავნათ ალექსანდრიის პატრიარქ პაისიოსს ეგვიპტეში და ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსს სირიაში (იერუსალიმის პატრიარქი ნექტარი, როგორც აღვნიშნეთ, კრებას ესწრებოდა)¹⁷.

1664 წლის 30 აპრილს იეროდიაკონი მელეტი მეფე ალექსი მიხეილის-ძესთან გამოცხადდა და წარუდგინა აღნიშნული დადგენილება, რომელსაც ხელს აწერდა 20 მღვდელმთავარი და ოთხივე პატრიარქი. მაგრამ ეს დოკუმენტი არ გამოდგა საკმარისი ნიკონის მომხრეთა წინააღმდეგობისა და ნიკონის ავტორიტეტის დასაძლევად. აუცილებელი იყო მოსკოვში როგორმე ჩამოეყვანათ თვითონ პატრიარქები.

აღმოსავლეთის პატრიარქებთან გაიგზავნა ახალი ელჩობა, რომელშიც მელეტის გარდა შეიყვანეს ბერძენი დიაკონი სტეფანე იურევი. მათ მეთვალყურედ დაინიშნა მეფის საიდუმლო საქმეთა საგანგოს პოლიაჩი პორფირი ოლოფენიკოვი. აღნიშნულმა ელჩობამ მხოლოდ კონსტანტინოპოლამდე მიაღწია. მათ გზაზე სოფ. არვანიტოხორში (რაკოვიცის მახლობლად) ნახეს იქ მყოფი იერუსალიმის პატრიარქი ნექტარი¹⁸ და გადასცეს მეფის მიწვევა მოსკოვში ჩასვლაზე. პატრიარქმა თანხმობა განაცხადა და ელჩებს დააბარა, რომ იგი რუსეთში გამოემგზავრებოდა აღდგომის შემდეგ.

¹⁷ Н. Г и б е н е т , Историческое исследование дела патриарх Никона. т. II, С-Пб., 1884, стр. 92—93.

¹⁸ ეს ის პატრიარქი ნექტარია, რომელმაც 1666 წ. კონსტანტინოპოლის ბაზარზე ტყვეობიდან გამოისყიდა ქართველი ტყვე ყმაწვილი. რომელიც შემდეგში — ანთიმოზ ივერიელის სახელით ცნობილი მოღვაწე გახდა. შ. კ უ რ დ ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი , ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 20.

იგი სხვათა შორის რუსეთში წამოსვლას აპირებდა საქართველოზე გავლით¹⁹.

იერუსალიმელმა პატრიარქმა თავისი ეს აღთქმა ვერ შეასრულა, ასევე ვერც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა შესძლო გართულეული საერთაშორისო ვითარების გამო რუსეთში გამოგზავრება. კონსტანტინოპოლიდან ელჩობის დანარჩენი წევრები უკან დაბრუნდნენ, ხოლო მელეტი ალექსანდრიაში გაემგზავრა.

მეფე ალექსი მიხეილის-ძის სიგელებისა და მიწვევის მიღების შემდეგ ალექსანდრიის პატრიარქმა პაისიოსმა მოსკოვში წასვლაზე, თახხმობა განაცხადა და შეუდგა სამზადისს რუსეთში გასამგზავრებლად. ამასობაში მელეტი ჩავიდა სინას მთის სავანეში და აქაური არქიეპისკოპოსი ანანიაც დაითანხმა მოსკოვში გამოგზავრებაზე. მაგრამ მხოლოდ ერთი პატრიარქის, ან მასთან ერთად სინას მთის არქიეპისკოპოსის ჩაყვანა საქმეს ვერ უშველიდა. საქირო იყო ყოველი საშუალებით მეოთხე პატრიარქის მაკარიოსის დათანხმება რუსეთში გამგზავრებაზე, ამიტომ სამზადისის დამთავრების შემდეგ სამივენი ეგვიპტიდან ჩამოდიან დამასკოში, სადაც იმჯერად ანტიოქიის პატრიარქის რეზიდენცია იყო გადმოტანილი და იმედოვნებდნენ მაკარიოსის აქ ნახვას. ანტიოქიის პატრიარქი დამასკოში არ დახვდათ. მათ შეიტყვეს, რომ მაკარიოსი საქართველოში იმყოფებოდა. მელეტი და მისი თანმხლები პირები საქართველოსაკენ გამოემართნენ. მათ გამოიარეს ერზერუმი, ყარსი და 1665 წლის 1 ოქტომბერს ჩამოვიდნენ თბილისში²⁰.

მელეტის საქართველოში ჩამოსვლა და აქ მისი საქმიანობა ვრცლად არის აღწერილი მეფე ალექსი მიხეილის-ძისადმი მის მიერ 1665 წლის 30 ნოემბერს გაგზავნილ წერილში, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვაქვეყნებთ.

საქართველოში პაისიოს ალექსანდრიელისა და სინას მთის არქიეპისკოპოსის ჩამოსვლა აღნიშნულია ქართულ კინკლოსურ მინაწერებშიც:

„1665—აქა მობრძანდა ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოს და სინის მთავარებისკოპოსი ანანი^ა“.

¹⁹ Н. Гибенет; დასახ. ნაშრ., გვ. 166.

²⁰ იქვე, გვ. 274—275.

²¹ მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო. ჯ. თღეშელაშვილი, თბ., 1968, გვ. 42.

„(1665) წელს მოვიდა ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოს და სინის მთავარეპისკოპოზი ანანია სეკდენბერსა“²².

როგორც ვხედავთ, საქართველოში პაისიოსი, ანანია, მელეტი და მათი თანმხლები პირები იმისათვის ჩამოვიდნენ, რომ აქ შეხვედროდნენ მაკარიოსს და იგი დაეყოლიებინათ რუსეთში გამგზავრებაზე. ამრიგად, არ არის სწორი მოსაზრება, რომ მაკარიოსს საქართველოზე მხოლოდ რუსეთში მიმავალს გაეელოს გზად²³. მაკარიოს ანტიოქელი საქართველოში აღრევე იყო ჩამოსული შესაწირავეების შესაგროვებლად და მხოლოდ აქ მიიღო მიწვევა რუსეთში წასვლის შესახებ. მელეტი თავისი პირველი მოციქულობის დროს ანტიოქიაში არ ჩასულა და მას მაშინ პატრიარქი მაკარიოსისათვის არც რუსეთის მეფის სიგელი და მიწვევა გადაუტოვა.

თბილისში ჩამოსულმა მელეტიმ შეიტყო, რომ პატრიარქი მაკარიოსი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. მან დააპირა დაუყოვნებლივ გამგზავრება იმერეთში მაკარიოსთან შესახვედრად, მაგრამ ქართლის მეფე შაჰ-ნავაზმა, მას შემდეგ რაც გაიგო, რომ მაკარიოსი რუსეთში უნდა წასულიყო, მელეტი აღარ გაუშვა იმერეთში. მან თვითონ იკისრა მაკარიოსის ჩამოყვანა და თავისი შიკრიკი გაგზავნა პატრიარქთან. შიკრიკმა წაიღო მელეტისა და პაისიოსის წერილებიც. პაისიოსი ატყობინებდა მაკარიოსს, რომ მისი ნახვა სურდა და ელოდებოდა თბილისში. მაკარიოსს წერილი გაუგზავნა აგრეთვე ქართლის კათალიკოსმა დომენტიმ. მალე მოვიდა პატრიარქის პასუხი, რომელშიც მაკარიოსი იტყობინებოდა, რომ 10 დღის შემდეგ იქნებოდა თბილისში, მაგრამ გავიდა 20 დღეზე მეტი და მაკარიოსი მაინც არ ჩანდა. ბოლოს მელეტი მაინც გამგზავრა მაკარიოსთან და 8 დღის შემდეგ პატრიარქსა და მის ამაღლას შეხვდა ქართლისა და იმერეთის საზღვართან. აქ მელეტიმ გადასცა მაკარიოსს რუსეთის მეფის სიგელი და მიწვევა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მაკარიოსმა მელეტის განუცხადა, რომ იმჯერად მას არ შეეძლო მოსკოვში გამგზავრება. მიზეზად მოჰქონდა ის გარემოება, რომ შეგროვილი ჰქონდა-რა მრავალი შესაწირავი, არ შეეძლო იგი ვინმესთვის გაეტანებინა თავის საპატრიარქოში, მა-

²² მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები. დაუბრთო ჟ. ო დ ი შ ე ლ მ ა, თბ., 1968, გვ. 46. აგრეთვე, გვ. 48.

²³ П. Ж у з е, Грузия 17 столетия.... გვ. 4; А. А. Дмитриевский, Приезд в Астрахан восточных патриархов.... გვ. 319; შ. კ უ რ დ ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან, გვ. 12 და სხვ.

თი გაგზავნა კი აუცილებელი იყო ვალების გასასტუმრებლად. ამის გამგონე ალექსანდრიელმა პატრიარქმაც უარი განაცხადა მოსკოვში გამგზავრებაზე. მელეტის დიდი შრომა და ხვეწნა-მუდარა დასჭირდა, რათა გადაეთქმევინებინა პატრიარქებისთვის მოსკოვში გამგზავრებაზე უარი. ბოლოს გადაწყდა, რომ პაისიოსი შემახაში ჩავიდოდა და იქ დაელოდებოდა მაკარიოსს. მაკარიოსი აღუთქვამდა, რომ გაზაფხულისთვის, აღდგომის დღესასწაულის შემდეგ, ისიც ჩავიდოდა შემახაში და იქიდან ერთად გამოემგზავრებოდნენ რუსეთისაკენ. მასთან ერთად საქართველოში დარჩა ანანია სინაელი და ტრაპიზონის მიტროპოლიტი.

მელეტი და პაისიოს ალექსანდრიელი კახეთში ჩავიდნენ. აქედან მათ გამცილებლად თავისი კაცები გააყოლა კახეთის მეფე არჩილმა და გაისტუმრა შემახაში. შემახადან ისინი აპირებდნენ სახმელეთო გზით თერგამდე მიღწევას, მაგრამ ზამთრის დადგომის გამო იძულებულნი შეიქნენ დაეცადათ რუსეთიდან მკველი რაზმისა და ხომალდების მოსვლისათვის.

ამასობაში მოსკოვის სამეფო კარზე შეიტყვეს პატრიარქების გამომგზავრების ამბავი და მათ შესახვედრად იწყეს სამზადისი. სასწრაფოდ გამოგზავნილ იქნენ საიდუმლო საქმეთა საგანგოს მოხელენი ასტრახანსა და თერგზე. აქაურ ვოევოდებს გამოეგზავნათ ბრძანება: «Декабря в 20 день посланы государевы грамоты с подьячими с Еремеем Полянским да с Ывцом Полянским²⁴. 1-я в Астрахань к боярину и воеводе ко князю Якову Никитичю Одоевскому... об отпуске на Терек подьячих Еремея Полянского, Иева Ветошкина; а для какова дела они посланы, и про то велено им объявить ему боярину тайно. 2-я на Терек к воеводе к Ивану Ржавскому: ведомо великому государю учинилось, что Паисей папа и патриарх Александрийской и Макарей патриарх Антиохийской идут к нему, великому государю, к Москве, через Грузинскую землю и для подлинного проведывания посланы с Москвы Приказу Тайных Дел подьячие Еремей Полянский да Иев Ветошкин да с ними стадной конюх; и будет Александрийской и Антиохийской патриархи на Терек пришли, и он бы отпустил их к Москве не замотчав, и Корм и питье в дорогу им дал по росписи, какова послана

²⁴ უნდა იყოს «Ветошкин». შეად. Н. Гиббнет, დასახ. ნაშრ., დამატებანი, 33- 82^ა.

ს დახმარებით ს ერემეემ და ს -ხევომ, ი თომ ოფისაჲს; ა ბუ-
დეთ ონი პატრიარქი ნა ტერეკ ნე პრისჲი, ი პრი ნიხ პრედე-
ვაჲს ი ოსლაჲს ს ტერეკ ნაროჩიო ვ ტუშინსკიო, ი ვ დად-
იანსკიო, ი ვ გრუზინსკიო, ი ვ პერსიკიო, ი ვ ხუვერსკიო ზე-
მი, კოვო პრიგოჲე, ი ოთ თოგო დავაჲს იმ გოსუდარევა ჯალოვანჲს
პო რაზმორენიო...»²⁵.

ასტრახანში ჩამოსულმა საიდუმლო საქმეთა „პრიკაზის“ მოხე-
ლევებმა შეიტყვეს, რომ მელეტი და პაისიოსი შემახაში არიან გაჩე-
რებულნი, ხოლო მაკარიოსი თბილისში იმყოფება. მაკარიოსმა ასტ-
რახანს თავისი კაცი გამოგზავნა წერილებით და იტყობინებოდა,
რომ იგი აპირებდა თერგის ციხე-ქალაქში მისვლას მთების გზით.
მის შესახვედრად თერგზე გაიგზავნა პოლიაჩი ვეტოშკინი.

1665 წლის დეკემბერში თბილისიდან თერგის ციხე-ქალაქში
ჩამოდის მაკარიოსის მიერ მოსკოვში გაგზავნილი კაცი, ვინმე თბი-
ლისელი ქართველი სახელად საფარ²⁶. იგი შეატყობინებს თერგის
ვოევოდა ივანე რევესკის, რომ მოსკოვში მიმავალი ანტიოქელი
პატრიარქი თერგის ციხე-ქალაქში აპირებდა მისვლას სახმელეთო
გზით, მაგრამ ზამთრის დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა მთე-
ბის გადალახვა.

ამავე დროს თერგის ვოევოდა ივანე რევესკიმ მიიღო
იეროდიაკონ მელეტისაგან წერილი, რომელშიც იგი იწერებოდა:
«...приехал с александрийским патриархом кир Пансием до
Шаховы области города Шемахи, чающе то, что возможно
будет сухим путем проехать, а ныне ведомо и вам, что невоз-
можно сухим путем, ни морем проехать, и великий архирей
папа и патриарх, ведающе то, что невозможно проехать,
хотел ехать вспять, и аз с великим молением и со слезами
упросил, чтобы изволил пожить здесь месяц на два, глаголю-
ще то ему что я буду к вам писать про бусу, чтобы вам от-
пустить бусу вскоре... Вам же господам моим вестно чиню,
что святейший антиохийский патриарх Макарий и Синайской
горы архиепископ Ананна и цареградского патриарха обла-
сти Трапезондейский митрополит остались в Грузинскую
землю в городе Тефлизе. А ожидаю то святейший патриарх
Макарий и архиепископ Анания и тот митрополит, что вам с

²⁵ Дела Тайного приказа, кн. I. Русская историческая библиотека. т. 21
С.-Пб., 1907. I, стр. 1139—1140.

²⁶ Н. Гиббенет, лასახ. ნაშრ., დამატ., გვ. 841—845.

Терках для ради их послать войска до Тусы принять их. И буде и невозможно послати войско до Тусы, и вам бы господам моим о том ко мне писать и особную грамоту с великим молением к святейшему антиохийскому патриарху писати и прислати ко мне, что ему горами невозможно ехать и изволил бы пожаловать ехать Шахова области в Шемахи, и чтобы вам пожаловать, господам моим, писати к здешнему Шамахийскому хану, чтобы он, Шамахийский хан послал со мною своего доброго человека и письма от себя к тамошнему хану к Тефлизскому шах Навазхану, где живет антиохийский патриарх, чтобы он Тефлизский хан шах Наваз, и вы пишете к нему шах Наваз хану, чтобы пожаловал изволил проводить святейшего патриарха Макария до Шамахи граде. И аз с теми грамотами и с хановым человеком поеду паки до города Тефлиз к святейшему патриарху умолять его, чтобы он изволил с теми архиереями, что там с ним, ехать морем с нами вместе...»²⁷

მელტის ამ წერილს ახლავს შენიშვნა გაკეთებული რუსი მოხელეების მიერ, რომ «Тифлиз от Терека в 22 днях сухим путем, и зимнево пути нет»²⁸.

როგორც ვხედავთ, მაკარიოსი აპირებდა თუშეთის გზით იმიერკავკასიაში გადასვლას და თუშეთშივე მოითხოვდა თერგის ვოევოდისაგან მცველი ჯარის გამოგზავნას. ზამთრის დადგომის გამო მისი ამ გეგმის გამხორციელება შეუძლებელი შეიქნა. მელეტი უიშობდა, რომ ამ სიძნელებმა მაკარიოსს არ გადაათქმევინონ მოსკოვში გამგზავრების განზრახვა და ამიტომ სთხოვდა თერგის ვოევოდას, თუ შეუძლებელი იქნებოდა თუშეთში ჯარის გაგზავნა, ამის შესახებ პირველ რიგში პირადად მისთვის ეცნობებინათ და მაკარიოსისათვის გასაგზავნი წერილებიც მისთვის გამოეგზავნათ. მელეტის თვითონ სურდა ამ წერილებით თბილისში ჩასვლა და მაკარიოსის დაყოლიება შემახაში წამოსვლაზე. საყურადღებოა მელეტის თხოვნაც თერგის ვოევოდასადმი, რომ მან გამოუგზავნოს წერილი ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთეს (შაჰ-ნავაზს), რათა ამ უკანასკნელმა სათანადოდ გამოაცილოს ანტიოქელი პატრიარქი.

თერგის ვოევოდისაგან აღნიშნული წერილების მიღების შემდეგ მელეტი მართლაც გაემგზავრა თბილისში, სადაც ხელახლა

²⁷ Гиббент, дасახ. ნაშრ., დამატ., გვ. 847—848.

²⁸ იქვე, გვ. 850.

შეხვდა მაკარიოსს და ბოლოს და ბოლოს დაიყოლია შემახაში წა-
მოსვლაზე. ამას მეღვთი ატყობინებდა პატრიარქ პაისიოსს (ეს
უკანასკნელი შემახაში დარჩა) თბილისიდან გამოგზავნილ წერილ-
ში²⁹.

20 აპრილს ისინი ჯერ კიდევ თბილისში არიან, რადგან ამ რი-
ცხვითაა დათარიღებული ანანია სინაელის წიგნი, რომელსაც იგი
აძლევს ქართლის მეფე შაჰ-ნავაზს. წიგნის შინაარსი საინტერესოა
საქართველოში ჩამოსული ამ მღვდელმთავრების მოღვაწეობისა და
ქართლის სამეფო კართან მათი ურთიერთობის დახასიათებისათ-
ვის, ამიტომ აქვე მოვიტანთ ამ დოკუმენტის ძირითად ნაწილს:
„ქ... ესე წიგნი მოგართვით ჩ^ნ სინის მთავარეპისკოპოსმან ანანია
და მონასტრის კრებულმან ბერმან თქუენ ქართლის ხელმწიფეს
პატრონს შაჰნავაზს, ძეთა თქუენთა... კახთა მეფეს არჩილს, გ^ნის,
ლევანს, ლუარსაბს და სულემანს, ასე რომე სინის მონასტრის მა-
მული მეღურეკის ცოტას ხანს კახაბრიშვილს გორჯასპის ჰქონე-
ბოდა და იმ მონასტრის მამულისგან იქ მიწები მიეყიდა ფავნელი-
შვილის რევანასა და პაპუნასათვის. იმათ ზოგი ვენახად აეშენები-
ნათ, ზოგი სახლები და ქვევრები ჩაედგა და ზოგი ისრევ მიწად იყო.
ჩ^ნ ჩუენის მონასტრიდამ მოვედით თქუენს საბატონოშია და შე-
მოგებუეწენით... დახსნასა... თქუენ იყიდეთ და ისევ ჩუენს მონას-
ტერს შემოსწირეთ. ჩუენ დავდევი თქუენის დედისა და მამის
აღაბი... დაიწერა ქ^კ: ტნდ:, თვესა აპრილსა: კ:, ხელითა ტფილელ
იოსებისითა“³¹.

მაკარიოსის რუსეთში გამგზავრების საქმეში გარკვეული რო-
ლი უთამაშია დედოფალ მარიამსაც. ამას ჩვენ შემდეგ ამბავთან
დაკავშირებით ვგებულობთ. მკვლევარმა თ. ტივაძემ მეტად საინ-
ტერესო საბუთები გამოავლინა რუსეთის მეფის კარზე სამეგრე-
ლოს მთავრის ცრუმემკვიდრის, ვინმე მათეს გამგზავრებისა და მი-
სი რუსეთში თავგადასავლის შესახებ³². მკვლევარი აქვეყნებს მა-
თეს წერილებს მეფე ალექსი მიხეილისძისადმი, სადაც მოთხრობი-
ლია მათეს თავგადასავალი და პატრიარქ მაკარიოსთან ერთად მისი
რუსეთში გამგზავრების ამბავი. მათე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ
იგი იყო კანონიერი მემკვიდრე სამეგრელოს მთავრის ლევან II და-
დიანისა და რომ ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ იგი გამოძე-

²⁹ Н. Гибенет. Дасახ. ნაშრ., დამატ., გვ. 907.

³¹ თ. ტ ი ვ ა ძ ე, ქრონიკები..., II, გვ. 483.

³² თ. ტ ი ვ ა ძ ე, ერთი ეპიზოდი მე-17 ს. 60-ანი წლების რუსეთ-საქართველოს
ურთიერთობის ისტორიიდან, კრებული: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო
პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970.

ვებული იყო სამეგრელოდან და თავშეფარებული თავის მამიდასთან — ქართლის დედოფალ მარიამთან. პატრიარქ მაკარიოსის თბილისში დაბრუნების შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ იგი რუსეთში უნდა წასულიყო, დედოფალი მარიამი ამ ამბით დაინტერესებულა. მელეტისაც, როცა მათეს ამბავი შეუტყვია, წინადადება მიუცია მათესათვის მასთან ერთად მოსკოვში წასულიყო და რუსეთის მეფისათვის დახმარება ეთხოვა სამეგრელოს მთავრის ტახტის დაბრუნების საქმეში. როდესაც მაკარიოსმა ყოყმანი დაიწყო და აღარ თანხმდებოდა რუსეთში წასვლაზე და მელეტი შემახაში გაემგზავრა, იქიდან მოსწერა წერილი მარიამ დედოფალს, რომ თუ მაკარიოსს რუსეთის მეფესთან წასვლას გადაწყვეტინებთ, ჩამოვალ და მასთან ერთად თქვენს „ძმისშვილსაც“ წავიყვანო. ასეთი წერილის მიღების შემდეგ მარიამს მელეტი თბილისში დაუბარებია და აქ მისთვის ფიცით ჩაუბარებია თავისი „ძმისშვილი“ მათე და მათესთვის რუსეთში წასაღებად ბეჭდით დამოწმებული წერილიც მიუცია³³. ამის შემდეგ, მარიამ დედოფლის თუ სხვა ქართველი პოლიტიკოსების ჩარევით მაკარიოსიც დათანხმდა რუსეთში გამგზავრებაზე და 1666 წლის აპრილის ბოლოს ისინი უკვე შემახაში იყვნენ. რუსეთში მიმავალი მაკარიოსის ამაღაში სხვებთან ერთად ოთხი ქართველიც ერია, მათ შორის იყო ეს მათე და ერთიც მისი მსაბუჩი.

§

ამრიგად, ჩვენს ხელთ მყოფი მასალების მიხედვით პატრიარქ მაკარიოსის (რომელსაც განუყრელად თან ახლდა ჩვენთვის საინტერესო აღწერილობის ავტორი პავლე ალექსოელი) საქართველოში ყოფნა და მოგზაურობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება.

მამა და შვილი საქართველოში ჩამოვიდნენ 1664 წლის ივლისში. მათი საქართველოში ჩამოსვლის თარიღი აღნიშნულია როგორც ქართულ კინკლოსურ მინაწერებში, ისე თვით მაკარიოსის თხზულებაში.

„ტნბ—1664—აქა მობრძანდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოზ“³⁴.

„ტნბ—1664—აქა მოვიდა ანტიოქის პატრიარქი მაკარიოს თვესა ივლისსა“³⁵.

³³ თ. ტივაძე, დასახ. კრებული, გვ. 102—103.

³⁴ ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 42.

³⁵ მცირე ქრონიკები, გვ. 46.

„ტნბ—1664—აქაჲ ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს მოვი-
და“³⁶.

„واعلم باننا لما ذهبنا الى بلاد الكرج في سنة سبعة الاف وماية واثنين
و سبعين للعالم و دخلنا الى بلادهم و فحصنا بناتنا عن احوالهم“
(იციოდე, რომ როდესაც ჩვენ 7172 წ. ჩამოვედით საქართველოში
და დავიწყეთ ქართველი ხალხის მდგომარეობის გაცნობა...)³⁷.

7172=1664 წ.

პატრიარქი და მისი ამაღლა ქართლში დამასკოდან მოვიდნენ
ალბათ იმავე გზით, რითაც შემდეგ მათთან შესახვედრად წამოსუ-
ლი იეროდიაკონი მელეტი და პაისიოს ალექსანდრიელი მოდიან
(ერზერუმი-ყარსი-თბილისი). საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ
მაკარიოსი და პავლე ალუბოელი ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში აქ-
ტიურად ჩაბმულან. თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული აქვს 1664
წლის 3 აგვისტოთი დათარიღებული ერთი დოკუმენტის ფრაგმენ-
ტი, რომელიც ქაიხოსრო ბარათაშვილს მიუძედა კათალიკოზ დომენ-
ტისათვის:

„1664 წ.—ქ—კს: ტნბ: ბარათაშვილი სახლთხუციშვილი ქაი-
ხოსრო კ—ხს დომენტის სწერს: „ეშმანმან მაცთუნა და მღვდელ-მო-
ნაზონობისაგან (არსენ წოდებული) ერისკაცად შეგვიქენ... გავვიწყე-
რით. იმ ხელად ანტიოქიის პატრიარქი (მაკარი) მობრძანდა და მი-
სის შუამავლობით... შეგვირიგეთ და შენდობა გვიბოძეთ... საკანო-
ნოდ მოგახსენეთ... მამული ორი კუამლი (ჩამოთვლილია). ქს:
ტნბ: აგვისტოს: გ“³⁸.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ XII საუკუნის ერთ-ერთ ხელ-
ნაწერს დართული აქვს არაბულ ენაზე შესრულებული მინაწერი,
რომელიც გაუკეთებია პავლე ალუბოელს თბილისის კათედრალუ-
რი ტაძრისა და აქ შენახული რელიქვიებისა და ხელნაწერების დათ-
ვალეირებისას. ამ არაბული მინაწერის შინაარსი შემდეგია: „მოვი-
და ამ წმინდა ეკლესიაში ქალაქ თბილისს კირ მაკარიოს, პატრიარქი
ღვთის დიდი ქალაქის ანტიოქიისა და სხვათა აღმოსავლეთის (ქა-
ლაქთა). და ეს (იყო) მე-17 დღეს აგვისტოს თვისა წელსა ადამის-
გან 7172-სა. (1664 წ.), როდესაც მოვიდა მოსახილველად საქარ-
თველოს ამ ღმრთივ დაცულ ქვეყანაში.

³⁶ მცირე ქრონიკები, გვ. 48.

³⁷ Жузе П., Грузия в 17 столетии..., გვ. 19.

³⁸ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 482.

მოიხსენე, უფალო, მონა შენი საწყალობელი დიაკონი ბულუს (პავლე) ჰალაბიელი (ალეპოელი), ამის მწერალი“³⁹.

ამრიგად, 1664 წლის 17 აგვისტოს მაკარიოსი და პავლე ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებიან. ამავე 1664 წლის შემოდგომით ისინი უკვე დასავლეთ საქართველოში არიან. პავლე ალეპოელი თავის აღწერილობაში მოგვითხრობს, რომ იგი დაესწრო ცნობილ სასწავლს ილორის წმ. გიორგის მონასტერში და თავისი თვალთ იხილა თუ როგორ მოიყვანა უჩინრად წმ. გიორგიმ ეკლესიის წინ ხარი. ეს დღესასწაული ტარდებოდა, თვითონ პავლე ალეპოელის ცნობით, ყოველი წლის 10 ნოემბერს⁴⁰.

დასავლეთ საქართველოში მათი ყოფნის შესახებ ცნობები მოცემული აქვს მაკარიოს ანტიოქელს არაბულად შედგენილ თავის თხზულებაში. ასევე საინტერესო მონაცემები აქვს გამოქვეყნებული მაკარიოსის დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის შესახებ მიხეილ თამარაშვილს. 1665 წ. კაფუციენებს რომის პაპისთვის მიუწერიათ საქართველოში მაკარიოსის ყოფნის ამბავი. ისინი დიდად აქებენ პატრიარქის მოღვაწეობას და იმასაც კი აღნიშნავენ, რომ თუ მან ერთი-ორ გზის იქადაგა ჩვენს ეკლესიაში, მაშინ ყველა ქართველები შემოგვიერთდებიან⁴¹. კაფუციენების ცნობით პატრიარქს გურიაში ეპისკოპოსებიც განუწყობებია⁴². მაკარიოსის აღწერილობით ჩვენ ვიცით თუ რა აქტიურად ერეოდა იგი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ცდილობდა გამოესწორებინა საეკლესიო წესების თუ ქრისტიანული ეთიკისა და ცხოვრების ნორმების დარღვევანი, ილაშქრებდა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტყვის სყიდვის წინააღმდეგ. მან არა ერთი დამნაშავე დასაჯა, მათ შორის მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირებიც⁴³, ჰქონდა შეხვედრები დასავლეთ საქართველოს პატრიარქ სვიმონთან⁴⁴, ცდილობდა შეერიგებინა ლევან და დიანო და ბაგრატ იმერთაშემფე⁴⁵ და სხვა.

³⁹ იხ. თ. კუონიას წერილი „პავლე ჰალაბიელი და არაბული მინაწერი ქართული სახარების ბოლოს“ (ვაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1947 წ., № 22). წერილში სამწუხაროდ დაშვებულია შეცდომა. მაკარიოსის მიერ არაბულად დაწერილი თხზულების ავტორად გამოცხადებულია მისი შვილი პავლე. ავტორს მოაქვს ადგილები მაკარიოსის თხზულებიდან პ. ეუზეს გამოცემის მიხედვით და მათზე მსჯელობს, როგორც პავლე ალეპოელის თხზულებაზე.

⁴⁰ იხ. აქვე, კომენტარი № 27.

⁴¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 167. შდრ. გვ. 227—228.

⁴² იქვე, გვ. 168.

⁴³ Жузе П., Грузия в 17 столетии..., გვ. 22, 23, 24, 25, 27, 31, 32, და სხვ.

⁴⁴ იქვე, გვ. 57.

⁴⁵ იქვე, გვ. 58.

მაკარიოსი და მისი ამაღა თბილისში დაბრუნდა მხოლოდ 1665 წ. ნოემბერში. როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, შაჰ-ნავაზი განსაკუთრებით დაინტერესდა მაკარიოსით მას შემდეგ, რაც მელეტისაგან გაიგო, რომ ანტიოქელი პატრიარქი მიწვეული იყო მოსკოვში მეფე ალექსი მიხეილის ძესთან. ქართლის მეფემ თვითონ გაგზავნა მასთან თავისი შიკრიკი, პატრიარქს წერილი გაუგზავნა ქართლის კათალიკოსმაც და კვლავ მოიწვიეს თბილისში. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ თბილისიდან პატრიარქი მაკარიოსი ცდილობდა რუსეთში წასვლას შაჰის სამფლობელოებზე გვერდის ავლით, უფრო ძნელი მთის გზით. მამა და შვილი კახეთშიც კი ჩავიდნენ და აქედან სცადეს თუშეთის გადავლით თერგამდე მიღწევა. მაკარიოსმა ასტრახანში გაგზავნა თავისი კაცი და რუს ხელისუფალთ შეატყობინა, რომ თერგის ციხეში მისვლას მთების გზით აპირებდა. პავლე ალექსოვლის აღწერილობიდან ჩანს, რომ მართლაც მამა-შვილი თუშეთის გზით იმერკავკასიაში გადასულან, მაგრამ ზამთრის უგზოობის გამო უკან დაბრუნებულან⁴⁶.

1665 წლის დეკემბერში თერგის ციხეში ჩავიდა მაკარიოსის მიერ გაგზავნილი კაცი, რომელმაც ჩაიტანა ამბავი, რომ მოსკოვში მიმავალი პატრიარქი მაკარიოსი თერგში აპირებდა მისვლას მთების გადალახვით, მაგრამ ზამთრის დადგომის გამო ეს შეუძლებელი შეიქმნა. აქედან მამა-შვილი უკან, თბილისში დაბრუნდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ მათთან შემახადან ჩავიდა მელეტი და როგორც იქნა დიდის ცდით დაიყოლია ისინი შემახის გავლით რუსეთში წასვლაზე. შემახაში კი მათ მეორე პატრიარქი, პაისიოსი ელოდებოდათ.

რუსეთში პატრიარქის წასვლით დაინტერესებულან ქართველი პოლიტიკოსებიც. როგორც ზემოთაც მივუთითებდით, როდესაც შაჰ-ნავაზმა შეიტყო, რომ მაკარიოსი მოსკოვში იყო მიწვეული, მან მელეტი დასავლეთ საქართველოში აღარ გაუშვა (ალბათ იმის შიშით, რომ ისინი იქიდანვე არ წასულიყვნენ რუსეთში). ქართლის მეფემ თავისთან მოიწვია ანტიოქელი მღვდელ-მთავარი, როგორც ჩანს მოსკოვში წასვლის წინ მოსალაპარაკებლად. მაკარიოსს მოწვევის წერილი გაუგზავნა ქართლის პატრიარქმაც. როდესაც მაკარიოსი ანტიოქელმა მოსკოვში წასვლაზე უარი განაცხადა და მელეტის თხოვნა-მუდარაც არა ჰკრიდა, საქმეში ჩაერია მარიამ დედოფალი და მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა ეს პატრიარქი რუსეთში გამგზავრებაზე მელეტის მიერ შეთავაზებული გზით. ამ ფაქ-

⁴⁶ იხ. აქვე „აღწერილობის“ ტექსტი, 15. ო.

ტებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართველი პოლიტიკოსების რუსეთთან ურთიერთობის ზოგიერთი აქამდე უცნობი მხარის გასარკვევად, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

თბილისიდან მაკარიოსი 1666 წლის აპრილის ბოლოს გაემგზავრა. ამრიგად, პავლე ალექსოვლმა საქართველოში დაპყრო წელიწადი და ცხრა თვე (1664 წლის ივლისიდან 1666 წლის აპრილის ბოლომდე). მას საქართველოში სრული თავისუფლება ჰქონდა გასცნობოდა ქვეყნის საშინაო ცხოვრებას, დაჰკვირვებოდა ქართული საზოგადოების თავისებურებებს, ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ მდგომარეობას. იგი ახლო ურთიერთობაში და კონტაქტში იყო საქართველოს სხვადასხვა წოდების და საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენლებთან და, გასაგებია, მას უსათუოდ ძვირფასი მასალის შეგროვება შეეძლო მაშინდელი საქართველოს ცხოვრების ყველა მხარის შესახებ.

1666 წლის 2 ნოემბერს პატრიარქები მოსკოვში ჩავიდნენ. მეფე ალექსი მიხეილის-ძემ დიდის ზემოთ მიიღო სასურველი სტუმრები. რუსეთის მეფეს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის ეს ავტორიტეტული წარმომადგენელი მას მხარს დაუჭერდნენ მომავალ საეკლესიო კრებაზე და პატრიარქ ნიკონის ზვიადობას ფრთებს შეაკვეცავდნენ. 19 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა საეკლესიო კრება, რომელმაც ყოვლისშემძლე ნიკონი პატრიარქობიდან გადააყენა და ბერად აღკვეცილი გაგზავნა ბელოზერის მონასტერში. კრების დამთავრების შემდეგ პატრიარქები კიდევ დიდხანს დარჩნენ მოსკოვში. კერძოდ, მაკარიოს ანტიოქელი თავისი თანმხლები პირებით მხოლოდ 1668 წლის ივნისში გამოემგზავრა უკან, ხოლო პაისიოსი უფრო გვიან⁴⁷.

მაკარიოსმა და მისმა ამაღამ უკან დასაბრუნებელ გზად ისევ საქართველო აირჩია. 1668 წლის ბოლოს ისინი უკვე შემახაში იყვნენ. აქ კი იძულებულნი გამხდარან რამდენიმე ხნით ამ ქალაქში შეჩერებულყვნენ. თავის გაჭირვებულ მდგომარეობას მაკარიოსს ანტიოქელი დაწვრილებით ატყობინებს მოსკოვის პატრიარქს იოასაფს 1669 წლის 22 ივლისს თბილისიდან გაგზავნილ წერილში⁴⁸. შემახაში ჩამოსვლის შემდეგ მაკარიოსთან მისულან ადგილობრივი ვაჭრები მის მიერ ჩამოტანილი ნაჩუქარი ნივთების შე-

⁴⁷ А. А. Дмитриевский, Приезд в Астрахань восточных патриархов Паисия александрийского и Макария антиохийского..., Труды Киевской Духовной Академии, 1904 г. Март, кн. III.

⁴⁸ იხ. აქვე, დამატება № 2.

სასყიდად, მაგრამ შემახის ხანს აუკრძალა ამ ვაჭრებისათვის მაკარიოსისაგან რაიმეს შესყიდვა. ხანს ჩამოურთმევეთ პატრიარქისათვის რუსეთიდან ჩამოტანილი მთელი ქონება და აღუთქვია მასში სამი ათასი მანეთის გადახდა. მაკარიოსის მტკიცებით, ეს ფასი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე ხანის მიერ წაღებული საქონელი ღირდა. თანაც ხანს ფული მაშინვე არ გადაუხდია და უბრძანებია მაკარიოსისათვის, რომ წასულიყო საქართველოში და იქიდან გამოეგზავნა თავისი კაცი, რომელსაც ხანი აღთქმულ ფულს გამოატანდა. ამის შემდეგ მაკარიოსი და მისი ამაღა საქართველოში ჩამოვიდნენ. 1669 წლის 4 თებერვლის წერილით მაკარიოსი ატყობინებს მოსკოვის პატრიარქს თავის საქართველოში ჩამოსვლას⁴⁹. თბილისიდან მაკარიოსს პირობისამებრ გაუგზავნია თავისი კაცი შემახის ხანთან, მაგრამ მისგან შეპირებული ფული ვერც ამჯერად მიუღია. მაკარიოსს თხოვნით მიუმართავს ქართლის მეფე შაჰნავაზისათვის, რათა ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა შემახის ხანთან მაკარიოსისათვის ფულის გამოგზავნის თაობაზე, მაგრამ ვერც ამგზით მიუღია მაკარიოსს თავისი კუთვნილი ფული. მაკარიოსი და მისი ამაღა, რომელიც 30 კაცისაგან შედგებოდა, მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა. მათ აღარ დარჩენიათ თავის გამოსაყვეები ფულიც კი. მხოლოდ კარგა ხნის გასვლის შემდეგ შემახის ხანმა უკან დაუბრუნა პატრიარქს ჩამორთმეული ნივთების ნაწილი, რომელიც მაკარიოსმა გაყიდა ადგილობრივ ბაზარზე და, როგორც თვითონ ამტკიცებს, 2 000 მანეთის ზარალი ნახა.

ამრიგად, მეორედ მაკარიოსი საქართველოში იმყოფებოდა. 1669 წლის დასაწყისიდან ვიდრე ამავე წლის ზაფხულის გასულამდე მაკარიოს ანტიოქელი თავის წერილშივე აღნიშნავს, რომ საქართველოში ჩამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ, ე. ი. 1669 წლის თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში, აქ გარდაცვლილა მისი ვაჟიშვილი, ჩვენი აღწერილობის ავტორი, არქიდიაკონი პავლე ალექსანდროვი.

1670 წლისთვის მაკარიოსი უკვე ანტიოქიაშია და აქედან უგზავნის წერილს მოსკოვის პატრიარქს⁵⁰.

⁴⁹ მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება. სინოდის საბუთები № 2 296.

⁵⁰ მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების აღნიშნული ფონდი, საბუთი № 2298.

პავლე ალექსოვლის მიერ შედგენილი საქართველოს აღწერილობა რომელსაც ეწოდება «Описание Грузии, представленное архидиаконом Павлом, сыном антиохийского патриарха Макария» და დათარიღებულია 1667 წლის 27 თებერვლით, ამჟამად ინახება მოსკოვის ძველ საბუთთა ცენტრალური სახელმწიფო არქივის (ЦГАДА) საიდუმლო საქმეთა საგანგოს (приказ тайных дел) ფონდში (ფ. № 27). ჩვეულებრივ საქართველოს შესახებ მასალები დაცულია საგარეო საქმეთა საგანგოს (посольский приказ) ფონდებში⁵¹. რა მიზეზით მოხვდა იგი არა აქ, არამედ საიდუმლო საქმეთა საგანგოს მასალებში, ესეც თავის ახსნას მოითხოვს და ამაზე ქვემოთ შევჩერდებით.

პავლე ალექსოვლის „აღწერილობა“ გარდა იმისა, რომ იძლევა საინტერესო ცნობებს მე-17 საუკუნის საქართველოს შესახებ, იგი ახალი ფაქტებით ავსებს ჩვენს ცოდნას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ამ ძეგლში რელიეფურად აისახა როგორც რუსეთის ინტერესები აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების მიმართ, ისე აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტული წარმომადგენლების დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოსადმი. პავლე ალექსოვლის „აღწერილობა“ შეიქმნა მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის წრეში, ამდენად იგი გამოხატავს ამ წრის ინტერესებსაც და შეხედულებებს რუსეთთან მართლმადიდებელი ხალხების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზე. „აღწერილობაში“ საინტერესო ცნობებია მე-17 საუკუნის 60-ან წლებში ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რუსეთთან ურთიერთობის შესახებ.

ამ პერიოდში რუსეთის მმართველი წრეების საქართველოს საერთო (პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, სარწმუნოებრივი) მდგომარეობით დაინტერესებას არაერთი მიზეზი აპირობებდა. ეს მიზეზები, პირველ რიგში, რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ მისწრაფებებშია საძიებელი.

როგორც ცნობილია, მე-17 საუკუნის რუსეთის წინაშე სამი გადაუწყვეტელი ამოცანა იდგა: უკრაინისა და ბელორუსიის შემოერთება, ზღვის გასავლის მოპოვება და ყირიმელ თათრებთან ბრძოლის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა, რათა სამხრეთით მყა-

⁵¹ ЦГАДА, ф. № 110.

რი და უსაფრთხო საზღვარი შეექმნათ⁵². ამ ამოცანების გადაწყვეტის გზაზე რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთთან და შვედეთთან ერთად თურქეთის ძლიერი და აგრესიული სახელმწიფო იღვა. პოლონეთთან და შვედეთთან ომების დამთავრების შემდეგ, მე-17 საუკუნის 60-ანი წლებისათვის ურთიერთობა რუსეთსა და თურქეთს შორის უკიდურესად დაიძაბა და ყველაფრიდან ჩანდა, რომ მალე მათ შორის ომი დაიწყებოდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის სტაბილური პოლიტიკაში აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებთან ურთიერთობის საკითხმა წინა პლანზე წამოიწია. გასაგებია, საქართველოს საკითხმაც რუსი პოლიტიკოსების თვალში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. საქართველოსთან ურთიერთობის საკმაოდ ხანგრძლივი პრაქტიკით მათთვის კარგად იყო ცნობილი, რომ საქართველო, როგორც ნაწილი მართლმადიდებლური სამყაროსი, სასიცოცხლოდ იყო დანტერესებული რუსეთის ხელისუფლების მის სიახლოვეს (იმიერ კავკასიაში, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე) დამკვიდრებით, კავკასიაში მაჰმადიანური თურქეთისა და სპარსეთის გავლენის მოსპობით. რუსეთისაკენ სწრაფვისათვის საქართველომ ამ მაჰმადიანი დამპყრობლებისაგან არაერთი დარტყმა განიცადა, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც არ უხვევდა რუსეთთან დაკავშირების გზას.

მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში რუსეთს არ ჰქონდა საშუალება საქართველოში აქტიური პოლიტიკის წარმოებისა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთს არ ჰქონდა საქართველოსადმი ინტერესი. რუსეთის პოლიტიკოსებს კარგად ახსოვდათ საქართველოს მესვეურთა დაუცხრომელი სწრაფვა მოსკოვისაკენ, ხოლო ამ საუკუნის 10-ანი წლებიდან ქართულმა სამეფო-სამთავროებმა არა ერთხელ სცადეს რუსეთთან შეწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა. ამ ტენდენციის განსაკუთრებით თავდადებული განმასახიერებელი იყო კახეთის მეფე თეიმურაზ I, რომელიც სათავეში ედგა, ერთის მხრივ, ყიზილბაშთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის შეურიგებელ ბრძოლას და, მეორეს მხრივ, ხელმძღვანელობდა ქართველი მეფე-მთავრების რუსეთთან დაკავშირების პრაქტიკულ მხარეს. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან სპეციალურად არის შესწავლილი პროფ. ნ. ნაკაშიძის მონოგრაფიაში „Грузинно-русские политические отношения в первой половине XVII века“ (თბ., 1968),

⁵² Очерки истории СССР. XVII век. под ред. А. А. Новосельского и Н. В. Устюгова, М., 1955, стр. 457.

ამიტომ ჩვენ ქვემოთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთ საკითხზე შევჩერდებით.

შპ-აბას პირველის კახეთში ლაშქრობების დროს იმერეთში გადახვეწილმა თეიმურაზ პირველმა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან შეთანხმებას მიაღწია და ისინი დაითანხმა საერთო ელჩობა გაეგზავნათ რუსეთის მეფის კარზე. რუსეთში გაგზავნილ ელჩს თან მიჰქონდა კახეთის მეფე თეიმურაზის, იმერეთის მეფე გიორგის, აგრეთვე გურიისა და სამეგრელოს მთავართა წერილები. ქართველი პოლიტიკოსები ატყობინებდნენ რუსეთის მეფეს, რომ ისინი გაერთიანდნენ და საერთო ძალით აპირებენ ბრძოლას ირანის აგრესიის წინააღმდეგ და სთხოვდნენ რუსეთის მეფეს დახმარებას.⁵³

ამრიგად, XVII საუკუნისათვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალ შინაარსს იძენს. თუ XVI საუკუნეში ეს ურთიერთობა იფარგლებოდა მხოლოდ კახეთისა და მოსკოვის ურთიერთობით, XVII საუკუნეში იგი გადაიზარდა უკვე თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით; თუ ადრე საქართველოს პოლიტიკოსები რუსეთიდან დახმარებას მოითხოვდნენ ძირითადად თურქეთის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, ამჯერად კახეთის მესვეურებს (და მათ მოკავშირე სხვა ქართველ მეფე-მთავრებს) რუსეთის დახმარება სჭირდებოდათ, პირველ რიგში, ყიზილბაშურ ირანთან საბრძოლველად.

კავკასიაში რუსეთის პოლიტიკოსებისათვის რთული ვითარება შეიქმნა. მათ არ სურდათ ურთიერთობა გაემწვავებინათ სპარსეთთან, რადგან მას თვლიდნენ თავიანთ მომავალ მოკავშირედ თურქეთის წინააღმდეგ ომში. რუსეთისთვის არ იყო გარკვეული აგრეთვე ქართული სამეფო-სამთავროების და სხვა კავკასიელი ხალხების საერთო მდგომარეობა და შესაძლებლობანი იმხანად. ამით აიხსნება რუსეთის მთავრობის მეტად ფრთხილი და თავშეკავებული დამოკიდებულება ქართველი მეფე-მთავრების თხოვნისა და პრაქტიკული წინადადებებისადმი.

1635 წელს თეიმურაზ 1-ლმა მოსკოვს გაგზავნა თავისი ელჩი მიტროპოლიტი ნიკიფორე. თეიმურაზი სპეციალური წერილით ატყობინებდა რუსეთის სამეფო კარს, რომ ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ მან შესძლო ქართლისა და კახეთის გაერთიანება თავისი ძალაუფლების ქვეშ, მაგრამ მისი ქვეყნის მდგომარეობა მაინც მეტისმეტად მძიმეა. თავის წერილში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა,

⁵³ იხ. ნ. ნაკაშიძის დასახელებული მონოგრაფია, გვ. 60—63.

რომ რუსეთის მფარველობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მისი ქვეყნის ხსნა და ქართველობის შენარჩუნება. თეიმურაზი ქართლ-კახეთის ძირითად მტრად ლეკებს მიიჩნევდა. ეს ლეკები დიდ ზიანს აყენებენ რუსეთსაც. კახეთის მეფე აღნიშნავდა, რომ ერთ დროს ეს მთიელები საქართველოს მეფეებს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო განუწყვეტელ ომს აწარმოებს ირანის წინააღმდეგ, ისინი სარგებლობენ საქართველოს მძიმე მდგომარეობით და არბევენ ქვეყანას. თეიმურაზი თხოვდა რუსეთის მეფეს დახმარებოდა ლეკების შემოსევების აღკვეთის საქმეში. ამ მიზნით აყენებდა წინადადებებს, რომ ან შეერთებული ძალებით გაენადგურებინათ მთიელი მტაცებლები, ან მოექციათ ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და დამორჩილებული ჰყოლოდათ. ამას გარდა, თეიმურაზი ატყობინებდა რუსეთის მეფეს, რომ საქართველოს ჩრდილოეთით ცხოვრობენ ოსები, ქისტები და სხვა მთიელი ხალხები 80-ათას კომლამდე, რომლებიც ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ და საქართველოს მეფეს ემორჩილებოდნენ. თეიმურაზი წინადადებას აყენებდა, რომ რუსეთს აღედგინა მათში ქრისტიანობა და დაექვემდებარებინა ისინი რუსეთისა და საქართველოსადმი, თორემ ლეკების მსგავსად ისინიც გამაჰმადიანდებოდნენ. თეიმურაზი რუსეთის სამეფო კარის წინაშე არა ერთ სხვა დიდი მნიშვნელობის საკითხებსაც აყენებდა⁵⁴.

რუსეთს იმჯერად არ შეეძლო მიეღო თეიმურაზის წინადადება. მისი ყურადღება ჯერ კიდევ დასავლეთისაკენ იყო მიმართული, მაგრამ სწავრეო საქმეთა საგანგო (საელჩო პრეკაზი) მიიწვი შეუდგა ნიკიფორეს მიერ საქართველოს შესახებ ჩამოტანილი ცნობების შესწავლას, მათ შედარებას მოსკოვის არქივებში დაცულ მონაცემებთან, რომლებიც იქ თავმოყრილი იყო XVI—XVII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოსთან წარმოებული დიპლომატიური ურთიერთობის დროს. მოძებნილ იქნა თვით საქართველოში ტატიშჩევის ელჩობის დროს (1604 წელს) ნამყოფი ბაზიეჩი აევდორე ტობოლინი, რომელსაც გამოჰკითხეს ცნობები საქართველოს შესახებ, მისი ტერიტორიის სიდიდის, სიმდიდრის, ეკლესიამონასტრების, ვაჭრობის და სხვათა შესახებ. თევდორე ტობოლინის პასუხებიდან ჩანდა, რომ საქართველოში მოიპოვებოდა საკმაო რაოდენობის საქონელი, მათ შორის ისეთი, რომელზეც დიდი მოთხოვ-

⁵⁴ М. Полневков, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615—1640), стр. 108—120.

ნილება იყო რუსეთში ნედლი აბრეშუმის, ხავერდის, აბრეშუმის ქსოვილები, ფარჩა და სხვა⁵⁵.

რუსეთის პოლიტიკოსებმა საჭიროდ ჩათვალეს საქართველოში ელჩობის გამოგზავნა. მიტროპოლიტ ნიკიფორეს თან გამოჰყვა რუსეთის ელჩობა თევდორე ვოლსკონსკის მეთაურობით. ელჩობა სპეციალურად იყო მომზადებული. მასში შედიოდნენ როგორც თარჯიმნები, ისე აღმწერელი დიაკები, აგრეთვე სასულიერო პირნი, რომელთაც ევალებოდათ, ქრისტიანული წესების დარღვევათა გასწორება ქართველთა შორის.

ამასობაში საქართველოში ვითარება შეიცვალა. ირანელების დახმარებით ქართლში თავისი პოზიციები განიმტკიცა როსტომმა, ხოლო თეიმურაზს შერჩა მხოლოდ აოხრებული კახეთი. რუსეთის ელჩები თეიმურაზმა გადმოიყვანა თუშეთის გზით. ვოლსკონსკის ელჩობა კახეთში დიდხანს დარჩა და საფუძვლიანად შეისწავლა ამ ქვეყნის მდგომარეობა. მან საგარეო საქმეთა საგანგისადმი წარდგენილ მოსახსენებელში (ანგარიშში) დაწვრილებით აღწერა კახეთი. ამ აღწერილობით, როგორც მიუთითებს პროფ. მ. პოლიექტოვი, იხსნება სერია საქართველოს ცალკეული ნაწილების დაზვერვითი ხასიათის აღწერილობებისა (ელჩინის, მიშეცკის, ტოლოჩანოვის და იევლევის და სხვ.)⁵⁶. ვოლსკონსკის მოხსენებებიდან ჩანდა, რომ მეფე თეიმურაზი და საქართველოს მესვეურთა უმრავლესობა გულწრფელად მიისწრაფოდნენ რუსეთთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის დამყარებისაკენ, რუსეთთან კავშირში ხედავდნენ საქართველოს ხსნის რეალურ გზას. ქართველმა პოლიტიკოსებმა რუსეთის ელჩებთან მოლაპარაკების დროს წამოაყენეს პრაქტიკული წინადადებანი: დაუყონებლივ გახსნილიყო გზა საქართველოსკენ, ამ მიზნით რუსეთს უნდა ჩაედგა ციხე-ქალაქები იმიერ-კავკასიაში, საქართველოში გამოეგზავნა ჯარის ნაწილები და ამით ბოლო მოეღო საქართველოზე ირანისა და თურქეთის თვითნებობისათვის. ამჯერად რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყება, ამიტომ რუსი პოლიტიკოსები კახეთის მესვეურებს აღუთქვამდნენ მხოლოდ დიპლომატიურ შეუამავლობას ირანის შაჰისა და თურქეთის სულთანის წინაშე და მატერიალურ დახმარებას. შემდეგისათვის ჰპირდებოდნენ თეიმურაზს, რომ რუსეთი საქართველოს გაუწევდა უფრო რადიკალურ და კონკრეტულ

55 М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615—1640), стр. 159—161.

56 მ. პოლიექტოვის დასახელებული გამოცემა, შვსაქალი, გვ. XXVII—XXIX.

დახმარებას, სამაგიეროდ თეიმურაზისაგან მოითხოვდნენ „ფიცის წიგნის“ მიღებას. ქართველ პოლიტიკოსთაგან ყველა როდი იყო რუსეთის ამ წინადადების მომხრე. კერძოდ, ამ პოლიტიკურ ოპოზიციას სათავეში ედგა თვით თეიმურაზის ვაჟი დავით ბატონიშვილი, ხოლო საეკლესიო წრეების უკმაყოფილებას გამოხატავდა ალავერდის მთავარეპისკოპოსი ზებედე. ამათი წინააღმდეგობა მხოლოდ დიდის ჭაფით იქნა დაძლეული და თეიმურაზმა საზეიმოდ მიიღო რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი.

კახეთის მეფეს რუსეთმა მნიშვნელოვანი ფინანსიური დახმარება გაუწია. მაგალითად, 1641 წელს რუსეთის მეფე მიხეილ თევდორეს-ძემ თეიმურაზს ძვირფასეულობის გარდა გამოუგზავნა 20 000 ეფიმიკი⁵⁷. ასეთი მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება რუსეთმა გაიღო მაშინ, როდესაც თვითონ რუსეთის ფინანსური მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე იყო. რუსეთის მთავრობის მიერ ასე უხვად გაღებული „წყალობა“ იმის მოწმობაა, რომ იგი სერფოზულად იყო დაინტერესებული ამიერკავკასიით და რომ საქართველოს საკითხი მის საგარეო პოლიტიკაში თანდათანობით მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.

ირანის მთავრობა დიდის შეშფოთებით ადევნებდა თვალ-ყურს რუსეთ-კახეთის ურთიერთობის განვითარებას. იგი კარგად გრძობდა, თუ რას ნიშნავდა რუსეთის ჯარების კავკასიაში შემოსვლა, ამიტომ ყველა საშუალებით იწყებს ბრძოლას საქართველოში რუსეთის გავლენის დამყარების წინააღმდეგ. ირანის ენერგიული დახმარებით ქართლის მაჰმადიანმა მმართველმა როსტომ ხანმა დაამარცხა თეიმურაზი და იგი კახეთიდან განდევნა. მაგრამ მარტო ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო თეიმურაზისა და მისი პოლიტიკის მომხრეებისათვის დასაყრდენის გამოცლა ქართველ ფეოდალთა წრეში. ამ მიზნით, ირანის მმართველი წრეების თანხმობით, როსტომი იწყებს შედარებით ლოიალური პოლიტიკის გატარებას. საქართველოში ქართული სოციალ-ეკონომიური წყობა („ქართველობა“) ხელუხლებელი რჩებოდა, ქრისტიანობასაც არა სდევნიდნენ. ამით ირანის შაჰი ცდილობდა ქართველი ფეოდალებისათვის დაემტკიცებინა, რომ იგი „ქართველობის“ მტერი კი არ იყო, არამედ ებრძოდა მხოლოდ „რუსთმოყვარე“ თეიმურაზს. როგორც ცნობილია, ირანის ამ პოლიტიკამ წარმატებას მიაღწია. მრავალწლოვანი ომებით მოღლილი ქვეყანა მშვიდობის ფასად მიენდო ირანის შაჰს

⁵⁷ მ. პ. ო. ლ. ე. ვ. ქ. ო. ვ. ი., თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში (1640—1643), თბ., 1928, გვ. 8.

და თეიმურაზი იზოლირებული აღმოჩნდა. თეიმურაზი I მაინც ბრძოლას არ წყვეტს. იმერეთში გადახვეწილი კახეთის მეფე ცდილობს შეაკავშიროს აქაური მეფე-მთავრები და ძალების ასეთი გაერთიანებით დაიწყოს ისევ გამათავისუფლებელი ომი. თეიმურაზმა კარგად იცოდა, რომ მარტო ეს ძალები მისთვის საკმარისი არ იქნებოდა, ამიტომ იგი ისევ რუსეთს მიაპყრობს მზერას. მისი ინიციატივით იმერეთის მოწინავე წრეებმა და თვით იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ემ რუსეთთან პოლიტიკური კავშირის შეკვრა გადაწყვიტეს. 1649 წლის 13 აგვისტოს თეიმურაზ I-ისა და ალექსანდრე III-ის ელჩები ჩადიან მოსკოვში⁵⁸. თეიმურაზი სთხოვდა რუსეთის მეფეს სამხედრო და ფინანსიურ დახმარებას, თუ ამის საშუალება არ იქნებოდა დიპლომატიური გზით მაინც შუამდგომლობას ირანის შაჰის წინაშე, რომ მისთვის დაებრუნებინა კახეთის ტახტი. ელჩები თხოვდნენ აგრეთვე რუსეთის მეფეს, მფარველობაში მიეღო იმერეთის სამეფო. თანხმობის შემთხვევაში ალექსანდრე იმერთა მეფე სთხოვდა რუსეთის სამეფო კარს, გამოეგზავნა დონელ კაზაკთა რაზმი ლევან დადიანის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან მხოლოდ სამეგრელოს შესახებ ჰქონდა მონაცემები. ჯერ კიდევ 1636 წელს ლევან დადიანმა გაგზავნა რუსეთში თავისი ელჩი ხუცესი გაბრიელ გეგენავა. რუსეთიდანაც სამეგრელოში გამოიგზავნა საპასუხო ელჩობა ფედოტი ელჩინის მეთაურობით (1639 წ.). ამ ელჩობამ აღწერა სამეგრელო და ეს აღწერილობა წარმოადგინა საგარეო საქმეთა საგანგოში⁵⁹. რაც შეეხება იმერეთს, გურიას, რაჭას, აფხაზეთს — საქართველოს ეს ნაწილები რუსეთის პოლიტიკოსებისათვის უცნობი იყო. ამიტომ თეიმურაზისა და იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ეს მომართვის საპასუხოდ ალექსი მიხეილის-ძის განკარგულებით მომზადდა სპეციალური ელჩობა ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის მეთაურობით, რომლებსაც სხვა მნიშვნელოვან დავალებებთან ერთად (უნდა გაერკვიათ თეიმურაზის შვილიშვილის, ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გაგზავნის საკითხი, იმერეთის მეფისათვის მიეღებინებინათ „ფიცის წიგნი“ და სხვა) ევალებოდათ შეედგინათ

⁵⁸ მ. პოლიევქტოვი. სტოლნიკი. ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში (1650—1652), თბ., 1926, გვ. 8.

⁵⁹ Путешествия русских послов XVI—XVII вв. Статейные списки, отв. ред. Д. С. Лихачев, М.-Л., 1954, стр. 206—226.

იმერეთის სამეფოს დაწვრილებითი აღწერა. ტოლოჩანოვმა და იევ-
ლევმა შეადგინეს დასავლეთ საქართველოს აღწერილობა და წა-
რადგინეს მოსკოვის საელჩო პრიკაზში⁶⁰.

1653 წლიდან რუსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა თეიმურა-
ზის შვილიშვილი ერეკლე დავითის-ძე, რომელიც რუსეთში გაგზავ-
ნილი იყო თითონ მისი პაპის ინიციატივით. თეიმურაზი ვარაუდობ-
და, რომ ქართველი ბატონიშვილის მოსკოვში ყოფნით უფრო მტკი-
ცე საფუძველი შეექმნებოდა რუსეთ-საქართველოს კავშირს, რად-
გან ამით თეიმურაზი ერთის მხრივ, ხაზს უსვამდა თავის უსაზღვრო
ერთგულებას რუსეთისადმი და, მეორეს მხრივ, რუსეთის სამეფო
კარიც, თანხმდებოდა-რა ქართველი ბატონიშვილის თავისთან
ყოფნას, თავის თავზე იღებდა გარკვეულ ვალდებულებებს საქარ-
თველოს მიმართ⁶¹.

XVII საუკუნის 50-იან წლებში რუსეთი მაინც განზე დგას
საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ამბებიდან, თუმ-
ცა საქართველოს შესახებ სათანადო ინფორმაციას რუსეთის პო-
ლიტიკოსები გულდაგულ აგროვებენ. მაგალითად, სწორედ ამ
დროს საქართველოდან მოსკოვში ჩამოდის ქართველი მთიელების—
თუშების, ფშავლების და ხევსურების—დელეგაცია, რომელიც
სთხოვს რუსეთის მთავრობას საქართველოს ამ ნაწილის — თუშ-
ფშავ-ხევსურეთის, სადაც ჭერ კიდევ ფეხი ვერ მოუმაგრებიათ
სპარსელებს, რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებას. საგარეო საქ-
მეთა საგანგოში ქართველ მთიელთა ელჩები გულდაგულ დაჰკით-
ხეს. ჩაწერილი პასუხებიდან ჩანს თუ რა საკითხები აინტერესებ-
დათ რუს პოლიტიკოსებს, კერძოდ, მათი სარწმუნოებრივი მდგო-
მარეობა, საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა (ვინ მართავს და ვის
ემორჩილებიან ისინი), რამდენი ჯარის გამოყვანა შეუძლიათ, რო-
გორია შეიარაღება, რა მანძილითაა დაშორებული მათი ქვეყანა
თერგის ციხე-ქალაქიდან და სხვა.

⁶⁰ იხ. აღნიშნული ელჩობის მასალების მ. პოლიევქტოვისეული გამოცემა,
შესავალი. გვ. 020—021; აგრეთვე, ი. ცინცაძის გამოცემები: აღუქსი იევლევის
1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ.,
1969; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650—1652
წწ., თბ., 1970.

⁶¹ Ш. А. Месхиаи Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузин-
ских взаимоотношений (X—XVIII вв.), Тб., 1958, გვ. 75; შეად. ნ. ნაკაშიძე,
საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება, კრ. ქართუ-
ლი სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, თბ., 1970, გვ. 81—
82.

ქართველ მთიელთა ელჩობის საპასუხოდ თუშ-ფშავ-ხევსურეთში გაიგზავნენ რუსი მოხელეები, რომლებმაც აღწერეს საქართველოს ეს რაიონები და სათანადო „აღწერილობა“ წარადგინეს საელჩო პრიკაზში⁶². ამრიგად, რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგებო დაცულ საქართველოს ცალკეული ნაწილების შესახებ ცნობებს მიემატა კიდევ ერთი მხარის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) აღწერილობაც.

1658 წელს მოსკოვში ჩამოდის თვითონ თეიმურაზ I, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამეფო კარმა იგი დიდის პატივით მიიღო, მას მაინც იმედის გაცრუება ელოდა. თეიმურაზი გაბედულ გეგმას უდგენდა თავის მფარველს, მაგრამ რუსეთს ამჯერად არ ეცალა საქართველოსათვის და არც შეეძლო რეალური დახმარება გაეწია ირანის კლანჭებიდან საქართველოს გამოხსნისათვის ამ თავდადებული და დაუღალავი მებრძოლისათვის. 1658 წლის ოქტომბერში თეიმურაზი საქართველოსაკენ გამოემართა. საქართველოში კი ამ დროს დიდი ამბები დატრიალდა. ჩვენ საჭიროდ ვთვლით ამ ფაქტებზე შედარებით ვრცლად შევჩერდეთ, ვინაიდან ისინი ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არიან სათანადოდ შესწავლილნი და დაზუსტებას მოითხოვენ.

§.

1658 წელს, ჯერ კიდევ თეიმურაზის რუსეთში ყოფნისას, გარდაიცვალა ქართლის მმართველი როსტომ ხანი და ირანის შაჰმა ქართლის ტახტზე დაამტკიცა ვახტანგ მუხრან-ბატონი, თეიმურაზის მოქიშპე ფეოდალი, ბაგრატიონთა გვერდითი შტოს წარმომადგენელი. თეიმურაზ I რუსეთის მეფეს როდესაც მოახსენებდა, რომ საქართველოში მას ჰყავს ორი მთავარი მოწინააღმდეგე „ბოიარი“, ერთ-ერთს სწორედ ამ ვახტანგს ჰგულისხმობდა⁶³. როგორც ცნობილია, შაჰმა 1656 წელს როსტომ ხანს ჩამოართვა კახეთი და სამართველოდ გადასცა განჯის ხანს სელიმს. იგი აქ ყიზილბაშობის დამყარებას აპირებდა. ქართველი პოლიტიკოსები და პირველ რიგში თეიმურაზი ამ საფრთხეს კარგად გრძნობდნენ და დაუყოვნებ-

⁶² ი. ციციანიძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის შუაწლები), ეურნ. მნათობი, 1956 წ., № 2.

⁶³ ე. მაჭიაძე, ჩანაწერები თეიმურაზ პირველის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წელს, თ. უ შრომები, ტ. 113, 1965, გვ. 448; გ. პაიჭიაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652—1658) სისტორიო მონაბე, № 19—20. თბ., 1965, გვ. 463.

ნებლივ საწინააღმდეგო ზომების მიღებას შეუდგნენ. თვით ყიზილბაშების მხარეზე გადასული და გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალებიც კი წინ აღუდგნენ ირანის შაჰის ამ განზრახვას და ერთიანი გამოსვლისთვის ბრძოლის სამზადისი გაშალეს. თეიმურაზის რუსეთში ჩასვლა, ხოლო ამაზე აღრე, ზემოთ აღნიშნული, თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩობანი მოსკოვში, ამ საერთო მოქმედების ნაწილი იყო. რუსეთისაკენ მიმავალი თეიმურაზი იმედოვნებდა, რომ ამ გადამწყვეტ მომენტში მას რუსეთი დაეხმარებოდა არა მხოლოდ სამხედრო ძალით, არამედ თავისი ავტორიტეტითაც. რუსეთის აქტიური გამოსვლა თეიმურაზის მხარდასაჭერად დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა დაქსაქსულ ძალებს თეიმურაზის დროშის ქვეშ გააფრთხილებდა, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, 1658 წლის ოქტომბერში თეიმურაზი რუსეთიდან იმედგაცრუებული გამობრუნდა. რუსეთი მაშინ ჩაბმული იყო პოლონეთთან და შვედეთთან ომში⁶⁴ და საქართველოსადმი აქტიური დახმარების გაწევა არ შეეძლო. რუსი პოლიტიკოსები ამჯერად მხოლოდ დიპლომატიურ დახმარებას ჰპირდებოდნენ და აღუთქვამდნენ, რომ როცა მოიცლიდნენ, საქართველოსაც უსათუოდ მოჰხედავდნენ.

ირანის შაჰის კარი საკმაოდ შეშფოთებული ადევნებდა თვალყურს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებას. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში შაჰ-აბას II-ემ აუცილებლად ჩათვალა დაესწრო რუსეთისათვის და თავისი ჩრდილოეთელი ქრისტიანი „მეგობარი“ მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინა. შაჰის დიპლომატები ხომ რუსეთის მეფეს უმტკიცებდნენ, რომ საქართველოში ისინი მოქმედებდნენ მხოლოდ აქაური მაჰმადიანების ინტერესების დაცვისათვის⁶⁵, ისევე როგორც რუსეთი საქართველოს მფარველობაზე უფლებას ქრისტიანების დაცვის მიზეზით ასაბუთებდა.

შაჰ-აბას II-ემ ბრძანება გასცა კახეთში შემოესახლებინათ მომთაბარე თურქმანები და ამით ეს მეამბოხე და დაუმორჩილებელი ქვეყანა, საბოლოოდ მორჩილ ყიზილბაშურ-მაჰმადიანურ სახანოდ გადაექციათ. რუსეთსაც აღარ ექნებოდა საფუძველი თავი გამოეცხადებინა ამ ქვეყნის მფარველად. მაგრამ ქართველმა ხალხმა აქ თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა. 1659 წელს კახეთში იფეთქა სახალხო აჯანყებამ და დამპყრობელის ეს განზრახვა საფუძველებშივე

⁶⁴ შვედეთთან ზავი დაიდო 1658 წლის 20 დეკემბერს, ხოლო პოლონეთთან გაცილებით უფრო გვიან — 1667 წელს.

⁶⁵ Армяно-русские отношения в XVII веке (сборник документов), под редакцией проф. В. А. Парсаяна, Ереван, 1953, стр. 13—14.

ჩაშალა⁶⁶. ირანის შაჰის კარი იძულებული იყო ამ მარცხზე ყური წაეყრებინა. მას ერჩივნა ეს აჯანყება მცირე შინაურ კონფლიქტად გამოჩენილიყო, ვიდრე მძლავრ ანტიირანულ სახალხო მოძრაობად. ამიტომ დამსჯელ რეპრესიებს იგი არა ჩქარობდა, მას განსაკუთრებით რუსეთის რეაქცია აინტერესებდა მართალია, თეიმურაზი რუსეთიდან ხელმოცარული ბრუნდებოდა, მაგრამ მოხუც მეფეს მოსკოვში დატოვებული ჰყავდა შვილიშვილი, რომელიც იქ დიდი პატივით სარგებლობდა და კახელებიც მასზე დიდ იმედებს ამყარებნენ. მათ სამართლიანად მიაჩნდათ, რომ რუსეთი ერეკლე ბატონიშვილს უფრო ქმედითად დაუჭერდა მხარს.

ჯერ კიდევ გზაში იყო თეიმურაზი, როდესაც შეიტყო თავისი უფროსი შვილიშვილის, ლუარსაბის გარდაცვალების ამბავი. მან ქ. სარატოვიდანვე გაუგზავნა მეფე ალექსი მიხეილის-ძეს თხოვნა, რომ საქართველოში გამოეშვა ერეკლე ბატონიშვილი. იმერეთში დაბრუნების შემდეგ თეიმურაზმა და იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ემ სპეციალური ელჩობა გაგზავნეს მოსკოვში თხოვნით ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამოშვების შესახებ⁶⁷. რუსეთის მეფე დათანხმდა ერეკლე დავითის ძის საქართველოში გამოგზავნას და 1660 წლის 3 ივნისს ქართველი ბატონიშვილი მოსკოვიდან დიდი ზემოთ გამოისტუმრეს. მას თან მრავალრიცხოვანი ამაღლა მოჰყვებოდა (92 კაცი). მასთან ერთად საქართველოში ბრუნდებოდნენ ქართველი ელჩებიც (მიტროპოლიტი გრიგოლი ოთხი თანმხლები სასულიერო პირით, თავადი შერმაზან ურუსოვი, მარკოზ თომაევი, კალისტი ვასილევნი და არქიმანდრიტი მათე თავიანთი მსახურებითა და თანმხლები პირებით), ხოლო უფრო გვიან, 20 ივნისს საქართველოში გამოიგზავნენ რუსეთის მეფის ელჩებიც მიაკინინი და იაკობ უშაკოვი, საჩუქრებითა და სამეფო ხაზინით. 12 აგვისტოს ესენი უკვე ასტრახანში იყვნენ (ერეკლე კი თერგის ციხეში იყო გაჩერებული) და ელოდებოდნენ საქართველოდან ამბის მიღებას. საქართველოში კი მოვლენები ძალიან სწრაფად და რუსეთისთვის მოულოდნელად განვითარდა.

1660 წლის 11 ოქტომბერს თერგის ციხეში ჩამოვიდნენ თეიმურაზ მეფის ელჩები დავით გრიგორიევი, თარჯიმანი ივანე ფეოდოროვი და შოსტა მაქსიმოვი. მათ თერგის ვოევოდას მოახსენეს,

⁶⁶ ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპეის 300 წლისთავის გამო, მნათობი, № 8, თბ., 1959.

⁶⁷ გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1685 წწ.), საისტორიო მოამბე, № 23—24, თბ., 1970, გვ. 151.

რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა, ხოლო მისმა ცოლ-მა დედოფალმა დარეჯანმა ალექსანდრეს შვილს და თავის გერს, ბაგრატს თვალეები ამოსწვა. ამის შემდეგ იმერეთის დიდმა თავადმა ერისთავმა თავისი მომხრეებით შეიპყრო თავადი ლუკიანე, რომელიც ამის წინ მოსკოვში იყო ელჩად⁶⁸, უბრძანა მისთვის თვალეები ამოეწვათ და გაეზავნა იგი დადიანის ქვეყანაში, ხოლო მისი ყველა შვილი ამოახოცინა. ეს ერისთავი თურქეთში იყო, იქიდან იმერეთში მოიყვანა თურქთა ჯარი და ამჟამად ფლობს იგი იმერეთის ქვეყანას და ცხოვრობს ქუთაისში. ალექსანდრეს მეუღლე დედოფალი დარეჯანი, თეიმურაზ მეფის ასული, მან, ერისთავმა. დადიანის ქვეყანაში გადაასახლა, ხოლო მეფე თეიმურაზი კი თბილისში წაიყვანეს. თბილისში ზის ყიზილბაშთა შაჰის ხანი შაჰ-ნავაზი, ხოლო დადიანის ქვეყანას ფლობს მეფე ალექსანდრეს მიერ დასმული ლიპარტიანი⁶⁹.

იმავე წლის 29 ნოემბერს თერგიდან ასტრახანს ჩასული ამ ელჩობის ერთ-ერთი წევრი, ქართველი თარჯიმანი ივანე ფედლო-როვი უფრო დაწვრილებით მოახსენებდა რუს მოხელეებს საქართველოში დატრიალებულ ამბებს: გასული 7168 წლის (ე. ი. 1660 წლის. რუსული კალენდრით ახალი წელი სექტემბერს იწყებოდა, ამიტომ ნოემბერი უკვე 7169 წლისად ითვლებოდა) დიდმარხვის პირველი კვირის ორშაბათ დღეს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე, რომელმაც მხოლოდ სამ დღეს იავადმყოფა. მეფე თეიმურაზმა და იმერლებმა სამეფო ტახტზე დასვეს მისი შვილი ბაგრატი და ცოლად შერთეს ერეკლე ბატონიშვილის დეიძლი და, კატერინა (ქეთევანი), მაგრამ მან მხოლოდ სამი თვე დაჰყო სამეფო ტახტზე. იმერეთის ქვეყნის კათალიკოსმა ალექსანდრე მეფის ცოლს, დარეჯანს ჩააგონა, რომ მან თავის გერს, ბატონიშვილ ბაგრატს, თვალეები ამოსწვას, თვითონ შეირთოს ვახტანგი და კვლავ შეიქმნას იმერეთის ქვეყნის მფლობელი. დარეჯან დედოფალმა მართლაც ამ

⁶⁸ ამ ელჩობის შესახებ იხ. გ. პაიკაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652—1660), საისტორიო მოამბე, № 19—20, თბ., 1965, გვ. 459.

⁶⁹ მეფე ალექსანდრეს მიერ სამეგრელოს მთავრად (დადიანად) დასმული იყო ვამეყ ლიპარტიანი. ჩვენ აქ მოგვაქვს ამონაწერები გ. პაიკაძის მიერ ამ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული რუსული მასალებიდან (იხ. მისი პუბლიკაცია „მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1685 წწ.)“, საისტორიო მოამბე, № 23—24, თბ., 1970), ამიტომ საყუთარ სახელებს ვტოვებთ ისე, როგორც ეს წყაროშია. თუ ხერხდება მათი ქართული შესატყვისი სახელის დადგენა, ამ უკანასკნელს ფრჩხილებში მოვიტანთ.

შეგონებით ბაგრატ ბატონიშვილს თვალეზი ამოსწვა, თვითონ კი ცოლად გაჰყვა ამ ვახტანგს. ამ ამბიდან სამი კვირის შემდეგ იმერეთის ქვეყნის დიდი თავადი ერისთავი წავიდა თურქთა ქვეყანაში და თან ჩამოიყვანა 12000-ანი ჯარი. მან დედოფალი დარეჯანი, მის ქმართან, ვახტანგთან ერთად გადაასახლა შავი ზღვისპირას მდებარე ციხე-ქალაქ „აპლაზიტ“-ში (თუ ზღვის პირას მდებარე ქვეყანა აფხაზეთში?), თან ბრძანა, რომ ისინი იქ მონასტერში გამოეკეტათ. ამჟამად იმერეთის ქვეყანას ფლობენ ეს ერისთავი და დადიანთა ქვეყნის მფლობელი ლიპარტიანი. (ეს ერისთავი) ცხოვრობს ქუთაისში, ხოლო თურქი ჯარის კაცები დგანან იმერეთშივე. თურქთა სულთანის ვაზირი ჯარით დგას ბაღდადის ციხეში ერისთავის დასახმარებლად, იმიტომ რომ ეს ერისთავი და დადიანთა ქვეყნის მფლობელი ლიპარტიანი თურქთა სულთანს ყმად მიუვიდნენ. ბატონიშვილი ბაგრატი და მისი ცოლი ამ ერისთავს ქუთაისის ციხეში ჰყავს თავისთან, ხოლო მეფე თეიმურაზი შაჰ-ნავაზ ხანმა შაჰის ბრძანებით თბილისში წაიყვანა. თეიმურაზ მეფეს კი მათთან ბრძოლა აღარ შეეძლო, რადგან იგი ყველამ მიატოვა და მან, თეიმურაზმა, ნახარა თავისი გამოუვალი მდგომარეობა, სასწრაფოდ გაგზავნა რუსეთის ხელმწიფესთან და ქართველ ბატონიშვილთან, ერეკლე დავითის ძესთან, ეს ელჩები ამ ამბების შესატყობინებლად და გადასაცემად, რომ იგი, ერეკლე ბატონიშვილი, საქართველოში აღარ წამოვიდეს და გზიდანვე დაბრუნდეს მის მეფურ უდიდებულესობასთან⁷⁰.

1661 წლის 11 თებერვალს ქართველი ელჩი ათანასე პაპუნა, რომელიც თეიმურაზს გამოეგზავნა თბილისიდან რუსეთს მეფე ალექსი მიხეილის ძისათვის სიგელის, ხოლო - შვილიშვილისათვის, ერეკლე დავითის ძისათვის წერილის გადასაცემად, რუს მოხელეებს აწვდის დამატებით ცნობებს იმერეთში დატრიალებული ამბების შესახებ. კერძოდ იგი აღნიშნავს, რომ ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა იმის გამო, რომ ყველიერის კვირას ორგული უჭამია, მისგან ცუდად გამხდარა და მეხუთე დღეს გარდაცვლილა. მან თავისი შვილი, ბაგრატი სიკვდილის წინ ტახტზე დასვა. ბაგრატი ბატონიშვილი მაშინ გურიელის ქვეყანაში იმყოფებოდა, რადგან ალექსანდრეს იგი არ უყვარდა მისი ჰკუთხუსტობის გამო. ალექსანდრეს გარდაცვალებიდან მესამე დღეს ბაგრატიც ცოლად შეირთო ნიკოლოზ (ერეკლე) ბატონიშვილის და ეკატერინა (ქეთევანი). სამეფო ტახტზე იგი იყო მხოლოდ 6 კვირას. გარდაცვლილი მეფე

⁷⁰ გ. პ ა ი კ ა ძ ე, მასალები..., საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 153.

ალექსანდრეს ცოლმა და ახალი მეფის დედინაცვალმა დედოფალმა დარეჯანმა მას თვალები ამოსწვა, იმის გამო, რომ დედოფალს უთხრეს ბაგრატი თურქებთან მიდგომას აპირებსო. იმერეთის ქვეყნის დიდმა თავადმა ერისთავმა და სხვა იმერლებმა ეს დედოფალი მის ქმართან, ვახტანგთან ერთად და ბატონიშვილი ბაგრატიც მის ცოლთან ერთად გადაასახლეს დადიანის ქვეყანაში ლიპარტიანთან. ლიპარტიანმა კი ბაგრატი მის ცოლს გააშორა და მოსწერა მეფე თეიმურაზს სკანდის ციხეში, რომ მისი შვილიშვილი კატერინა (ქეთევანი), რომელიც ბაგრატის ცოლი იყო, მისი შვილისთვის შეეთხოვებინა და დაესვათ იგი იმერეთის ქვეყანაში მეფედ. ამასობაში კი ირანის შაჰმა თეიმურაზის შესაპყრობად თბილისიდან სკანდის ციხეში ჯარით გამოგზავნა თავისი ხანი შაჰ-ნავაზი, რომელსაც უბრძანა თეიმურაზის შეპყრობა და მასთან გაგზავნა. ამ ხანმა წაიყვანა თეიმურაზი თბილისში და აქედან გაგზავნა შაჰთან. მეფე თეიმურაზმა ეს თავისი კაცი, ათანასე, თბილისიდან მოსკოვში გამოგზავნა სწორედ იმ დღეს, როდესაც იგი შაჰთან წაიყვანეს. ნოემბრის თვე იყო, რიცხვი არ ახსოვს. ამ ელჩს თეიმურაზისაგან ნაბრძანები ჰქონდა თავიანი ეცა ხელმწიფისათვის და ეთხოვა, რომ რუსეთის მეფეს თეიმურაზი შაჰისაგან თავისთან წაეყვანა. ათანასეს ჰგონია, რომ თეიმურაზი შაჰისაგან დიდ უპატიობაში იქნება და შეიძლება შაჰმა იგი სიკვდილითაც დასაჯოს⁷¹.

აქამდე ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში ეს ამბები მართალია საკმაოდ ვრცლად, მაგრამ მაინც არასრულად იყო გადმოცემული. ისინი წინააღმდეგობებსაც შეიცავენ, რაც სინამდვილის დადგენას ერთობ აძნელებდა. ამ მონაცემებს, რაც ზემომოტანილ პუბლიკაციამდე იყო ცნობილი, თავი მოუყარა თავის „ნარკვევებში...“ პროფ. დ. გვრიტიშვილმა⁷², თუმცა მათი საბოლოო ანალიზისა და დაზუსტებისაგან თავი შეიკავა. გ. პაიჭაძის მიერ გამოქვეყნებული მასალა კი ჩვენს ცოდნას ამ მოვლენებზე ავსებს ახალი საყურადღებო ფაქტებით და ამ ამბების თანმიმდევრობის დადგენისა და დაზუსტების საშუალებასაც გვაძლევს.

ბაგრატის გამეფებას აქამდე ჩვენს ხელთ არსებული ქართული და სხვა წყაროები მხოლოდ ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მიუთითებენ. მარტო მაკარიოს ანტიოქელი წერდა, რომ «Чувствуя приближение своей смерти, царь Александр приз-

⁷¹ გ. პაიჭაძე, მასალები..., საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 155—156.

⁷² დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV—XVII სს.), ტ. II, თბ., 1965, გვ. 434—440.

ვალ კ себе высших вельмож своего государства и назначил при них своего сына царем вместо себя»⁷³.

ამასვე ადასტურებს თეიმურაზის ელჩის ათანასეს ჩვენება, რომლის შინაარსიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ: მეფე ალექსანდრე «в пятой день заговев, и не стало, а сына де своего царевича Баграта посадил было на своем месте на царство в то время, как он занемог, а был де он Баграт в гурьялской земле у владельца его Александра для того, что он царь Александр его нелюбил потому, что де он в уме простоват»⁷⁴.

ჩვენ არ შეგვიძლია არ დავუჭეროთ ამ მოტანილი ცნობების ავტორებს, რადგან ერთ-ერთი მათგანი, ათანასე ელჩი არის ამ ამბების უშუალო მომსწრე და დამხვედური პირი, ხოლო მაკარიოსი იმერეთში იმყოფებოდა ამ ამბებიდან მხოლოდ ოთხიოდე წლის შემდეგ და ინფორმაციას იღებდა სწორედ იმ პირებისაგან, ვინც ამ საქმეში მონაწილეობდა. ქართული წყაროები კი რამდენადმე გვიანდელია და უფრო ზოგადად გადმოსცემენ მოვლენების განვითარებას. ვახუშტი ერთგვარად უახლოვდება ამ ცნობას, როცა წერს, რომ ალექსანდრემ, იმის გამო, რომ დარეჯანთან მას შეილი არა ჰყავდა და ნაშვილები თეიმურაზის შვილიშვილიც გარდაიცვალა „მოიყვანა ბაგრატ ძე თვისი, შობილი გურიელის ქალისაგან და ჰყვანდა თავის თანა, ვითაცა სამეფო ძე...“⁷⁵, თუმცა მის მეფედ კურთხევას ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ გულისხმობს.

როგორც ცნობილია, ალექსანდრეს თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი ბაგრატი, ათვალწუნებული ჰყავდა იმის გამო, რომ მისი დედა, ალექსანდრეს პირველი ცოლი, ჯერ კიდევ ბაგრატის მცირეწლოვნების დროს „ცილ-წამებულ იქნა მემრუმედ“. ალექსანდრე ამ ქალს გაშორდა და მამამისს, გურიელს უკან დაუბრუნა. ამის შემდეგ ბაგრატი გურიაში იზრდებოდა. ათანასე აღნიშნავს, რომ ეს ბაგრატი, რომელიც ამ დროს უკვე 40 წლისა იყო, დიდი ჰკუთითაც ვერ დაიკვებნიდა და თითქოს ესეც იყო ალექსანდრეს მიერ მისი ათვალწუნების მიზეზი. მაგრამ სიკვდილის წინ ალექსანდრეს ბაგრატი მეფედ უკურთხებია. მისი მეფედ დასმის საქმეში თეიმურაზსაც მიუღია მონაწილეობა. ალექსანდრეს ასეთი ნაბიჯი და მასში თეიმურაზის მონაწილეობა ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ იმერეთის სამეფო კარზე ამ პერიოდში არსებობდა გარკვეული

⁷³ П. Жузе, Грузия в 17 столетии по изображению патр. Макария, стр. 16.

⁷⁴ გ. პაიქაძე, მასალები..., საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 155.

⁷⁵ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. II, ჩუბინოვის გამოცემა, სანქტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 201.

დაჯგუფებები განსხვავებული პოლიტიკური მიზნებით. საყურადღებოა ათანასეს შემდეგი ცნობაც: „ и после де Александровой смерти в третей день он Баграт женился царевича Николая Давыдовича на сестре ево родной Катерине“⁷⁶.

ამ ქორწინებას ყველა წყარო დარეჯანის ინიციატივას მიაწერს:

„რა მეფე ალექსანდრე მოკვდა, დარეჯან დედოფალმან თავის ძმის ქალი თავის გერს ბაგრატს შერთო და მეფეთ აკურთხა“ (ფარსადან გორგიჯანიძე)⁷⁷.

„ამან დარეჯან მოიყვანა ძმისწული მისი ქეთევან, მამიდამან მისმან, და მისცა ბაგრატს, გერსა თვისსა, და ისიძა“ (ბერი ეგნატაშვილი)⁷⁸.

„დედის ნაცვალმან მისმან დარეჯან დედოფალმან მისცა ბაგრატს ძმის წული თვისი ქეთევან დავითის ასული ცოლად და აქორწინა დიდებით და ისიძა გერი თვისი“ (ვახუშტი)⁷⁹.

დარეჯანის ასეთი ინიციატივა და, მით უმეტეს, ასეთი აჩქარება (ბაგრატს ქეთევანი ცოლად შერთეს ალექსანდრეს გარდაცვალებიდან მესამე დღეს) იმას მოწმობს, რომ დედოფალი ეშურებოდა ახალი მეფე, რომელიც როგორც ჩანდა დიდის ჰქუითა და ნებისყოფით არ გამოირჩეოდა, თავიდანვე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და არ დაეთმო პოზიციები მოწინააღმდეგე პარტიისათვის. დარეჯან დედოფალს წყაროები უფლებების მოყვარე და ნებისყოფის მქონე ქალად წარმოგვიდგენენ. მაგალითად, ფარსადან გორგიჯანიძე, როდესაც აღნიშნავს ამ ქორწინების ამბავს, შენიშნავს, რომ დარეჯან დედოფალი სინამდვილეში „თვითონ მეფეც იყო და დედოფალიცა. ბაგრატს არაფერი ეკითხებოდა“⁸⁰. ამ პერიოდის სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერიც პირდაპირ მიუთითებს, რომ „თემურაზ-ხანის ქალი, რომელიც ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ხანს, დიდი ნებისყოფის მქონე იყო“⁸¹.

დარეჯანს ჰყავდა თავისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. საინტერესოა ამ ორივე მხარის პოლიტიკური ხაზის გარკვე-

⁷⁶ გ. პ ა ი ჯ ა ძ ე. მასალები..., საისტორიო მოამბე. № 23—24, გვ. 155.

⁷⁷ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 62.

⁷⁸ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 436.

⁷⁹ ქართლის ცხოვრება, ჩუბინოვის გამოც., ნაწ. II, გვ. 202.

⁸⁰ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 62.

⁸¹ მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, გ. ფ უ თ უ რ ი ძ ი ს, გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 395.

ვა. დარეჯანის მომხრედ პირველ რიგში იმერეთის კათალიკოსი ჩანს. დარეჯანის მომხრეთა დასს ეკუთვნის აგრეთვე რუსულ წყაროებში მითითებული ვინმე „ბოიარინი ივანე ლუკიანოვი“ (შეიძლება აქ „ლორთქიფანიძის“ რუსული გადმოცემა), რომელიც 1657 წელს მეფე ალექსანდრეს მიერ მოსკოვში იყო გაგზავნილი ელჩად⁸². ამ დასში სხვებიც შედიან, რომლებსაც წყაროები მხოლოდ ზოგადად ასახელებენ: „დედოფლის კერძნი“ (ფარსადან გორგიჯანიძე), დედოფლის მომხრეთა ერთი ჯგუფი (მოჰამედ თაჰერი) და სხვა. დარეჯან დედოფლის მოწინააღმდეგეთა დასში კი შედიან: რუსული წყაროების „ბოიარინი ერისთავი“ (ეს უნდა იყოს რაჭის ერისთავი. ამ დროს რაჭის ერისთავია პაპუნა), აგრეთვე დადიანი, გურიელი და სხვანი (ჩაღმა მხრის და ქართლის მხრის თავადნი, რომლებიც „დედოფლის კერძნი არ იყვნენ“).

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ დედოფალი დარეჯანი და მისი მომხრენი თეიმურაზის პოლიტიკის გამტარებელნი არიან. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ბაგრატის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ მათ მეფობა თეიმურაზს შესთავაზეს, ასევე რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილის ჩამოყვანას და მის გამეფებას აპირებდნენ. აქედან გამომდინარე ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საგარეო პოლიტიკაში ისინი რუსული ორიენტაციისანი იყვნენ, ხოლო ქვეყნის შიგნით მტკიცე წესრიგის დამყარების მომხრენი იქნებოდნენ. ამრიგად, დარეჯანის გამოსვლა ბაგრატის წინააღმდეგ მარტო მისი ბოროტი ბუნებით არ უნდა აიხსნას, როგორც ამას ზოგიერთი მაშინდელი წყარო წარმოგვიდგენს. მის მოქმედებაში გარკვეული პოლიტიკური ხაზი ჩანს და ამ საქმეში იგი მარტო არ არის. ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი ბაგრატის წინააღმდეგ შეთქმულების მთავარ მონაწილედ იმერეთის კათალიკოსს ზაქარიას გულისხმობს⁸³. ასევე, იმერეთიდან თერგზე ამ ამბების წელსვე ჩამოსული ქართული ელჩობის წევრი, თარჯიმანი ივანე ფეოდოროვი ამ შეთქმულების ინიციატორად იმერეთის კათალიკოსს ასახელებს: „меретниские де земли власти каталикос, которого называют вместо патриарха, царя Александрову жену, царицу Дареджану наговорил, чтоб ей пасинку своему царевичу Баграту вынуть очи, а са-

⁸² გ. პაიქაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652—1658), საისტორიო მოამბე, № 19—20, თბ., 1965, გვ. 459—461.

⁸³ П. Жузе, Грузия в 17 столетии..., стр. 58.

მოი იტნი ზამუჯ ზა გრუზინცა ვაჰტანგა, ი მერეტინსკიუ ზემ-
ლეო ვლადეჲ პოპრეჰნემუ»⁸⁴.

საინტერესოა, რატომ აიძულებდნენ შეთქმულნი დედოფალ
დარეჯანს თავისი გერის მიმართ ასეთი საშინელი ნაბიჯი გადაედ-
გა? ბაგრატის მეფედ ყოფნის დროს ხომ ფაქტიურად ხელთ ეპყრა
ძალაუფლება დარეჯანს? ჩვენ გვაქვს ამ დროის დოკუმენტები, სა-
იდანაც ჩანს, რომ დედოფალს სამეფო კარზე პირველი ადგილი
უკავია. მაგალითად, 1660 წელს ქაიხოსრო და პაატა წერეთლებს
ებოძათ წყალობის წიგნი, რომელიც გაცემულია დარეჯან დედოფ-
ლისა და ბაგრატ მეფისაგან⁸⁵. ამავე პერიოდისაა გელათის მონას-
ტრისადმი შეწირულობის წიგნი, რომელშიც მოხსენებულნი არიან
დედოფალთ-დედოფალი კახთა მეფის ასული ნესტან-დარეჯანი,
შემდეგ მეფე ბაგრატ და მისი თანამეცხედრე ქეთევანი⁸⁶. პროფ:
დ. გვრიტიშვილი სამართლიანად შენიშნავდა: „ის გარემოება, რომ
დოკუმენტებში ჯერ ნესტან-დარეჯანი მოიხსენება, ხოლო შემდეგ
ბაგრატი, ერთხელ კიდევ ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძის
ცნობას იმის შესახებ, რომ ნესტან-დარეჯანი სამეფოში პირველი
პირი იყო“⁸⁷.

ათანასე ელჩის ცნობა და მოვლენების შემდგომი განვითარე-
ბა ამ შეთქმულების მოწყობის ნამდვილ მიზეზებსაც გასაგებს
ხდის.

დარეჯან დედოფლის პოლიტიკის მოწინააღმდეგე იმერელი
დიდგვარიანები ბაგრატს აქეზებდნენ, რომ თავი დაეღწია დარეჯან
დედოფლის გავლენისაგან და დამხმარედ თურქეთი გამოეყენებინა.
როგორც ჩანს ბაგრატი ამ რჩევის მიღებას აპირებდა. ამას პირ-
დაპირ მიუთითებს ათანასე ელჩი: „сказал де ей, судно он хочет
отдать турецкому султану“⁸⁸. მაგრამ დედოფალმა დაასწრო და
იმერეთის ამ გზაბნეულ მეფეს სასტიკად გაუსწორდა. ეს მომხდა-
რა ბაგრატის გამეფებიდან არც ისე დიდი ხნის გასვლის შემდეგ.
ქართველი ელჩები ორ სხვადასხვა თარიღს უჩვენებენ. ივანე ფეო-
დოროვის მიხედვით ბაგრატს სამეფო ტახტზე დაუყვია სამი თვე⁸⁹,

⁸⁴ გ. პ ა ი ქ ა ძ ე, მასალები... საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 153.

⁸⁵ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავ-
როებისა (1466—1770). შ. ბურჯანაძის რედაქციით, 1959. გვ. 30—31.

⁸⁶ ი ქ ვ ე, გვ. 31; აგვრთვე, თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 477—
478.

⁸⁷ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები..., ტ. II, გვ. 436.

⁸⁸ გ. პ ა ი ქ ა ძ ე, მასალები... საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 155.

⁸⁹ ი ქ ვ ე, გვ. 153.

ხოლო ათანასე ელჩის ჩვენებით ბაგრატი იმერეთის მეფედ იყო მხოლოდ 6 კვირას⁹⁰. ქართულ წყაროებშიც განსხვავებული მითითებებია და ამ ამბავს რამდენადმე უფრო გვიან მომხდარად გულისხმობენ (ივლისის თვეში ან 6 თვის გასვლის შემდეგ)⁹¹. ამ ცნობებში უპირატესობა ამჯერადაც ქართველი ელჩების ჩვენებებს უნდა მიენიჭოს, რადგან ისინი უშუალოდ იმ წელს არიან ფიქსირებულინი, როდესაც ეს ამბავი მოხდა. მაშასადამე, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ბაგრატის წინააღმდეგ დარეჯან დედოფლის დასის გამოსვლა მოხდა არა უგვიანეს 1660 წლის ივნისის თვისა.

დარეჯანის მომხრეებმა ბაგრატი შეიპყრეს და თვალები ამოჰხადნეს (ამოსწვეს). ფარსადან გორგიჯანიძე ამტკიცებს, რომ ამის შემდეგ დარეჯანი „მეფობას თავის მამას შეეპატიჯა. მამამ უჯავრა, რისთვის ჩემს სიძეს თვალები დასთხარეო. სკანდიტ ქუთაისის არ ჩავიდა. დედოფალმანც მამის ჭავრით ვახტანგ მეფედ აკურთხა და ქმრად შეირთო“. მოხუც და ავადმყოფ მეფეს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე უკვე ხელი აქვს აღებული. თავისი ქალიშვილის მოქმედება თეიმურაზს არ მოსწონებია. ამის შემდეგ დარეჯანმა, თავისი მომხრეების რჩევით, შეირთო იმერეთის მეფეთა შორეული ნათესავი, ვახტანგ ბაგრატიონი (ქუქუნაშვილი) და იგი იმერეთის მეფედ, ხოლო თავისი თავი დედოფლად გამოაცხადა.

ნიშანდობლივია დარეჯანის მოწინააღმდეგეთა მოქმედება, საიდანაც კარგად ჩანს ზემომოტანილი ცნობის სისწორე, რომ ეს უკანასკნელი თურქული ორიენტაციისანი იყვნენ. ქართველი ელჩების საამბობის მიხედვით, დარეჯანის წინააღმდეგ პირველ რიგში გამოსულა ერისთავი. პაპუნა რაჭის ერისთავის ასეთი აქტიური გამოსვლის შესახებ მხოლოდ ამ ელჩების მონათხრობით ვგებულობთ. აქამდე ჩვენს ხელთ არსებული ქართული თუ სხვა წყაროებით ერისთავის ასეთი მოქმედების შესახებ არაფერი ვიცოდით. ივანე ფეოდოროვი გადასცემდა რუს მოხელეებს, რომ შეთქმულების შემდეგ «после, де того спустя недели с три меретинския земли боярин ернстов ходил в турскую землю, и привел с собою турских ратных людей 12000»⁹². ასევე ამ ერისთავს დარეჯანის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურად ასახელებს ათანასე ელჩიც⁹³. და-

⁹⁰ გ. პაიჭაძე, მასალები... საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 155.

⁹¹ დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები... ტ. II, გვ. 436.

⁹² გ. პაიჭაძე, მასალები... საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 153.

⁹³ იქვე, გვ. 155.

რეჯანის წინააღმდეგ გამოვიდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები და იმერეთის სხვა თავადებიც. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით „ქართლისაკენ თავადნი ქართლის მეფეს საყმით შემოეპატივნენ, იმერეთს გარდაიყვანეს. ჩაღმა მხრის თავადნი დადიანს საყმით შეეპატივნეს და ქუთათის მოიყვანეს. ორნივე იმერით ჩავიდნენ“⁹⁴.

ასეთ ძნელ ვითარებაში, როდესაც ერთის მხრივ აჯანყებული იმერელი მთავარნი (დადიან-გურიელი) და სხვა თავადნი, აგრეთვე თურქთა დამხმარე ჯარით რაჭის ერისთავი იყო მომდგარი, ხოლო აღმოსავლეთიდან ქართლის გამაჰმადიანებული მეფე ვახტანგ მეხუთე მოეშურებოდა, დარეჯანს ამ უკანასკნელთან შეთანხმება უცდია: „დედოფალმა ქართლის მეფეს წინგნი მისწერა: 'თუ მამეშველებით, ჩემს ქეთევანსაო თქვენს არჩილს მივსცემო და ლეხთ იმერეთს მეფედ ვაკურთხებო. მეფემაც სამასის მეთოფით კათალიკოზი მიაშველეს, ქუთაისს ციხეში შეგზავნა და ოტია ჩხეიძემ უმუხანათა და ვახტანგ ახალი მეფე ფიცით ციხიდან გამოიტყუა და დადიანს დააჭირვინა და თვალები დასთხარეს“⁹⁵. ამრიგად, დარეჯანს ამ შეთანხმებითაც არაფერი გამოუვიდა და მარცხი განიცადა. მისი მეუღლე მოწინააღმდეგებმა შეიპყრეს და დააბრმავეს. ბოლოს მათ ქუთაისიც აიღეს და თვით დედოფალი დარეჯანიც დაატყვევეს. იმერეთის ამ მემამბოხე მთავრებს ხელთ ჩაუვარდათ აგრეთვე ყოფილი მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძეც მის მეუღლესთან, ქეთევანთან ერთად. ამბოხების მეთაურები ერისთავი და დადიანი იმერეთს დაეუფლნენ. მათ მიერ მოყვანილი თურქთა ჯარი იმერეთში დარჩა, რადგან ერისთავიც და დადიანიც თურქთა სულთნის ყმად შექმნილან, აღნიშნავს თარჯიმანი ივანე ფეოდოროვი—«а турецкие де ратные люди стоят в Мерети-ж, де турецкого де салтана везир с ратными людьми стоит в Богдаде, в турецком городе... а стоит он де для помочи ериставу, потому что де он еристав и дадьянской владелец Липартьян поддалися турецкому салтану»⁹⁶.

უწინათლო ბაგრატი და მისი ცოლი ქეთევანი თავდაპირველად ერისთავს ჰყოლია თავისთან ქუთაისში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისინიც, როგორც-დატყვევებული დარეჯან დედოფალი და მისი ქმარი ვახტანგი სამეგრელოში გადაუყვანიათ. კერძოდ, ათანასე ელჩი რუს მოხელეებს მობახსენებდა, რომ «И меретинские де земли боярин еристов и иные меретинцы ее царицу

⁹⁴ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 63.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ გ. პაიჭაძე, მასალები..., საისტორიო მოამბე. № 23—24, გვ. 153.

ს მუჟემ ეე Вахтаном, ი царевица Баграта с женою ево сос-
ლали в дадянскую землю ко владелцу Липартьяну, и ныне де
они у него Липартьяна»⁹⁷.

გამარჯვებული მთავრები მოწინააღმდეგეებისადმი ანგარიშის-
გასწორებას და ძალაუფლების განაწილებას შეუდგნენ. ერისთავ-
მა შეიპყრო დარეჯანის მომხრე თავადი ივანე „ლუკიანე“ (ლორთ-
ქიფანიძე?), რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1657 წელს
ძოსკოვში იყო გაგზავნილი ალექსანდრე მეფის ელჩად. ამ ყოფილი
ელჩისადმი სასტიკი გასწორება (მას თვალები ამოსწვეს, ხოლო მისი
შვილები ამოხოცეს), მოწმობს ამ შეამბონზე მთავრების უკიდურეს-
სად ანტირუსულ განწყობილებას. ერისთავი ქუთაისში დადგა და
იმერეთის მნიშვნელოვანი ნაწილის დაუფლებას ცდილობდა. დადი-
ანი უფრო შორს წავიდა. მან თავისი შვილის იმერეთის ტახტზე
აყვანაც კი განიზრახა. ისარგებლა რა იმ ამბით, რომ მის ხელში იყო
იმერეთის დამხობილი მეფე, უსინათლო ბაგრატი, მან იძულებით
გააშორა ეს ბაგრატი მის ცოლს ქეთევანს და სკანდის ციხეში
პლგარ თეიმურაზს შემოუთვალა, რომ ქეთევანს ჩემს ვაჟზე დავა-
ქორწინებ და შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტზე დავსვამო⁹⁸. ვა-
ძიყ დადიანს თეიმურაზის ავტორიტეტის გამოყენება სურდა თავი-
სი მიზნის მისაღწევად.

თეიმურაზი კარგად ხედავდა, რომ იგი შეიძლებოდა ვამიყ
დადიანის საპატიო ტყვედ შექმნილიყო. ვამიყის უკან კი თურქეთი
იდგა. ვამიყის მხარეზე გადასვლა ნიშნავდა თურქული ორიენტა-
ციის აღებას, რაც ამდენი ბრძოლით მოპოვებული და ჯერ კიდევ
შერჩენილი საქართველო-რუსეთის კავშირის საბოლოო დამსხვრე-
ვას მოასწავებდა. თეიმურაზისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ
რუსეთი თურქეთის მიმართ არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა
და მართლმადიდებელი ქრისტიანების დაცვის საბაბით მის წინა-
აღმდეგ ომისათვის ემზადებოდა. სულ სხვა იყო ირანი, რომელთა-
ხაც რუსეთი კარგი ურთიერთობის დამყარებას ესწრაფვოდა და
ოსმალეთთან მომავალ ომში მისი მოკავშირედ გამოყენება სურდა.
რუსი პოლიტიკოსები არაერთხელ ურჩევდნენ თეიმურაზს, რომ
მას ირანთან შერიგება ეცადა და საერთოდ კარგი ურთიერთობა
ჰქონოდა შაჰის კართან, თეიმურაზის წინაშე ძალაუვნებურად არჩე-
ვანი დადგა. აღმოსავლეთიდან არგვეთისაკენ ქართლის მეფე ვახ-
ტანგი მოემართებოდა და მისი გამოლაშქრების მიზანიც თეიმურა-

⁹⁷ გ. ვაიჭაძე. მასალები... საისტორიო მოამბე, №23—24, გვ. 155.

⁹⁸ იქვე.

ზის ხელთ გდება იყო. თეიმურაზის ამაღლის წვერებს შორის ბევრი ყოფილა შაჰ-ნავაზის მომხრე, რომლებიც მეფე თეიმურაზს ირანის შაჰისადმე დამორჩილებას და შერიგებას ურჩევდნენ. მათს ასეთ რჩევას ის გამართლება ჰქონდა, რომ 1659 წლის კახეთის აჯანყებამ თავისი ძირითადი მიზანი შეასრულა — ჩაშალა კახეთის გაყინილბაშების გეგმა, არ დაუშვა აქ უცხო ელემენტის, მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლება მდგომარეობის შემდგომი გამწვავება კი კახეთს ირანის მთელი ძალის წინაშე დააყენებდა. მარტო კახეთს, რა თქმა უნდა, ყიზილბაშური ირანის მთელი ძალის წინაშე არაფრის გაწყობა არ შეეძლო. 1614—1616 წლების მაგალითი წინა ჰქონდათ. რუსეთიდან წამოსული ერეკლე ბატონიშვილიც, მართალია დიდი ამალით, მაგრამ რუსეთის სამხედრო დახმარების გარეშე მოდიოდა.

ფარსადანის გადმოცემით, ამ დროს ზაალ არაგვის ერისთავს „ბატონს თეიმურაზისთვის სკანდის ციხეში კაცი და საფიცრის წინგნი გაეგზავნა, რომ ქართლსა და კახეთს თქვენს მეტი მემკვიდრე პატრონი არსად დარჩომილო. მანდ ნუ დგახარ, კახეთს ჩამობრძანდითო, ქართლიც თქვენი იქნებისო“⁹⁹. თეიმურაზს ყოყმანი დაუწყია. თავდაპირველად იგი აპირებდა მიეღო ზაალის წინადადება, მაგრამ მასთან მყოფი კახელი დიდებულები ამის წინააღმდეგ წასულან. ირანთან ახალი ბრძოლის წამოწყებაში წარმატება ნაკლებ მოსალოდნელი იყო. უკეთესი გამოსავალი იქნებოდა ეცადათ ირანთან შეთანხმება და ირანის შაჰის გულისწყრომის დაშოშმინება. მითუმეტეს, რომ, როგორც აღვნიშნეთ ირანის შაჰი კახეთისადმი ანგარიშის გასწორებას არა ჩქარობდა და თავისი მოქმედებით შერიგებოს იმედს იძლეოდა. ირანის წინააღმდეგ ბრძოლის მომხრენი თეიმურაზს აღარ შერჩენია¹⁰⁰, ამიტომ იყო, რომ მან შაჰ-ნავაზთან მოლაპარაკება გამართა. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით მეფე თეიმურაზმა „თავისი სახლთუხუცესი ოთარი შაჰნავაზ მეფეს მიუგზავნა და ასრე შესთვალა: თქვენის საქმით მინდა ყვენთან წავიდეო. ეს ნამეტნავად მეფეს იამა და ამილახორი გივი გაუგზავნა და დიდი პატივით ქართლს გადმოიყვანეს“¹⁰¹.

ამ ამბების მონაწილე არჩილიც თეიმურაზს ათქმევინებს:

„მე დავრჩი ყოვლგნით ოხერი არგვეთს, ციხეა სკანდისას, ვამიყთან როგორ მივიდე, პურს ვსჭამდე უხმლოს კაცისას?“

⁹⁹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 63.

¹⁰⁰ «Ево бояре ево покинули»... «а битца де ему Теймуразу царю с ними стало неким, грузинцы все ево покинули»...

¹⁰¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 63.

ქართველს ბატონსვე მივიღდე, მოსივ ვარჩიე იმისას,
გზას ვსახოვდი საფიცარითა ყაენის კარზე წასვლისას“¹⁰².

რუსეთში კი თეიმურაზი ატყობინებდა, რომ იგი ყიზილბაშებ-
მა ძალით წაიყვანეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე 1660 წლის
11 ოქტომბერს თერგის ციხეში ჩავიდნენ თეიმურაზის მიერ სკან-
დის ციხიდან გაგზავნილი ელჩები, რომლებმაც რუსეთის მოხელე-
ებს და ქართველ ბატონიშვილს შეატყობინეს იმერეთში დატრია-
ლებული ამბები და შაჰ-ნავაზის მიერ თეიმურაზის შეპყრობა. მათ
გადასცეს თეიმურაზის დავალება, რომ ერეკლე დავითის ძე საქარ-
თველოში აღარ წამოსულიყო და უკან მოსკოვში დაბრუნებული-
ყო. ამასვე აღნიშნავდა ასტრახანში ჩასული ამ ელჩობის წევრი
ქართველი თარჯიმანი ივანე ფეოდორივიც და უმატებდა, რომ ისი-
ხი თეიმურაზმა საიდუმლოდ გამოგზავნა და არც წერილები გამო-
ატანა, რათა იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოზე ამ წერი-
ლების გარეშე უფრო უშიშრად გაველოთ. თერგის ციხეში ისინი 11
ოქტომბერს ჩავიდნენ¹⁰³, ე. ი. სკანდის ციხიდან დაახლოებით სექ-
ტემბრის თვეში წამოსულან. აქედან ჩანს, რომ თეიმურაზის საპა-
ტიო დატყვევება შაჰ-ნავაზის მიერ მომხდარა 1660 წლის სექტემ-
ბერში¹⁰⁴. თვითონ თეიმურაზ მეფე რუსეთის მეფეს წერდა, რომ
იმერეთში ატეხილი შინაომის დროს იგი ჩაკეტილი იყო იმერეთის
ერთ-ერთ ციხეში, რადგან შიშობდა ყიზილბაშთა ხელში არ ჩავარ-
დნილიყო. იქ იგი ავად გამხდარა, თვით სიკვდილის პირამდე ყო-
ფილა მისული, როცა მოვიდნენ ყიზილბაშები და წამოიყვანის თბი-
ლისში, საიდანაც შემდეგ გაგზავნეს ირანის შაჰთან. ამრიგად, თეი-
მურაზი ცდილობს რუსეთს ისე წარმოუდგინოს საქმე, რომ იგი
ირანში ძალით იყო წაყვანილი.

როგორც ვახუშტიც აღწერს, იმერეთში აღნიშნული ლაშქრო-
ბის დროს შაჰ-ნავაზმა მთელი არგვეთი დაიკავა მდ. ბუჯის-წყლამ-
დე. ამ მდინარის ზემო წელზე მდებარეობდა სკანდის ციხე, სადაც
თეიმურაზი იდგა. შაჰ-ნავაზმა თეიმურაზი დიდის პატივით წამოიყ-
ვანა თბილისში და აქედან ირანის შაჰს მაცნე-ჩაფარი გაუგზავნა და
შეატყობინა თეიმურაზ მეფის დამორჩილება. ეს ამბავი შაჰ-აბას

¹⁰² არჩილი, ვაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა. 1093-ე სტროფი.

¹⁰³ გ. პ ა ი ჭ ა ძ ე, მასალები..., საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 153.

¹⁰⁴ უნდა გასწორდეს ლიტერატურაში მითითებული თეიმურაზის დატყვევების
არასწორი თარიღი (1661 წ.). იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები..., II, გვ.
441; დ. კ ა ჭ ა რ ა ვ ა. ვახტანგ მეხუთის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრ.
„ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, გვ. 129.

მეორეს მეტად გაეზარდა და სპეციალური მოხელე მეჰმანდარი გა-
შოუგზავნია თეიმურაზის ირანში წასაყვანად¹⁰⁶.

შაჰ-ნავაზს თეიმურაზი თბილისში 3 თვეს ჰყოლია¹⁰⁷ და აქედან
ნოემბრის თვეში გაისტუმრა ირანისაკენ. თეიმურაზმა ირანში გას-
ვლის დღეს თბილისიდან რუსეთში ახალი ელჩი, ათანასე პაპუნა გა-
გზავნა და უბრძანა გადაეცა რუსეთის მეფისათვის დიდი თხოვნა,
რომ ამ უკანასკნელს მეფე თეიმურაზი ირანიდან თავისთან, მოს-
კოვში წამოეყვანა, რათა მოხუც მეფეს თავისი სიცოცხლის უკა-
ნასკნელი დღეები მუსლიმანთა ქვეყანაში უპატიობაში არ გაესრუ-
ლებინა¹⁰⁸.

ასე გვესახება თეიმურაზ მეფის ირანის შაჰის კარზე „ნება-
ყოფლობით“ გამოცხადების ნამდვილი ვითარება. როგორც ვხედავთ
ეს „ნებაყოფლობა“ იძულებით იყო გამოწვეული და ესეც ქვეყნის
ინტერესებს ემსახურებოდა. ასევე გამოცხადდნენ ირანის შაჰთან კა-
ზეთის აჯანყების მეთაურებიც — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და
ელიზბარ ქსნის ერისთავები. მართალია ყველა ესენი ამ ამბავს შე-
ეწირნენ¹⁰⁹, მაგრამ ქვეყანას ააცილეს მტრის ურდოების ახალი შე-
მოსევის საფრთხე. ყიზილბაშთა ურდოები კი, როგორც მოჰამედ
თაჰერი გვამცნობს, კახეთში შემოსასეველ გამზადებულნი აზერბა-
იჯანში იღვნენ და შაჰის ბრძანებას ელოდნენ¹¹⁰.

შაჰ-ნავაზმა ზაალ არაგვის ერისთავიც მოიშორა თავიდან —
იგი მის საკუთარ ძმისშვილებს მოაკვლევინა. ამრიგად, შაჰ-ნავაზის
ხელისუფლება საქართველოში თანდათან განმტკიცდა და გაფარ-
თოვდა. 1660 წლის ბოლოდან, იმერეთში ლაშქრობის შემდეგ, ამ
ქვეყნის ერთი ნაწილიც მისი გავლენის ქვეშ მოექცა. ამას არაერ-
თხელ მოახსენებდნენ საქართველოდან ჩასული ელჩები რუსეთის
მოხელეებს: იმერეთის ერთ მესამედს ფლობს შაჰ-ნავაზი, ხოლო და-
ნარჩენ ორ-მესამედს ერისთავი და დადიანიო¹¹¹. ქართულ წყარო-
ებში რატომღაც ეს ერისთავი არა სჩანს და იქ მხოლოდ შაჰ-ნავა-

¹⁰⁶ მსკი, ნაქ. 30, 1954, გვ. 396.

¹⁰⁷ თ. ტივაძე. მე-17 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიიდან; მაცნე. 4, 1971, გვ. 50.

¹⁰⁸ გ. პაიკაძე. მასალები..., საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 155.

¹⁰⁹ როგორც ცნობილია, თეიმურაზი 1663 წ. გარდაიცვალა ასტრახადის ციხეში
გამოკეტილი (იმავე წელს გავრცელდა ხმა თეიმურაზის მოწამელის შესახებ. თ. ტი-
ვაძე, მე-17 ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, მაცნე, № 4, 1970,
გვ. 50), ხოლო ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები თურქ-
მანებმა წამებით დახოცეს.

¹¹⁰ მსკი, ნაქ. 30, გვ. 395.

¹¹¹ გ. პაიკაძე, მასალები..., საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 156.

4. 6. ასათიანი

ზის და დადიანის შეთანხმებაზეა ლაპარაკი: „არგვეთს აქეთი ქართველს მეფესა და იმას იქით დადიანსა და მასუკან დადიანმა თავისი ქალი მეფის შვილს არჩილს მისცეს და იმერეთში გააბატონონ“¹¹². ვახუშტიც წერს: „განიყვეს იმერეთი მეფემან ვახტანგ და დადიანმან ვამიყ და ბუჯის-წყლის აღმოსავლეთის კერძი დარჩა ვახტანგს, დასავლეთის კერძი დადიანს“¹¹³. ამ პერიოდში ვახტანგის მიერ არგვეთის ფლობის შესახებ გვაქვს დოკუმენტური მონაცემებიც¹¹⁴. ქართლის მეფისა და დადიანის შეთანხმებას დამოყვრებაზე არჩილიც ადასტურებს¹¹⁵. ამასვე აღწერს ვრცლად ვახუშტიც. რადგან ვამიყ დადიანმა ეს შეთანხმება დაარღვია და თავისი ქალი სხვას, ბეიან ლოლობერიძეს მიათხოვა, ვახტანგი მის წინააღმდეგ ჯარშეყრილი დაძრულა. ეს ხდება უკვე 1661 წელს. ქართლის მეფის მხარეს დადგნენ იმერეთის ძლიერი თავადები: პაატა აბაშიძე, რაჭის ერისთავი პაპუნა, ლაშხიშვილი ხოსთა — თავი ლეჩხუმისა. ქართული წყაროები მხოლოდ ამ ამბებთან დაკავშირებით ახსენებენ პაპუნა ერისთავს, მაგრამ როგორც დავინახეთ იგი ამაზე ადრე აქტიურად მონაწილეობდა დადიანთან ერთად დარეჯან დედოფლის საწინააღმდეგო შეთქმულებაში და ბრძოლებში. ამჯერად კი პაპუნა ერისთავი ქართლის მეფის მხარეზეა და დადიანის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას. ეს იმას მოწმობს, რომ სამეგრელოს მთავარსა და რაჭის ერისთავს შორის ამ ხნის განმავლობაში უთანხმოება ჩამოვარდნილა. ამ უთანხმოების მიზეზი იყო ალბათ ვამიყ დადიანის მტდელობა ხელთ ეგდო იმერეთის სამეფო ტახტი. როგორც აღნიშნული იყო, იგი აპირებდა იმერეთის მეფედ თავისი შვილი დაესვა. უთანხმოება ერისთავსა და დადიანს შორის იმერეთიდან თურქთა ჯარის გასვლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო.

როგორც დავინახეთ, დარეჯან დედოფალი და უსინათლო ბაგრატი შეამბოხე მთავრებს სამეგრელოში ჰყავდათ დატყვევებული. დარეჯან დედოფალს, რადგან სხვა გამოსავალი აღარა ჰქონდა, თურქთა სარდალთან უცდია შეთანხმება. მაკარიოს ანტიოქელის გადმოცემით, დარეჯანს დიდძალი ფული გაუგზავნია თურქთა ჯარის სარდლისათვის, რომელიც წარმოშობით ქართველი ყოფილა (ბერი ეგნატაშვილის მიხედვით ეს იყო სამცხის მთავარი ასლან ფაშა, როსტომ ფაშას შვილი). დარეჯანს მისთვის თავისი ნათესავი

¹¹² ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 63.

¹¹³ ქართლის ცხოვრება, ჩუბინოვის გამოცემა, ნაწ. II, გვ. 51.

¹¹⁴ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., გვ. 33.

¹¹⁵ არჩილი, გაბასება..., 1097-ე სტროფი.

ქალიც შეურთავს და დაუყოლიებია ეხსნა იგი მთავართა ტყვეობიდან. მართლაც, ამ ფაშას დარეჯან დედოფალი და მისი ძმისშვილი ქეთევანი თან წაუყვანია, რომლებიც მაკარიოსისა და პავლე ალექსოელის იმერეთში ყოფნის დროს უკვე ერზერუმში იმყოფებოდნენ¹¹⁶ (ბერი ეგნატაშვილის მიხედვით „ესენი წარიყვანა ასლან ფაშამან და დააყენა ოლთისს პატივითა დიდითა“)¹¹⁷. ამის შემდეგ უკვე არა მარტო უსინათლო ბაგრატი, არამედ დარეჯანიც იმერეთის ტახტის დაბრუნებას ცდილობენ თურქეთის დახმარებით.

იმერეთში კი ამ დროს შინაომი გრძელდება. ქართლის მეფე ვახტანგმა სამეგრელოს მთავარი ვამიყი სასტიკად დამარცხა და ბოლოს დევნილი დადიანი მოაკვლევინა კიდეც (1661 წელს). სამეგრელოს მთავრად შეიქმნა შამადავლე, რომელმაც ლევან მესამის სახელი მიიღო. ვახტანგმა მას თავისი ძმისშვილი თამარი შერთო ცოლად. ვახტანგ მეხუთესთან ძღვნით გამოცხადდნენ აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე და გურიის მთავარი დემეტრე გურიელი. ქართლის მეფემ იმერეთის ტახტზე თავისი 14 წლის შვილი არჩილი დასვა, უსინათლო ბაგრატი კი თავისთან ქართლში წამოიყვანა. ამრიგად, ვახტანგის ძალაუფლება თითქმის მთელ საქართველოზე გავრცელდა. მისი ასეთი გაძლიერება ირანის შაჰს მაინცაღამაინც არ მოსწონდა, ამიტომ იყო, რომ როდესაც თურქეთის სულთანმა მოითხოვა იმერეთიდან არჩილის გაყვანა „მოუწერა ყვენმან ვახტანგ მეფესა და მან წარიყვანა ძე თვისი არჩილ“¹¹⁸. იმერთა თხოვნით ვახტანგმა იმერეთის ტახტზე ბაგრატი დააბრუნა, რომელსაც თავისი მეორე ძმისშვილი თითია, თამარის და, გამოატანა საცოლედ. როგორც ჩანს, მეფე ვახტანგი ასეთი დანათესავეებით ცდილობდა შეენარჩუნებინა იმერეთში თავისი გავლენა. ეს ხდება 1663 წ., მაგრამ უკვე შემდეგ წელს იმერეთში ახალი ძალით ატყდა შინაომი, რამაც ვახტანგ მეფის ეს ანგარიშები ჩაშალა.

ომი ლევან III დადიანმა დაიწყო, რომელიც ჯარშეყრილი ბაგრატის წინააღმდეგ დაიძრა, მაგრამ დამარცხდა და თვითონვე ტყვედ ჩაუვარდა იმერეთის მეფეს. ასეთი ომი რომ აღარ გამეორებულყო, მაკარიოსის მტკიცებით, იმერეთის თავკაცებს, კერძოდ კათალიკოსს სვიმონ ჩხეტიძეს, მეტად უცნაური საშუალებისთვის მიუძართავთ. მათ ლევან დადიანი გააშორეს მის ცოლს, თამარს და მის მაგივრად შერთეს ბაგრატის და, გოშაძის ნაცოლარი (ვახუშ-

¹¹⁶ П. Жүзе, Грузия в XVII столетии по изобр. патриарха Макария, стр. 17.

¹¹⁷ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., II, გვ. 427.

¹¹⁸ ქართლის ცხოვრება, ჩუბინოვის გამოც., II, გვ. 203.

ტი ურთავს შენიშვნას: „რომელსა ესევე დადიანი ლევანცა შესწამოდა, რეცა მრუშებად მის ქალსა თანა“, ბაგრატმა კი აღარ შეერთო შაჰ-ნავაზის მიერ მისთვის საცოლედ გამოტანებული თათიან, რომელთანაც იგი „ჯერეთ უქორწინო“ იყო და მის მაგივრად დაქორწინდა ლევანის ცოლზე და ამ თათიას დაზე „თამარზე“¹¹⁹.

მეტად უცნაურად წარიმართა ამ თამარის ბედი. მეფე-მთავრებს შორის ატეხილ ომში იგი ხელიდან-ხელში, გამარჯვებულისა და გამარჯვებულზე გადადიოდა. მისი დაკარგვით გახელბული ლევან დადიანი თუ მისი სილამაზით მოხიბლული გიორგი გურიელი გააფთრებით ებრძვიან უსინათლო ბაგრატს და პირველ რიგში ამ თამარის დაუფლებას ცდილობენ. ისე, რომ სეიმონ კათალიკოსისა და იმერეთის სხვა თავკაცების მიერ განხორციელებულმა ზემოთაღნიშნულმა „ორიგინალურმა“ საქორწინო მანიპულაციამ იმერეთში შინაომი კი არ ჩააქრო, არამედ შემდეგ წლებში კიდევ უფრო მეტი ძალით ალაგზნო.

ამ პერიოდის იმერეთის საშინაო ვითარებას ვახუშტი შემდეგნაირად ახასიათებს: „არამედ ჟამებთა ამით შინა განუდგნენ მთავარნი და მიიტაცებდიან თვის-თვისთა მხარეთა და არლა-რა იყო მორჩილება ეგდენი მეფეთა, იწყეს ტყვის-ყიდვა სააჯმნოდ ქრისტიანეთა მოსყიდვითა მაჰმადიანთა ზედა. კვალად ხდომა, შფოთი, კირთება ერთმან მეორესა ზედა და ოხრება ქვეყანათა“¹²⁰. ამით სარგებლობენ ოსმალები და აძლიერებენ თავიანთ გავლენას იმერეთში. პავლე ალექსანდრის აღწერილობა სწორედ ამ პერიოდს შეეხება. იგი წერს — ბაგრატი თურქეთის მორჩილად ზისო და ხარკის სახით ყოველწლიურად აძლევს ტყვეებს, დადიანი წლიურად თურქეთს უხდის 40000 წყრთა ტილოსა და სამ ტყვეს, გურია უხდის 500 ტალერს¹²¹. ჩვენ ამ ფაქტების, რომლებიც თავისთავად მეტად საინტერესონი და დიდმნიშვნელოვანნი არიან, დაწვრილებით გადმოცემას და ანალიზს აღარ შევუდგებით, შევეხებით მხოლოდ ამ პერიოდის ქართველი პოლიტიკოსების რუსეთთან ურთიერთობას, რაც პავლე ალექსანდრის აღწერილობის მონაცემების მიხედვით ერთგვარად ახლებურად დგება.

მას შემდეგ რაც ალექსანდრე III გარდაიცვალა, თეიმურაზ მეფე ირანში, ხოლო დარეჯანი თურქეთში წავიდა და იმერეთის ტახტზე თურქეთის მხარდაჭერით და თურქთა ყმად ბაგრატ მეფე

¹¹⁹ П. Жузе, Грузия в XVII столетии по изобр. патриарха Макария, стр. 57, ქართლის ცხოვრება, ჩუბინოვის გამოც., II, გვ. 204.

¹²⁰ ქართლის ცხოვრება, ჩუბინოვის გამოც., II გვ. 204

¹²¹ იხ. აქვე „აღწერილობის“ ტექსტი, გვ. 15v.

ავიდა, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ირანის მიერ ქართლის ტახტზე დასმული გამაჰმადიანებული ვახტანგ მეხუთე — შაჰ-ნავაზი, ხოლო კახეთში ასევე გამაჰმადიანებული არჩილი — შაჰ-ნაზარ ხანი — იჭდა, თითქოს საქართველოს სათავეში მდგომ ქართველ პოლიტიკოსთაგან აღარავინ უნდა დარჩენილიყო, რომელიც რუსული ორიენტაციისა და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მომხრე იქნებოდა, მაგრამ ასეთი ვარაუდი, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ერთგვარად ფეხმოკიდებული იყო, ახალი მონაცემებით არ დასტურდება.

1667—1669 წლებში იმერეთის მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძემ მოსკოვში სპეციალური ელჩები გაგზავნა, რომელთა საშუალებით იგი რუსეთს თავის ერთგულებას უცხადებდა და გამოთქვამდა სურვილს აღდგენილიყო ის ურთიერთობა, რომელიც რუსეთსა და იმერეთს შორის არსებობდა მისი მამის, ალექსანდრე III-ის მეფობის დროს¹²². მისი ასეთი ნაბიჯი ტახტისთვის ბრძოლას უკავშირდება და ჩვენთვის საინტერესო „აღწერილობის“ შედგენის შემდეგ ჰქონდა აღვილი. ეს საკითხი საგანგებოდაა შესწავლილი ახალგაზრდა მკვლევარის დ. კაპარავას სადისერტაციო შრომაში¹²³, ამიტომ ბაგრატის რუსეთთან ურთიერთობას ჩვენ აქ აღარ შევხებით. რაც შეეხება ვახტანგ მეხუთის რუსეთთან დამოკიდებულების საკითხს, ამაზე რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ.

ჯერ კიდევ 1965 წელს ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ირანის შაჰის მიერ ქართლისა და კახეთის ტახტზე დასმულმა მამა-შვილმა, ვახტანგ მეხუთემ და არჩილმა, მაკარიოს — პავლე ალუპოვლის მეშვეობით სცადეს რუსეთთან მოლაპარაკების გამართვა და ერთგვარი ფარული ურთიერთობის დამყარება¹²⁵. ჩვენი ეს მოსაზ-

¹²² Ш. А. Месхиа и Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений (X—XVIII вв.), Тб., 1958, стр. 88; Ю. Ю. Качаравა, Политическое положение Грузии и вопросы взаимоотношений с Россией (II половина XVII в.), автореферат, Тб., 1968, стр. 30.

¹²³ ი. კაპარავა, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხები (მე-17 საუკუნის II ნახევარი), ხელნაწერი.

¹²⁵ ნ. ასათიანი, პავლე ალუპოვლის „საქართველოს აღწერილობა“ და რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, თბ. სახ. უნივერსიტეტისა და საქართველოს პენდენტოლოგიის ისტორიის კათედრის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, 1965 წ. 11—12 მაისი, თეზისები, გვ. 18—19. ნ. ასათიანი, ახალი ცნობები რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშ. სკეც. განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური და სასწავლო-მეთოდური საბჭოს ისტორიის სექციის სამეცნიერო სესია, 1965 წ. 15—18 მაისი, თეზისები, გვ. 17.

რება, რომელიც მხოლოდ თეზისების სახით იყო გამოქვეყნებული, საეხებით გაიზიარა ახალგაზრდა მკვლევარმა დ. კაჭარავამ და სცადა ამ გარემოებით აეხსნა ვახტანგ მეხუთის შემწყნარებლური დამოკიდებულება ერეკლე პირველისადმი. მაგრამ აქ დაშვებულ იქნა ერთგვარი უზუსტობა¹²⁶, რაც იმის შედეგია, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არის დადგენილი ამ პერიოდის მთავარი პოლიტიკური მოვლენების შინაარსი და ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ამიტომ ამ საკითხებზე საგანგებო შეჩერებას აუცილებლად ვთვლით.

ვახტანგ მეხუთე — შაჰ-ნავაზი — ქართლის ტახტზე მეორე, მაჰმადიანი მეფე იყო, რომელმაც სათავე დაუდო ქართლში ბაგრატიონთა მუხრან-ბატონთა შტოს მეფობას. როგორც ცნობილია, ქართლის სამეფო ტახტზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონების დასმით შაჰის კარმა უფრო მოქნილი პოლიტიკის წარმოება დაისახა მიზნად, ვიდრე უშუალო შემოტევა და სამხედრო შემოქმედება იყო. ხანგრძლივმა ბრძოლებმა თვით ირანის დიდი მბრძანებელი შაჰ-აბას პირველიც კი დაარწმუნა, რომ ქართველი ხალხის საბოლოო დამორჩილება, საქართველოში „ქართველობის“ ამოგდება სამხედრო რეპრესიებით შეუძლებელი იყო. ამიტომ უკვე მის დროსვე შეიცვალა აშკარა შემოტევის პოლიტიკა ფარული შემოდწევის მცდელობით. დამპყრობელი ამ დროიდან ქართველობის წინააღმდეგ ხმალთან ერთად „წყალობითაც“ მოქმედებდა. მისი საბოლოო მიზანი იგივე იყო — ქვეყნის გამაჰმადიანება-ასიმილაცია. ასეთი ფარული შემოდწევის პოლიტიკა კიდევ უფრო სახიფათო იყო ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის და იგი უკვე იწყებდა თავისი ნაყოფის გამოღებას, რაც პავლე ალექსეისაც შეუნიშნავს: «Как взял шах Кахет и разорил его, завладел и Картель и посажает ханов от христианов грузинцов, которые побусурманились, и по малу все бояре картелинские побусурманились, тово ради, что бы они имели честь свою и вотчины»¹²⁷.

მაგრამ ეს იყო შესვენების პერიოდი, რაც ხანგრძლივი ბრძოლით მოღლილ ქვეყანას აუცილებლად სჭირდებოდა ფიზიკური თუ სულიერი ძალების აღსადგენად. ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი იძულებული იყო შაჰის ერთგულ ვასალად მოეჩვენებინა

¹²⁶ დ. კაჭარავა, ვახტანგ მეხუთის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრებ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, I, თბ., 1970. იხ. ჩვენი რეცენზია ამ კრებულზე: „მე-15—18 საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიის საკითხები“, ცისკარი, 1972, № 9.

¹²⁷ იხ. „აღწერილობა“, 15v.

თავი, ფარულად კი ქართული საქმე ეკეთებინა, საქართველოს მომავლისთვის საბრძოლველად მოემზადებინა იარაღი. ამ დასს ქვეყნის აღდგენა-გამოხსნისათვის მომავალ ბრძოლაში ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა. ბუნებრივია, მათ ასეთად ისევ რუსეთი მიეჩნიათ. მართალია რუსეთთან კავშირმა ქართველ პოლიტიკოსებს არაერთხელ გაუცრუა იმედი, ამის თვალნათელი მაგალითი თეიმურაზის ბედი იყო, მაგრამ აქამდე ამ კავშირის შედარებით ნაკლებშედეგიანობას თავისი გამართლებაც ჰქონდა — რუსეთი ჯერ კიდევ შორს იყო საქართველოდან, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობდა მეტად ვრცელი მტრული გარემო, რომლის გადალახვას არამართო გეოგრაფიული პირობები აძნელებდა. იმიერკავკასიაში მოსახლე მრავალრიცხოვანი მთიელი ტომები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ექცეოდნენ ოსმალეთისა და ირანის გავლენის ქვეშ, ძნელად გადასალახავ დაბრკოლებას ქმნიდნენ რუსეთის საქართველოსთან დაკავშირების საქმეში. თანაც რუსეთის ყურადღება აქამდე დასავლეთისაკენ იყო მოქცეული და აღმოსავლეთში აქტიური ჩარევისთვის მას არც საშუალება ჰქონდა და არც ხალისი, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეს მდგომარეობა შეიცვლებოდა და რუსეთი აღმოსავლეთის ასპარეზზეც აქტიურად ამოქმედდებოდა.

ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც რეალისტურად აფასებდნენ საქართველოს რუსეთთან დაკავშირების პერსპექტივას, პირველ რიგში იმიერკავკასიის მთიანეთის საკითხს აყენებდნენ. პავლე ალექსოელი თავის აღწერილობაში დიდ ადგილს უთმობს სწორედ ამ იმიერკავკასიის მთიანეთის მდგომარეობის აღწერას და დაუძინებოთ უმტკიცებს რუს პოლიტიკოსებს, რომ აუცილებელია იმიერკავკასიის მთიანეთის რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევა, აუცილებელია გზის გახსნა რუსეთსა და საქართველოს შორის. რა თქმა უნდა, ამას ანტიოქელი არქიდიაკონი თავისი ინიციატივით არ აკეთებდა. იგი ქართველი პოლიტიკოსების წინადადებას და თხოვნას გადასცემდა მოსკოვის სამეფო კარს: «Вся Грузия молят вашего царского величества да будет се дело. И нас молили да будем заступники в том деле вашему царскому величеству. чтоб путь чист был из Грузии до Терека сухим путем» (14. V).

პავლე ალექსოელი არ ასახელებს ქართველ პოლიტიკოსებს, თუ ვინ იყვნენ ისინი, ვინც მას ასეთ შუამავლობას თხოვდნენ, მაგრამ არაპირდაპირი მონაცემების გათვალისწინებით ამის დადგენა ძნელი

არ უნდა იყოს. ჩვენ ვთვლით, რომ ამათში, პირველ რიგში, ვახტანგ V უნდა ვიგულისხმოთ და აი რატომ.

მართალია ვახტანგ V ირანის შაჰის მიერ იყო ქართლის ტახტზე დასმული, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართლის ამ ახალმა მეფემ საქართველოში თავისი ხელისუფლება განიმტკიცა, მისი და ირანის შაჰის კარის მიზნების შეთანხმება სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდებოდა. ირანის შაჰის კარი ქართლის გაყიზილბაშებას ესწრაფოდა და მას უფრო აწყობდა ქართლი დაქსაქსული და დასუსტებული ყოფილიყო, ვიდრე ერთიანი და ძლიერი. შაჰს სურდა ქართლის დიდებული ფეოდალები მისი ხელისშემყურენი ყოფილიყვნენ და არა ქართლის მეფის ერთგული ყმები, რის მისაღწევადაც ირანის მესვეურები ყველაფერს აკეთებდნენ. ვახტანგ მეხუთემ კი მიზნად დაისახა ძლიერი მეფის ხელისუფლების შექმნა, ურჩი ფეოდალების დათრგუნვა, ხელსაყრელი პოლიტიკური პირობების გამოყენება მთელს საქართველოზე თავისი ძალაუფლების გასავრცელებლად¹²⁸ და, რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, საქართველოში ირანის გავლენის შემოღწევის აღკვეთა. ეს გამაჰმადიანებელი მეფე ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის მიერვე კათალიკოსად დასმული თავისი ბიძაშვილის დომენტისა და ქართლის დედოფალ მარიამის ქრისტიანულ მოღვაწეობას.

ქართლის მეფის ასეთი განწყობილება შაჰის კარის ყურადღების გარეთ არ დარჩენილა. ამიტომ იყო, რომ ამ დროისათვის შაჰი უკვე ეჭვით უყურებდა ვახტანგს. მისი ბრძანებით თბილისს ახალი გალავანი შემოავლეს, რათა ქართლის მეფის კარი ყიზილბაშური გარნიზონის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილიყო მოქცეული. ამის მიუხედავად ვახტანგი განუხრელად ადგა თავის პოლიტიკურ გეზს, თუმცა გარეგნულად თავს შაჰის ერთგულად აჩვენებდა. გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მისთვის ძლიერ მოკავშირეს, რომელიც გარკვეული პოლიტიკური შემობრუნების შემთხვევაში ზურგს გაუმაგრებდა მას. ასეთ რეალურ ძალად მხოლოდ რუსეთი ჩანდა. ხანგრძლივი გამოცდილებით აშკარა შექმნილიყო, რომ რუსეთი მხოლოდ მაშინ შესძლებდა დახმარებოდა საქართველოს, თუ იგი თავის საზღვრებს კავკასიონს მოაბჯენდა და დაიკავებდა გზას თერგიდან საქართველომდე. უამისოდ კი, რუსეთის მხრივ დიდი სურვილიც რომ ყოფილიყო, საქართველოს ასპარეზზე ირან-ოსმალეთთან დაპირისპირება მას არ შეეძლო. ირა-

¹²⁸ ეს საკითხები სპეციალურად აქვს განხილული დ. კაჭარავას ზემოთ დასახელებულ გამოკვლევაში — „ვახტანგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის“.

ნის ყმა ქართლის მეფის რუსეთთან ოფიციალური დაკავშირება; მანამ სანამ ამ უკანასკნელს რეალურად დახმარების გაწევა არ შეეძლებოდა, ვანტანგის მხრივ მხოლოდ ავანტიურა იქნებოდა და ვერავითარ სასურველ შედეგს ვერ შოიტანდა. ამიტომაც არის, რომ პავლე ალექსეოვი ქართლის მეფის სახელს არ ახსენებს, თუმცა მისი და მისი თანამოაზრეების თხოვნას კი გადასცემს მოსკოვს. ეს რომ ასეა ამას შემდეგი ფაქტები გვაფიქრებინებენ.

როგორც დავინახეთ, ვანტანგ მეფე მხოლოდ მაშინ დაინტერესდა ანტიოქელი მღვდელმთავრებით, როცა მელეტისგან შეიტყო, რომ ისინი მოსკოვში იყვნენ მიწვეულნი. მეფემ მელეტი იმერეთში არ გაუშვა, ალბათ იმის შიშით, რომ ისინი იქიდანვე არ წასულყვნენ რუსეთში და პატრიარქი მაკარიოსი თავისთან ქართლში მოიწვია. პატრიარქს მოწვევის წერილი გაუგზავნა ქართლის კათალიკოსმა დომენტიმაც. მოსკოვში მიმავალ აღმოსავლელ მღვდელმთავრებს წასვლის წინ ახლო ურთიერთობა აქვთ დამყარებული მეფე ვანტანგის (შაჰ-ნავაზის) კართან. ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ საბუთი იმის შესახებ, რომ ქართლის მეფე სინას მთის მთავარეპისკოპოსს უბრუნებს მამულს, რომელიც ერთ დროს ამ მონასტერს ეკუთვნოდა, მაგრამ იმჟამად უკვე სხვა მფლობელების ხელთ იყო. მეფემ ეს მამულები შეისყიდა და სინას მთის მონასტერს კვლავ შესწირა.

პატრიარქი მაკარიოსი, როდესაც მოსკოვში წასვლას გადაწყვეტს, რატომღაც ერიდება შემახას გზით წასვლას და არჩევს უფრო ძნელ გზას — მთების გადალახვით. ბუნებრივია დაისვას კითხვა, იმიტომ ხომ არ ერიდება ანტიოქელი პატრიარქი ქ. შემახაზე გავლას, სადაც შაჰის ერთგული ხანი ზის, რომ შიშობს ირანელ ხელისუფალთა მხრივ რეპრესიებსა და დაკავებას? შეიძლება იგი შიშობდა, რომ ვაი თუ სპარსელებმა შეიტყონ ის დავალება, რაც მას ვანტანგ მეფემ მისცა მოსკოვთან მოლაპარაკების შესახებ და შეიძლება მას მართლაც მიჰქონდა ფარულად ქართლის მეფისაგან საჩუქრები რუსეთის მეფისათვის გადასაცემად, რასაც ასე დაჟინებით ამტკიცებდა რუსეთში მათთან ერთად ჩასული ქართველი აზნაური მათე, რომელიც თავს მარიამ დედოფლის ძმისშვილად და ლევან დადიანის მემკვიდრედ ასალებდა? და ბოლოს, როდესაც მაკარიოსმა საერთოდ უარი თქვა რუსეთში გამგზავრებაზე, საქმეში აქტიურად ჩაერია დედოფალი მარიამი და სწორედ მისი მეცადინეობით დათანხმდა ანტიოქელი პატრიარქი რუსეთში წასვლას.

იმავე მათეს მტკიცებით მარიამ დედოფალს მისთვის რუსეთში წასაღებად ბეჭდით დამოწმებული წერილიც მიუცია¹²⁹.

ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ მაკარიოს ანტიოქელის დიდი ავტორიტეტი რუსეთის მეფის კარზე, ამდენად მას დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო მათი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის. პატრიარქს უნდა დაერწმუნებინა რუსეთის სახელმწიფოს მესვეურნი, რომ „მესამე რომი“ მოვალე იყო აქტიურად დახმარებოდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ქრისტიანულ საქართველოს, რომელსაც გამაჰმადიანების საფრთხე ადგა, რომ პირველ რიგში საქირო იყო საქართველოსთან მისასვლელეზის დაკავება, იმიერკავკასიაში ციხეების ჩადგმა და ჭარების ჩაყენება, გზის გახსნა თურგვიდან საქართველომდე. თუ ამის აღთქმას ვერ მიიღებდნენ, ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის განწყობილებას მაინც შეიტყობდნენ. მაკარიოსს შეეძლო ყოველივე ეს გაეკეთებინა ისე, რომ ვახტანგ V ოფიციალურად არსად გამოჩენილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ამ ამბავს ირანის შაჰის ყურამდე მიეღწია, რასაც ქართლის მეფისათვის მძიმე შედეგები მოჰყვებოდა. ვახტანგ მეხუთეს მიერ რუსეთთან ოფიციალური მოლაპარაკების გამართვა ირანისადმი ღალატს უდრიდა. გაეიხსენოთ როსტომის მაგალითი. როდესაც თვით შაჰის სანქციით მან მოსკოვში ელჩობა გაგზავნა, მაშინვე გავრცელდა ხმა, რომ როსტომი შაჰს ღალატობს და განუდგაო. იგივე როსტომი ჩვენ აქ გამოგვადგება კარგ ანალოგიად. ხომ ცნობილია, რომ არსენი სულხანოვს ტფილელი ეპისკოპოსი ელისე ატყობინებდა: თუ რუსი ხელმწიფე ყუმუხებს დაიპყრობს, კახეთიც მისი იქნება და ქართლიც მას დაემორჩილებათ. და რაც მთავარია, ვაოცებულ სულხანოვს ქართველი კათალიკოსი მოახსენებდა, რომ თუ ხელმწიფე მოისურვებს ჩვენი ქვეყნის დაკავებას, როსტომ ხანი ამის მოხარულიც კი იქნება¹³⁰. ირანის ისეთი თავგამოდებული მომხრეც კი, როგორც როსტომი იყო, მხოლოდ შექმნილი ისტორიული პირობების გამო იყო ირანული ორიენტაციისა და შეცვლილ ვითარებაში არ იყო წინააღმდეგი რუსეთთან დაახლოებისა.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, უსაფუძვლო არ უნდა იყოს ჩვენი ვარაუდი, რომ იმ ქართველ პოლიტიკოსთა შო-

¹²⁹ თ. ტივაძე. ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-ანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, კრებ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, I, თბ., 1970, გვ. 103

¹³⁰ М. Полневков. К вопросу о сношениях Ростома с Москвою, ениски-ს მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 525.

რის, რომელთა თხოვნასაც გადასცემდნენ რუსეთის მთავრობას შაკარიოსი და პავლე ალექსოელი, პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ ვახტანგ V. ამ ვარაუდს კიდევ უფრო გვიმტკიცებს ამ პერიოდში ვახტანგ მეფისა და ერეკლე ბატონიშვილის ურთიერთობის ფაქტების განხილვაც.

1660 წელს მოსკოვიდან წამოსული და ასტრახანში გაჩერებული ერეკლე ბატონიშვილი 1661 წლის ზაფხულიდან უკვე თუშეთშია (და არა 1660 წლიდან, როგორც ეს აქამდეა მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში)¹³¹. ერეკლე იწყებს ენერგიულ ბრძოლას კახეთის დასაკავებლად. კახეთი 1663 წლამდე მართალია სამმართველოდ გადაცემული ჰქონდა განჯის ხანს, მაგრამ ფაქტიურად ვახტანგ მეხუთეს ემორჩილებოდა: „...არამედ კახეთი თუცა ეპყრა მურთუხალი-ხანს (უნდა იყოს—მურთაზა ყული-ხანს, — ნ. ა.), გარნა უფრო მოჩჩილებდეს მეფესა ვახტანგს და იყუნენ წინაშე მისსა“—წერს ვახუშტი. ხოლო მას შემდეგ. რაც არჩილი იმერეთიდან წამოიყვანეს და შაჰ-აბას მეორეს ეახლა (1663 წ.), კახეთი ამ უკანასკნელს გადასცეს (არჩილი გაამაჰმადიანეს და შაჰ-ნაზარ ხანის სახელი მისცეს). ამ ამბების მომსწრე ფარსადან გორგიჯანიძე წერს: შაჰმა „კახეთი არჩილს უბოძა და კახეთს გაგზავნა. ქართლში მამა მეფობდა და კახეთში შვილი ბატონობდა“¹³². ამიტომ კახეთის დასაკავებლად ბრძოლა ერეკლე ბატონიშვილს მამა-შვილთან მოუხდა. იგივე ფარსადანი აღწერს ამ ბრძოლებს: „ბატონიშვილი ერეკლე თუშეთიდან კახეთში ლაშით მამაშვილს თავს დაესხა და მრავალი კაცი მოიკლა, ზოგნი გაიქცნენ და ზოგნი შაჰნავაზ მეფესა და მის შვილს ბატონს არჩილსთან გათენებამდის იბრძოლეს და მეფე ადგილით ვერ დასძრეს. რა გათენდა დააძახეს, დაფანტული ლაშქარი მოგროვდა და ჯარი თუშთ უკან გაადევნეს და მიეწივნეს და მრავალი თუში მოკლეს და წანალები ნაშორი გააყრევივნეს და ბატონიშვილს ერეკლეს ვერ წაეწივნეს და მეფე და კახი ბატონი ქალაქს მოვოდნენ და თუშეთის თავები ყაენს გაუგზავნეს“¹³³.

ფარსადან გორგიჯანიძის ამ ცნობას ადასტურებენ რუსი ელჩებიც, თ. მილოსლავესკი და თ. ნარბეკოვი, რომლებიც სწორედ ამ დროს ირანში იმყოფებოდნენ. ისინი ჯერ კიდევ ირანისკენ

¹³¹ დ. კ ა ჯ ა რ ა ვ ა, ვახტანგ V-ის სავარეო პოლიტიკის საკითხისათვის, გვ. 131.

¹³² ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 64.

¹³³ ი ქ ვ ე, გვ. 64—65.

მიმავალნი შემახაში იყვნენ გაჩერებულნი, (1664 წ. თებერვალში), როდესაც მათ გაუგიათ შაჰ-ნავაზისა და ერეკლე ბატონიშვილის შებრძოლების შესახებ, ხოლო ირანში ჩასვლის შემდეგ მათ თვითონ უნახიათ შაჰ-ნავაზის მიერ შაჰთან გამოგზავნილი ამ ბრძოლაში დახოცილი თუშების მოჭრილი თავები. აი, როგორ აღწერენ ისინი თავიანთ აუღენციას ირანის შაჰთან მოსკოვის მეფისადმი მოსახსენებელ ანგარიშში: „...ჩვენ, შენი ყმები, შაჰს წესისამებრ მივესალმეთ და შაჰმა გვიბრძანა მარჯვენა მხარეს, თავის მახლობელი სამი ადამიანის გვერდით სკამებზე ჩამოვმსხდარიყავით. შებინდებისას შაჰის კარვის წინ ასამდე მოჭრილი, ძელზე ჩამოცმული ადამიანის თავი ჩამოატარეს. ასე თქვეს, თითქოს თბილისის შაჰნავაზ-ხანმა ქართველი უფლისწულის ხალხი და თუშები დაამარცხა როდესაც ისინი საქართველოს მიწა-წყალს მოადგნენო და ის მოჭრილი თავები შაჰთან გამოგზავნა საცნობებლადო. ხოლო როდესაც ჩვენ, შენი ყმები, ხელმწიფევე, შაჰისაგან შინ წავედით: ჩვენმა ხალხმა, ხელმწიფევე, შენს ყმებს, ჩვენ, გვითხრა: როდესაც ძელზე ჩამოცმული ის თავები შაჰის კარვის წინ გაატარეს, მათ ახლოს გაიარეს და კარავთან მიაყუდეს და ისინი (ელჩების მსახურები) ხედავდნენ, რომ ყველა მოჭრილი თავი კი არ გაუტარებიათ, ჩამოცმული კიდევ ბევრი იყო“¹³⁴.

ფარსადანი გადმოგვცემს მეორე ბრძოლის ამბავსაც, კერძოდ, „მეორეს გაზაფხულს კიდევ ერეკლე ბატონიშვილი მარტყოფს მოუხდა ცოტას კაცითა. მეფემ ლაშქარი შეიყარა, თათრის ჯარიც მოიშველა და უჯარმის ბოლოს ომი აჰკიდეს და სიცოცხავით (ერეკლემ) ქართველთ ველარ გაუძლო და ისრევე თუშეთს წავიდა და დედა მისმან თორღის ციხე უკუიჭირა და კახნი ზოგნი თან გაჰყვნენ და ზოგნი ციხეში შეჰყვნენ. შვიდს თვეს მეფე ლაშქრით ციხეს გარ შემოადგა და ვერ აიღო. მაგრა ციხიანნი შეჭერდნენ. ერთ ღამეს დედოფალმა თუშური ჩოხა ჩაიცვა და საფთე მშვილდისარი შემოირტყა, ბოხოხის თუშური ქუდი დაიბურა და ციხიდან ჩამოვიდა და მეფის ლაშქარში გაერია და თუშეთს მოვიდა...“¹³⁵. ვახუშტის ეს ამბები განსხვავებულად აქვს გადმოცემული. იგი მხოლოდ ერთ ბრძოლას მიუთითებს, რომელიც მისი მტკიცებით ურიათუბანთან მომხდარა: „იძლია ერეკლე და ლტოლვილი შევიდა თორღის ციხესა შინა. ხოლო ქართველნი გაბრუნდნენ და

¹³⁴ თ. ტივაძე: XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, მაცნე, ისტ., არქ., ეთნ. და ხელ. ისტ. სერია, № 4, 1971, გვ. 51.

¹³⁵ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 65.

აუწყეს შინაოხს: მან შეიკრიბნა სპანი და შთამოვიდა კახეთს და მოადგა ციხესა თორღისასა. მაშინ შემჭირდნენ მეციხოენი, რამეთუ იყო დედით ერეკლე მუნ. ამისთვის ევედრა დედა ერეკლესი შანაოზ მეფესა, რათა მისცეს გზა და განუტეოს. მან უსმინა და განუტევა ფარულად და მივიდა კვალად თუშეთსავე¹³⁶. ვახუშტის აღრეული აქვს ამ ამბების თარიღიც. ერთგან იგი 1663 წ. უჩვენებს, ხოლო მეორეგან — 1664 წელს¹³⁷. ფარსადან გორგიჯანიძისა და რუსი ელჩების ცნობებით შეიძლება ეს თარიღები დაზუსტდეს. როგორც აღვნიშნეთ, 1664 წლის თებერვალში რუსმა ელჩებმა შემახაში შეიტყვეს ერეკლესა და შაჰ-ნავაზს შორის პირველი შებრძოლების ამბავი. მათ იმავე წელს უკვე შაჰის კარზე ნახეს ამ ბრძოლაში დახოცილთა მოჭრილი თავები, რაც კარგად ემთხვევა ფარსადანის ცნობას, რომ ამ ბრძოლის შემდეგ შაჰ-ნავაზმა და არჩილმა „თუშების თავები ყაენს გაუგზავნეს“. ფარსადანი ერეკლესა და შაჰ-ნავაზს შორის მეორე ბრძოლას და თორღის ციხის აღყის დაწყებას აღნიშნავს მეორე წელს ე. ი. 1664 წლის გაზაფხულზე (ეს ალყა 7 თვეს გაგრძელებულა). მისივე მტკიცებით, ციხეში მხოლოდ ერეკლეს დედა, დედოფალი ელენე იყო გამაგრებული, ერეკლე კი უკვე თუშეთში იყო თავშეფარებული. დედოფალმა თვითონ მოახერხა ფარულად ციხიდან გაღწევა. ვახუშტის მიხედვით კი იგი შაჰ-ნავაზთან გამოცხადებულა და მისი და მისი შვილის უვნებლად გაშვება უთხოვია. ვახუშტის მონათხრობს დ. კაჭარავა გარკვეულ ყურადღებას მიაქცევს და სვამს კითხვას: „რატომ გაუშვა ვახტანგმა ერეკლე უვნებლად, როდესაც შაჰისაგან მისი შეპყრობა ჰქონდა ნაბრძანები და გარდა ამისა ერეკლე მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეც იყო?... ამ დროს საქართველოში ჩამოვიდნენ მაკარი ანტიოქელი და პავლე ალექსოელი, ამ გარემოებითაა ჩვენი აზრით ნაკარნახევი ვახტანგის ლოიალური დამოკიდებულება ერეკლესადმიო“¹³⁸—ასკენის ახალგაზრდა მკვლევარი. მას მოაქვს ზემოაღნიშნული ჩვენი მოსაზრება, რომ ვახტანგ V მაკარიოსის საშუალებით ცდილობდა არაოფიციალურად დაკავშირებოდა რუსეთს, რომ რუსეთში მიმავალ პატრიარქს ქართველმა პოლიტიკოსებმა გარკვეული თხოვნა დააბარეს და დასძინეს, რომ „იმ დროს, როდესაც ვახტანგი მაკარი ანტიოქელის საშუალებით რუსეთთან დაახლოებას ცდილობდა, არ შეეძლო ერეკლეს შეპყრობა. ერეკლეს მფარ-

¹³⁶ ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინოვის გამოც., გვ. 126, შეად. გვ. 52.

¹³⁷ იქვე, გვ. 126, შეად. გვ. 52.

¹³⁸ დ. კ ა ქ ა რ ა ვ ა, დასახ. წერილი, გვ. 131.

ველად რუსეთი გამოდიოდა... ვახტანგი რუსეთს საქართველოს მომავალ მოკავშირედ თვლიდა და არ სურდა მასთან ურთიერთობის გაფუჭება. განსაკუთრებით მაშინ, როცა მაკარი ანტიოქელს სპეციალურ დავალებას ატანდა რუს ხელმწიფესთან¹³⁹.

მკვლევარის ეს მსჯელობა მართალი იქნებოდა, ვახუშტის ზემომოტანილი ვერსია უდავოდ რომ მტკიცდებოდეს და თანაც ქრონოლოგიურ შეუსაბამობას რომ არ ჰქონდეს ადგილი. თორღას ციხის ალყის ამბები, როგორც დავინახეთ, 1664 წლით თარიღდება, ხოლო მაკარიოსის რუსეთში წასვლა გაირკვა მხოლოდ 1665 წელს. მართალია მაკარიოსი საქართველოში 1664 წ. ჩამოვიდა. მაგრამ სულ სხვა მიზნით (შესაწირაგების შესაგროვებლად) და მხოლოდ აქ მიიღო მან მელეტის ხელით მოსკოვში მიწვევა. მელეტი კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოში ჩამოვიდა 1665 წლის 1 ოქტომბერს. ამდენად, თორღასთან დგომის დროს ვახტანგმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მაკარიოსი რუსეთთან მოციქულად გამოადგებოდა.

1666 წელს ბროლაწაგებული ერეკლე ბატონიშვილი რუსეთში ბრუნდება. იგი მოსკოვში ჩადის იენისის თვეში¹⁴⁰. უფრო გვიან მოსკოვში ჩადიან პატრიარქებიც. თ. ტივაძის მიერ მიკვლეული მასალებიდან ჩანს თუ რა ახლო ურთიერთობა ჰქონია დამყარებული ერეკლეს მაკარიოსთან და პავლე ალუპოელთან, აგრეთვე იეროდიაკონ მელეტისთან (დაწვრილებით იხილეთ თ. ტივაძის წერილში „ერთი ეპიწოლი XVII საუკუნის 60-ანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“¹⁴¹). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ერეკლე ეცდებოდა ხელი შეეშალა ქართლის სამეფო კარის მოსკოვთან დაკავშირების საქმისათვის და მისი გავლენით მაკარიოსმა და პავლე ალუპოელმა შეიძლება ისეთი გულმოდგინება აღარ გამოიჩინეს ამ საქმის განხორციელებაში, რის იმედიც ქართლის პოლიტიკოსებს ჰქონდათ. ამ ამბის მსხვერპლი ხომ არ შეიქნა აზნაური მათე, რომელიც ციმბირში გადაასახლეს და შემდეგ სიკვდილითაც დასაჯეს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ახალი მასალის გამოვლინებას და სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

¹³⁹ დ. კ ა ქ ა რ ა ვ ა. დასახ. წერილი, გვ. 132—133.

¹⁴⁰ გ. პ ა ი ქ ა ძ ე, მასალები..., საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 160.

¹⁴¹ ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970, გვ. 98—122.

მოსკოვში პატრიარქი მაკარიოსი და მისი თანმხლები პირები მამინ ჩავიდნენ, როდესაც რუსეთის პოლიტიკოსთა თვალში საქართველოს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კერძოდ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნავდით, XVII საუკუნის 60-ანი წლებისათვის რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა და იგრძნობოდა, რომ მალე საომარი ასპარეზი თურქეთისაკენ იქნებოდა გადატანილი, რუსეთის მეზვეურები ინტენსიურად იწყებენ საქართველოს შესახებ რუსეთის დაზვერვის მიერ წინა წლებში შეგროვილი მასალის შემოწმება-დამუშავებას და თურქეთთან მომავალ ომში საქართველოს გამოყენების საკითხის შესწავლას. ამ საქმეში დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეეძლოთ საქართველოდან ჩასულ პატრიარქებს და მათი ამაღის წევრებს.

რუსეთის სახელმწიფოს მიერ XVII საუკუნის განმავლობაში საქართველოში წარმოებული დაზვერვითი მუშაობა სპეციალურად აქვს შესწავლილი პროფ. მ. პოლიევქტოვს თავის შრომაში «Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе» (Тбилиси, 1932 г).

აქ იგი ძირითადად ეყარება საელჩო პრიკაზის საქმეებს, რადგან სხვა პრიკაზების საქმეებში სათანადო მასალას ვერ პოულობს. კერძოდ, საიდუმლო საქმეთა საგანგიოს (приказ тайных дел) შესახებ შენიშნავს: «В 50-х, 70-х годах XVII века близкое отношение имел к ведомству Иностранных дел, как вообще ко всем отраслям государственного управления, существовавший тогда приказ Тайных дел. Для интересующего нас вопроса, однако, этот последний приказ большого значения не имеет»¹⁴².

ეს მსჯელობა არ არის სწორი. საიდუმლო საქმეთა საგანგიოს (პრიკაზის) ფონდები საქართველოში რუსეთის დაზვერვითი მუშაობის წარმოებისა და საქართველოს აღწერილობის შესახებ მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ. როგორც ცნობილა, საგარეო საქმეთა საგანგიოს (საელჩო პრიკაზის) გამგებლობაში¹⁴³ შედიოდა

¹⁴² მ. პოლიევქტოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 5.

¹⁴³ «საპრიკაზოების» სისტემა რუსულ ენციკლოპედიაში საქმოდ კარგად არის შესწავლილი. კერძოდ, საელჩო პრიკაზის შესახებ არსებობს ს. ბელუცკოვის სპეციალური გამოკვლევა «О посольском приказе» Чтения в обществе истории и древности российских 1906 г., кн. III, არის ცალკე გამოცემაც). მის მიერვე არის დაწერილი სპეციალური თავი საელჩო პრიკაზის შესახებ წიგნში «Очерк исто-

25. ადრე ეს რელიქვია ინახებოდა ოპიზის ტაძარში. შემთავლემწერელი წერს: „...ოპიზა, უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა. ამას შინა არს უპირატესი ყოველთა წინასწარმეტყუელთა და მოწამეთა, ყოველთა უადრესისა ნათლისმცემლისა იოანეს ჯორჯი იგი, რომელი არა დადუმდებოდა ქებად ღმრთისა მოსრულისა, და მამხილებელი ჰეროდეს უსჯულოებისა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 259).

26. იგულისხმება ცნობილი ილორის წმ. გიორგი სახელობის მონასტერი.

27. აღნიშნული სასწაული დაწვრილებით აქვს აღწერილი არქ. ლამბერტსაც, თუმცა დღესასწაულის თარიღად აღნიშნავს 20 ნოემბერს. მაკარიოს ანტიოქელი წმ. გიორგის დღესასწაულის დღეს ზუსტად ვერ უთითებს. სამაგიეროდ ვახუშტი ბატონიშვილი ადასტურებს პავლე ალექსიეული თარიღის სისწორეს, კერძოდ, ვახუშტი გადმოგვცემს, რომ ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში „მოიყვანს (ეს წმინდანი) კარს ყოველწლივ ი(10) ნოემბერს, რომელსა დაჰკულენ და განიყოფენ მეფე დიდებულთურთ. გარნა არს ფრიად სასწაულმოქმედი ჰეშმარიტსა ზედაცა“. (აღწერა..., გვ. 168).

28. ქუთაისის ცნობილი კათედრალური ტაძრის მშენებლობა (დასრულდა 1003 წ.) დაკავშირებულია ბაგრატ III-ის სახელთან და მას ჩვეულებრივ უწოდებენ „ბაგრატის ტაძარს“. წყაროებში

არსად არ მოიპოვება მითითება, რომ ამ ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა მიეღოს დავით კუროპალატს, ტაოკლარჯეთის მთავარს, ბაგრატის მამობილს. პავლე ალექსანდრევი კი ამ ტაძრის აღმაშენებლად ამ მთავარს ასახელებს. გამორიცხული არ არის, რომ დავით კუროპალატს ბაგრატთან ერთად მართლაც მიეღოს აქტიური მონაწილეობა ამ დიდებული ტაძრის მშენებლობაში, ხოლო დავითის სიკვდილის (გარდ. 1001 წ.) შემდეგ ტაძარი დაასრულა მისმა შვილობილმა და მემკვიდრემ ბაგრატ III-ემ.

29. გელათის მონასტერი საეპისკოპოსო ცენტრად აქცია იმერეთის მეფე ბაგრატ ალექსანდრეს-ძემ (1510—1565) მე-16 საუკუნის 20-ან წლებში. უფრო გვიან აქვე იყო გადმოტანილი საკათალიკოსო ტახტიც. (ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 22).

30. გელათის მონასტერი აგებულ იქნა დავით აღმაშენებლის (1089—1125) მიერ. მისი მშენებლობა დაიწყო 1106 წ. და გაგრძელდა 1126 წლამდე. სამონაზვნო-მწიგნობრული მოღვაწეობა აქ მშენებლობის დამთავრებამდე დაუწყიათ. გელათის საბოლოო დამთავრება და მხატვრული გაფორმება დავითის შვილის დემეტრეს (1125—1154) დროს მოხდა.

31. უაღრესად საყურადღებო ცნობაა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ჩვენ ჯერ კიდევ 1963 წელს გამოვთქვით მოსაზრება, რომ აქ შეიძლება იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებელსა და ვლადიმერ მონომახს შორის პოლიტიკური ურთიერთობის რაღაც ჩვენთვის უცნობი ფაქტი და შეიძლება დაკავშირებული იყოს ყოფიანთა საქართველოში გადმოსახლების ამბავთან (იხ. ნ. ასათიანი, პავლე ალექსანდრევი „საქართველოს აღწერილობა“ და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თ ს უ და საქართველოს პედინსტიტუტების ისტორიის კათედრების გაერთიანებული სამეცნიერო სესიის თ ე ზ ი ს ე ბ ი, თბ., 1965; ნ. ასათიანი, ახალი ცნობები რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშ. განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს ისტორიის სექციის სამეცნიერო სესიის თ ე ზ ი ს ე ბ ი, თბ., 1965). ჩვენ ვასაბუთებდით, რომ პავლე ალექსანდრევი არ შეეძლო ეს ცნობა შეეთხზა და იგი ემყარებოდა რაღაც ადგილობრივ ინფორმაციას ან ჩვენამდე მოუღწევველ ნარატიულ წყაროს. რა თქმა უნდა, ალექსანდრევი ეს ცნობა თავისი შეხედულების მიხედვით გადააკეთა, კერძოდ, მისი დროისთვის დამახასიათებელი ვითარება, როდესაც საქართველოს მეფეები მართლაც დახმარებას ითხოვდნენ რუსეთის სამეფო კარისაგან, გადაიტა-

ნა დავით აღმაშენებლის ეპოქაში, როდესაც პირიქით ამბავს უფრო ჰქონდა ადგილი. ყვიჩაყთა საქართველოში გადმოსახლება კიევის რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობის დახმარება იყო. ჩვენთვის ამ ცნობაში საინტერესოა დავით აღმაშენებლის ეპოქაში საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ფაქტის დადასტურება, რაც აქამდე არ ვიცოდით, ხოლო ამ ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი უნდა დადგინდეს იქნეს სხვა მონაცემების გათვალისწინებით. ეს უკვე სპეციალურ საკვლევადიებო მუშაობას მოითხოვს. ჩვენი ეს მოსაზრება მთლიანად გაიზიარა განსვენებულმა პროფესორმა შოთა მესხიამ (იხ. მისი მონოგრაფია „დიდგორის ბრძოლა“, თბ., 1965, გვ. 87), მაგრამ ამ ვარაუდის სისწორეში ეჭვი შეიტანა პროფ. ი. ცინცაძემ (იხ. მისი წერილი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მე-12 საუკუნის ისტორიისათვის“, მ ა ც ე, № 5 (44), თბ., 1968, გვ. 211—214) და პროფ. ნ. ნაკაშიძემ (Н. Т. Накашидзе, „Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века“, Тб. 1968, გვ. 206). უკანასკნელად ამ საკითხზე გამოქვეყნდა პროფ. შ. მესხიას საპასუხო წერილი „შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან“, მ ნ ა თ ო ბ ი, 1970, № 1. იხ. მისი ევ, ძღვევაჲ, საკვირველი, თბ., 1972, გვ. 62—65.

32. იგულისხმება ნიკორწმინდის ცნობილი ეკლესია, აგებული XI საუკუნეში ბაგრატ III-ის დროს (იხ. ნ. ალადაშვილი, ნიკორწმინდა, თბ., 1957).

33. იგულისხმება ცაგარელის საეპისკოპოსო ცენტრი ცაგერში, რომელსაც ვახუშტი შემდეგნაირად ახასიათებს: „ამის (დეზვირის ციხის) სამჯრით და ცხენის-წყლის აღმოსავლით არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა“ (აღწერა... გვ. 149).

34. ვახუშტი ცაგერის საეპისკოპოსო ცენტრის დახასიათების შემდეგ აღნიშნავს, რომ „ამის ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსარებლისა და მუნ არს მაქსიმე აღმსარებელი დაფლული. არს შვენიერ-შენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის ამარად“. (აღწერა..., გვ. 149). მაქსიმე აღმსარებელი—ქრისტიანული აღმოსავლეთის ცნობილი მოღვაწე და ფილოსოფოსი (582—662), პლატონის, არისტოტელეს და სეოპლატონიანელთა მოძღვრების დრმა მცოდნე. ოფიციალურ მონოთეისტურ მიმდინარეობასთან ბრძოლის გამო ბიზანტიელმა ხელისუფლებმა იგი შეიპყრეს და სახელმწიფო ღალატის ბრალდებით აწამეს (659 წ.), კერძოდ, ამოსჭრეს

ენა და მოჰკვეთეს მარჯვენა ხელი. მაქსიმე აღმსარებელი და მისი მოწაფეები გადასახლებულ იქნენ ლაზიკაში, სადაც იგი გარდაიცვალა (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. მე-4, ნაკვ. I, თბ., 1941, გვ. 38—56, იქვე ლიტერატურა ამ საკითხზე).

35. ხონის საეპისკოპოსო(?)

36. იფლისხმება მცხეთის საპატრიარქო კათედრალური ტაძარი—სვეტიცხოველი.

37. აშკარა შეცდომაა. ვახტანგ გორგასლის სახელი და ზედწოდება გაგებულია როგორც ორი მეფის სახელი. შეცდომა ალბათ მთარგმნელიდან მომდინარეობს.

38. ერთაწმინდის მონასტერი.

39. ალბათ წმ. ისე წილენელის.

40. შეიძლება აქ დამახინჯებული გადმოცემაა „გიშელი“—სა. კახეთის სამეფოში გიშის საეპისკოპოსოს არსებობას მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი. კერძოდ, კაკისა და ელისენის დახასიათებისას ვახუშტი აღნიშნავს: „დიდს ალაზანს მიერთვის გიშის-წყალი, რომელი გამოდის კავკასს და ჰერეთს შორის და მოდის გიშამდე ჩრდილოეთიდან სამკრით, მერმე აღმოსავლეთიდან დასავლით. არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა და ეკლესია დიდი, გუნბათიანი, და იჭდა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა და წუქეთისა და შაკიხისა, არამედ მიიხუნა შააბაზ კახეთს და ჰყო სასულტნოდ და ამას ეწოდა წუქეთი, და აწ უწოდებენ ალისულტნად“. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და პავლე ალექსოვილი „დიშელში“ „გიშელის“ საეპისკოპოსოს გულისხმობს (სხვა საეპისკოპოსო კახეთში არც არსებობდა), მაშინ ჩვენ ხელთ გვექნება საინტერესო ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ საინგილოში მე-17 საუკუნის 60-ანი წლებისათვის კვლავ არსებობდა ქრისტიანული საეპისკოპოსო ცენტრი.

41. გურიის მთავართა (გურიელთა) საგვარეულო საქვლეს წარმოადგენდა შემოქმედის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია. გურიელები სხვაგან იშვიათად იმარხებოდნენ. გურიელთა აკლამები დაცული იყო შემოქმედში XIX ს. შუაწლებამდე (ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, ხელნაწ., 1959, გვ. 329).

42. იაკობიტები—მონოფიზიტებს ეწოდებოდათ.

43. იაკობის სახელით ცნობილია რამდენიმე წმინდანი. „უფლის ძმის“ სახელს ატარებდა ერთ-ერთი 12 მოციქულთაგანი ე. წ. იაკობ მცირე. მას უფლის ძმას იმიტომ უწოდებდნენ, რომ იგი იყო იესო ქრისტეს ბიძაშვილი დედის, წმ. მარიამის ხაზით. მას საპატრიო ადგილი ეკავა თავდაპირველ ქრისტიანულ თემებში და იგი

იერუსალიმის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი იყო. იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი მკაცრი ცხოვრებით, ამიტომ მიიღო „უმწიკვლოს“ ტიტული. იგი არის ავტორი ერთ-ერთი ახალი აღთქმის წიგნისა. მასვე მიეწერება განსაკუთრებული ლიტურგიის წესების შემოღება. იაკობიტებში ამ იაკობის წესების მიმდევრებს გულისხმობს პავლე ალუბონელი. რას უნდა ნიშნავდეს სავინები (Савины), ჩვენთვის გაუგებარია (საბაელნი?).

44. საინტერესო ცნობაა. დასტურდება, რომ XVII საუკუნის 60-იან წლებშიც კახეთის სამეფოს ექვემდებარებოდნენ დიდოელნი და ქისტები. იმიერკავკასიის ხალხების რუსეთთან ურთიერთობის ცნობილი მკვლევარი ე. კუშევა აღნიშნავს, რომ „ქისტების“ სახელი დაკავშირებულია ინგუშების უძველეს სამოსახლო ადგილებთან, რომლებიც უშუალოდ კახეთის მთიანეთს (თუმ-ფშავესურეთის) მოსაზღვრედ იყო განლაგებული. ეს იყო ე. წ. მთიანი ინგუშეთი, საიდანაც ინგუშები შემდეგ უფრო ჩრდილოეთით გავრცელდნენ. კერძოდ, ამ უძველესი თემების სამოსახლო ადგილები და სახელები იყო: მდ. არმხის ანუ კისტინკას ხეობა (იგი შეერთვის მთ. თერგს მარჯვენა მხრიდან დღევანდელი კურორტ დარიალის მახლობლად), სადაც მოსახლეობდნენ ჯერახისა და ქისტების ინგუშური თემები, უფრო ჩრდილოეთით მდ. ასას ხეობაში მოსახლეობდნენ ღლიღვები (რუსული წყაროების „Галгай“). და სხვა. ინგუშთა ამ ძირითადი და უძველესი ტერიტორიის აღმოსავლეთით მდ. არღუნის ზედა წელზე დასახლებულ ადგილებს ეწოდებოდა „შორეულ ქისტთა“ დასახლებანი. ამათ სამხრეთით უკვე წოვა-თუშების (ანუ ბაწბიების Батцкая земля) დასახლებანი იყო. ეს უკვე თუშეთის ანუ კახეთის სამეფოს ფარგლებში ითვლებოდა: „А владеет того Батцкою землею государь их Александр“... (С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, 1578—1613 гг., Москва, 1889, გვ. 128).

ამრიგად, კახეთის სამეფოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდნენ ინგუშთა ის უძველესი თემები, რომლებიც „ქისტების“ სახელს ატარებდნენ. ამიტომ იყო, რომ ქართველები ინგუშეთის მთელ მოსახლეობას და ჩეჩნებსაც ერთ საერთო სახელს „ქისტებს“ უწოდებდნენ. რუსულ წყაროებშიც ქისტების სახელი იხმარება ძირითადად საქართველოდან მომავალ ცნობებში. ე. კუშევა შენიშნავს, რომ „Кистинское общество в русских источниках XVI—XVII вв. мне не встречалось. Зато название „кистины—в греческих текстах Κητινής—обычно встречается в документах этого вре-

მენი გრუზინსკოგო პრონსხოჯენია, გდე ნერედკო უპოტრებლენიას კაკ ობჩეე დია ინგუშსკის ქმენი ნაზვანიე, ი ოპია—თაკი ჩაჲე ვსეგო ვ სვიაჲ ს პოისკაჲს ქუთეჲ იჲ გრუზინი ნა სევერნიჲ კავკაჲ, კ რუსკოჲ ტერსკოჲ გოროდუ“ (ე. ნ. კუშევა, *Народы Северного Кавказа и их связи с Россией* (II пол. XVI в.—30-е годы XVII в.), М., 1963, გვ. 67).

ჩევენი აღწერაჲლობის ავტორი კახეთის მეფის მფლობელობაჲში მყოფი ქისტების ქვეშე უნდა გულისხმობდეს ჩეჩენთა ერთ-ერთ თემს, რომელიც შიბუტის (Шыбуты) სახელს ატარებდა. ამას პირდაპირ აღნიშნავენ 1661 წ. ასტრახანში ჩასული თუშების ელჩები არაბული და ასტორული: მათი სიტყვით თუშეთიდან შიბუტთა მიწამდე ორი დღის სავალია „И Шибутскою землицею владеют они, тушинцы, и вера с ним одна (ე. ი. ქრისტიანულია), а иные де шибутцы живут и по бусурмански. И оброка де они, тушинцы, с них, шибутцев, емлят з деревни го 10 баранов“ (ЦГАДА, *Книги грузинских дел*, № 7, 1660—1661 гг., ფურც. 46—48).

ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1657—1658 წლებში თუშ-ფშავ-ხევსურების ელჩებთან ერთად მოსკოვში ჩავიდა სამი შუბუტელიც: ალხანი, სუსლო და ალგანი, რომლებმაც რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცეს ქართველ მთიელებთან ერთად (ე. კუშევა, *დასახ. შრ.*, გვ. 72).

დიდოელები (იმიერკავკასიელ დაღისტანელთა ერთ-ერთი ტომი), რომლებსაც დღეს ცეზები ეწოდებათ (იხ. *Народы Кавказа*, т. I, М., 1960, გვ. 463), ქისტების აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ მდ. ანდის ყოისუს სათავეების სამხრეთით, მისი შენაკადი მდინარეების (საბაკუნის ხევის, კიდეროს, ილიან-ხევის, ორწყალის და სხვა) ხეობებში. ერთიანი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს არსებობის პერიოდში ისინი, ისე როგორც სხვა იმიერკავკასიის ტომთა უმრავლესობა, ქართველ მეფეებს ემორჩილებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ კახეთის სამეფოს გამოყოფის დროიდან დიდოელნი კახ მებატონეთა მორჩილებაში დარჩნენ, ხოლო ლევან მეფემ ისინი შემოიბოძკიცა. ამიტომ სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი დიდოეთს კახეთის ნაწილად, თვლის და მასთან ერთად აღწერს („ამისთვის აწცა ჯერ არს აღწერად კახეთსა ზედა“—ვახუშტი, *აღწერა...* გვ. 103).

45. თორღას ციხე მდებარეობდა მდ. სტორის ხეობაში. ვახუშტის აღწერით—„თურღოს—ქევის შესართავის ზეით ალაზანს მიერთვის სტორის—ქევი, გამოსდის თუშეთსა და ამას შორის კავკასსა და მოდის აღმოსავლეთიდან დასავლით. თორღის ციხესთან

ერთვის ამ ჭევს სხვა ჭევი, გამომდინარე მისვე კავკასისა. თორღას ციხე არს მაგარი და კლდესა ზედა ნაშენი, არამედ აწ უქმი“ (აღწერა... გვ. 101).

თორღას ციხის ნანგრევები აღმართულია მდ. სტორის მარჯვენა სანაპიროზე, ნაქერალას ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე, იქ სადაც სტორის ხევის სხვა ხევი შეერთვის მარჯვნიდან. ამ შენაკადს დღეს „თორღვას-წყალს“ ეძახიან.

სტორის ხეობაში მათუშეთისკენ ორი გზაა. სოფ. ფშაველიდან თუშეთისაკენ მიმავალი სამანქანო გზა მდინარის პირს მიჰყვება, ძირში ჩაუვლის თორღას ციხის ნანგრევებს (რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დღეს „თორღვას გალავანს“ ეძახის), აღის სტორის შესართავ მდ. აბანოს—წყლის სათავემდე, სადაც ცნობილი მინერალური წყაროებია (ე. წ. თორღვას აბანო). სამანქანო გზა დღეისათვის მხოლოდ აქამდე აღწევს, შემდეგ მთის ბილიყებით გზა გადადის საკინოს-ღელეს გადასასვლელით მდ. ორწყალის სათავეებთან, რომელიც უკვე თუშეთში მიედინება.

მეორე გზა თორღას ციხიდან ნაქერალას ქედს მიჰყვება, მარჯვნივ დაიტოვებს დიდგვერდის მთას და იმავე საკინოს-ღელის გადასასვლელით გადადის თუშეთში. ამ ორივე გზით თორღას ციხიდან თუშეთში გადასვლას ცხენოსანი მგზავრი მართლაც ექვს საათს მოუხდება.

46. ქისტეთ-შემბუტი უნდა იყოს იგივე ციხე-ქალაქი ჩეჩენი, რომლის შესახებაც რუსეთის პოლიტიკოსები ეკითხებოდნენ ერეკლე ბატონიშვილის ელჩს მიტროპოლიტ ეპიფანეს (იხ. შესავალი, აგრეთვე, М. Полиевктов, Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе, Тифлис, 1932, გვ. 22).

ციხე-ქალაქის სახელი ორივე შემთხვევაში წარმომდგარია ადგილობრივი ტომის სახელიდან. ცნობილია, რომ ამ ადგილის მცხოვრებთა ზოგად სახელად მხოლოდ რუსები ხმარობდნენ ტერმინს — ჩეჩენები, ქართველები კი ამათ „ქისტებს“ ეძახდნენ. ეს ციხე-ქალაქი აგებული იყო შუბუტების (რუსული წყაროების „Шибуты“, პავლე ალექსეელის თხზულების თარგმანში „Шембуты“—ჩეჩენთა ერთ-ერთი თემი) ტერიტორიაზე. ამრიგად, პავლე ალექსეელის მიერ მოტანილია ამ ციხე-ქალაქის საქართველოში ხმარებული სახელწოდება. ამაზე მიუთითებს თუნდაც ფორმა „ქისტეთი“.

რუსეთის პოლიტიკოსები ამ პერიოდში დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოსაკენ მომავალი გზების შესახებ ზუსტი მონა-

ცემების ცოდნით, იმიერკავკასიაში ერთდროს რუსეთის მიერ ჩადგმული ციხე-ქალაქების მდგომარეობით. ამიტომ არის რომ ისინი საქართველოდან ჩასულ პირებს (ჯერ იყო მიტროპოლიტ ეპიფანეს და მასთან ერთად ჩასულ ქართველებს და თუშებს, შემდეგ კი პავლე ალეპოელს) თითქმის ერთიდაიგივე კითხვებს უსვამდნენ (იხ. შესავალი).

ამ ციხე-ქალაქის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული უახლოეს გამოკვლევებში (Е. Н. Кушева, Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI—XVII вв., М., 1963 г., გვ. 68, 241; Л. Алексидзе, Взаимоотношение Грузии с Россией в XVI—XVII вв., თსუ შრომები, ტ. 94, 1963, გვ. 21 და სხვ.).

ამ ციხე-ქალაქის ჩადგმა დაკავშირებული უნდა იყოს XVI საუკუნის 60-იან წლებში ივანე IV-ის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში მოწყობილ სამხედრო ექსპედიციებთან. მას შემდეგ რაც ყაბარდოელი მთავრები რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდნენ (1557 წ.), ივანე IV-ის მთავრობამ აქტიური მოქმედება წამოიწყო იმიერკავკასიაში.

რუსეთის სამხედრო მოქმედება თავდაპირველად მიმართული იყო შამხალის წინააღმდეგ. 1560 წ. ივანე IV-ეს ვოევოდა ი. ჩერემისინოვი ლაშქრობს საშამხლოზე „по неправдам шевкаловим“ (შამხალის „неправда“ უნდა იყოს მისი მტრობა რუსეთის ხელდებულ ყაბარდოელ მთავრებთან და მისი თურქული ორიენტაცია). ამ ლაშქრობის დროს რუსებმა დაიკავეს შამხალის სატახტო ქალაქი თარლუ (Тарки).

შეიძლება სწორედ ეს მოვლენები აქვს ნაგულისხმები ვახუშტი ბატონიშვილს, როდესაც აღნიშნავს, რომ „ოდეს დაიპყრა რუსთა მეფემან იოანე ყაზანი და აშტარახანი და თერგი და დასხნა ყაზახანი თერგს და თარლუს მცველნი თვისნი, ამან ლევან წარავლინა და ითხოვა სპა მისი მცველად ციხეთა კახეთისათა“ (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 163). ლევან მეფის რუსეთთან დაკავშირების ამ ფაქტის დათარიღებაში სხვადასხვა აზრი არსებობს. მაგალითად პროფ. ი. ცინცაძე ფიქრობს, რომ ეს უნდა მომხდარიყო 1563 წლის შემდეგ (იხ. ცინცაძე, ძიებანი..., გვ. 277). მაგრამ ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ლ. ალექსიძის მოსაზრება, რომ ვახუშტის პითითება რუსეთთან დახმარების სათხოვნელად ლევან კახთა მეფის მისვლის შესახებ უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ი. ჩერემისინოვის წარმატებული ლაშქრობის დამთავრების ხანას (საამისო დასაბუთება იხ. ალექსიძის დასახ. ნაშრ., გვ. 17—28).

1562—1563 წლებში რუსეთმა ახალი ლაშქრობა მოაწყო იმიერკავკასიაში. ივანე IV-ის სიმამრი ყაბარდოელი მთავარი თემურყვა (Темрюк) ასტრახანში იყო გამოქცეული და თავის სიძისგან დახმარებას ითხოვდა. გაიგზავნა 500 სტრელცისა და 500 კაზაკისაგან შემდგარი ჯარი რუსი ვოევოდა გ. პლეშჩევისა და სტრელცთა თავის გ. ვრასკის მეთაურობით. რუსებმა დალაშქრეს თემურყვას მოწინააღმდეგე მთავრები და აიღეს მთელი რიგი სოფლები და გამაგრებული ადგილები. მათ შორის დასახელებულია „Мшанские и Сонские Кабаки“. ცნობილია, რომ Сон-ის სახელით რუსული წყაროები აღნიშნავდნენ საქართველოს მთიანეთს. ამრიგად, ამ ლაშქრობის დროს რუს სარდლებს საქართველომდეც მოუღწევიათ. ე. კუშევა აღნიშნავს, რომ 1562—1563 წ. წ. თემურყვას და პლეშჩევის ლაშქრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო კავკასიონის ქედის ცენტრალური გადასასვლელების გზით საქართველოსთან რუსეთის კავშირის უზრუნველყოფა (Е. Кушева დასახ. შრ., გვ. 241) და აყენებს მოსაზრებას, რომ შეიძლება ციხე-ქალაქი ჩეჩნი (ჩვენი აღწერილობით „ქისტეთ-შემბუტი“), რომლის შესახებაც მიტროპოლიტმა ეპიფანემ და თუშებმა მხოლოდ ის იციან, რომ იგი იყო რუსეთის მეფეების მიერ აგებული ციხე-ქალაქი („великих государей...российских“), ჩადგმული უნდა ყოფილიყო სწორედ ამ ლაშქრობის დროს (1563 წ.). ეს ციხე-ქალაქი მალე განადგურებულ იქნა.

47. სუნჯის ციხე-ქალაქი აგებულ იქნა თემურყვას თხოვნით 1567 წელს მდ. სუნჯისა და თერგის შესართავთან. იგი თავდაპირველად წარმოადგენდა ხით გამაგრებულ ციხეს. ამ ციხე-ქალაქის მეოხებით რუსეთის ხელთ იყო კონტროლი იმიერკავკასიაზე გამავალ დიდი მნიშვნელობის მქონე გზაზე, რომელიც აკავშირებდა კასპიისპირეთს შავიზღვისპირეთთან. ეს ციხე-ქალაქი დანგრეულ იქნა 1571 წელს. 1577—1578 წ. წ. რუსებმა იმავე ადგილას ხელახლა გაამაგრეს „ქალაქი“ თემურყვას ძმის კამბულატ აიდარის-ძის თხოვნით, რომელიც ასევე მალე იქნა დანგრეული. უკანასკნელად ეს ციხე-ქალაქი კვლავ გაამაგრებულ იქნა დაახ. 1590 წ. და XVII საუკუნის დასაწყისში ხელახლა დანგრეული (იხ. ე. კუშევა, დასახ. შრ.).

48. რუსეთის მეფე ივანე IV (მრისხანე). მეფობდა 1533 წლიდან 1584 წლამდე. 1547 წელს მიიღო царь-ის ტიტული.

49. ამ აღმანს (თუ ალკანს) ახსენებს მიტროპოლიტი ეპიფანეტ. კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ ციხე-ქალაქ ჩეჩნის ნანგრევე-

ბის მახლობლად დასახლებულა ერთ სოფლად ყუმუხი მირზა ალკანი, რომელსაც თერგზე გაგზავნილი ჰყავს მძევლად თავისი ძმის შვილი. თუშეთიდან რუსეთისაკენ მიმავალი მიტროპოლიტი და მისი თანმხლები პირები გაჩერებულან ამ მირზასთან. ეს მირზა რუსეთის მეფის პატივისცემით კარგად გამასპინძლებია მათ და გამცილებლებიც გაუყოლებია. მას მიტროპოლიტისათვის დაუბარებია რუსეთის მეფისათვის გადასაცემად თხოვნა, რომ იმ ადგილიდან, სადაც ეს მირზა დასახლდა, არ აყაროს. თვითონ მირზა მეფისადმი სამსახურის მოხარულია და თანახმაა მძევლად გაგზავნოს თავისი ვაჟიშვილიც (М. Полневков, Экон. и полит. разведки Моск. гос-ва..., გვ. 22).

პავლე ალექსოელის მითითება ამ მირზას დასახლების ადგილის შესახებ განსხვავდება მიტროპოლიტ ეპიფანეს ჩვენებიდან, მაგრამ რადგან პავლე ალექსოელის ცნობა ამ შემთხვევაში სხვის ნათქვამს ემყარება, ხოლო ეპიფანე კი თვითონ იყო მირზა ალკასთან, ამიტომ ეპიფანეს ცნობა უფრო ზუსტი უნდა იყოს.

50. უნდა იგულისხმებოდეს ცრუ დიმიტრი I-ის მოკვლის ამბავი (1606 წ. 17 მაისს).

51. თეიმურაზ I-ის შვილი ერეკლე დავითის-ძე (რომელსაც რუსეთში ნიკოლოზ ბატონიშვილს უწოდებდნენ) და მისი დედა დედოფალი ელენე რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის-ძის კარზე იმყოფებოდნენ 1653 წლიდან... 1660 წელს იგი თავის დედასთან და ამაღასთან ერთად საქართველოსკენ გამოემგზავრა. კახეთის ტახტის დასაკავებლად უშედეგო ბრძოლის შემდეგ 1666 წლის ზაფხულს იგი ისევ მოსკოვს დაბრუნდა. ამის შესახებ იხ. შესავალში.

52. წყრთა (რუს. лскотъ, ბერძ. ὁ ἄρκυα)—ძველ საქართველოსა და რუსეთში მიღებული სიგარძის საზომი ერთეული (მანძილი იდაყვიდან შუათითის ბოლომდე), უდრიდა დაახ. 45,5 სმ (შეად. ი. ჭავჭავიძე, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმოზ-მატიკა—მეტროლოგია, ტფ. 1925, გვ. 133).

53. ტალერი — რუსულ ტექსტში მართალია тарел-ი წერია, მაგრამ აქ ტალერი უნდა იგულისხმებოდეს (Т და Л ადგილის შენაცვლება ხშირად ხდება რუსულში უცხოურიდან შემოსულ სიტყვებში, მაგ. Талер რუსულში შემოვიდა тарелка-ს ფორმით). Талер გერმანული ვერცხლის ფულის ერთეულია (=3 მარკას), რომელიც XVII საუკუნეში ფართოდ იყო რუსეთში ხმარებაში. მის აღსანიშნავად ხმარობდნენ რუსულ ტერმინსაც— ефимка.

ЦГАДА, ფობღო 27, სპგე № 140.

ПИСЬМО К ЦАРЮ АЛЕКСЕЮ МИХАЙЛОВИЧУ ДЬЯКОНА МЕЛЕТИЯ С ИЗВЕЩЕНИЕМ О ПРИБЫТИИ ИХ В ШЕМАХУ, А АНТИОХИЙСКОГО ПАТРИАРХА В ТИФЛИС И О ЗАТРУДНЕНИЯХ ПОСЛЕДНЯГО ПРОДОЛЖИТЬ ПУТЬ

От 30 ноября 1665 года.

Благочестивейший, тишайший, Богом венчанный, Богом хранимый, государь, царь и великий князь Алексей Михайлович всея великия и малыя и белыя Россни, самодержец. Вашему царскому величеству поклоняюся. Егда пондохом от Египта с блаженнейшим папою и патриархом великого града Александрии и судиею вселенским Кир Пансем и с боголюбезным архиепископом святыя горы Синайския Ираифом Кир Ананием, писах со единым старцом, именованном Герасимом, Синайския же горы, к вашему царскому величеству в Тайной приказ; обаче не вем, аще прииде той старец или ин, обаче извещаю вашему царскому величеству, яко послахом того старца с писаннем в 25-й день Мая. Поехали и мы с блаженнейшим патриархом Кир Пансем и с архиепископом Кир Ананием и приидохом морем в Триполь, в епархию Антиохийского, а от Триполя в Дамаск сухим путем, чающе, яко да обрящем блаженнейшаго патриарха Кир Макария; обаче рекоша нам наместники его, яко есть в Грузех. И по 32 днех, дондеже обретохом караван, пошли и приидохом во Изрум, и от Изрума в Карс, а от Карса в Тефлиз Октября в 1-й день. А антиохийский патриарх бево Имеретни, от Тефлиза в десяти днишах, и исках абие пойти тамо отдати ему письмо и призвати его по повелению вашего царского величества; и владетель места оного шах Навазхан не пустил мене, токмо посла сам от себе гонца, и писанне папа и патриарх кир Пансей посла, и архиепископ тамошняй кир Дометий и аз, раб ваш, ко блаженнейшему патриарху кир Макарию извещающе ему дело великия церкви и вашего царского величества. И отвеща нам, яко по десяти днех приидет, да пойдем вкупе; обаче по 10-ти и по 20-ти днех не прииде. Пос-

лахом к нему и второго гонца и писахом такожде, и паки отвеща нам, яко по 3-х днех хотел пойти, обаче прошли 3 и 13 дней и не прииде. И сице поидох к нему и сам и по 8 днех встретихомся с ним на рубеже и вручих ему вашего царского величества грамоту и придехом вкупе и Тифлиз. И яко пройде 10 дней отвеща нам, яко ныне не может пойти, но токмо весною, зане собра имение неподвижимо и не имеет кому предати и с кем послати во свояси долгу своею отдать; и егда слыша сие Александрийский и ниже с ним и аз, раб ваш, такой ответ, быхом, яко иступленн, наипаче блаженнейший папа и патриарх, яко слыша сий ответ, отказа, яко и он не приидет; обаче со многим молением и со слезами и ходатайством многих рабов ваших, царского величества, обещался прийти, и антиохийский такожде хотел прийти после Светлого Христова Воскресения из Грузей. Обаче с блаженнейшим папою и патриархом пришли в место Николая царевича во град Кахет, и оттуда даде нам людей сын шаха Навазхана шах Назархан, и приидохом в Персиду во град Шамаху, чающе, яко можем проити сухим путем до Терка или морем. Обаче сухим путем невозможно за неприятели, а морем за зимним временем; и ожидаем и антиохийского. И дондеже пришлют вашего царского величества воеводы из Астрахани или с Терка корабль взяти нас, чаем, яко да приидет до того времени и антиохийский патриарх и архиепископ синайский, зане хочу паки пойти отселе в Тифлиз взяти ответ подлинной от антиохийского; и есть отселе путь до того места 20 дней, и уповаю на Бога, что будет и антиохийской токмо zde да предварить корабль. И zde, в Шемахе, насилу обретохом место, где главу приклонити. О блаженнейшем кир Нектарии, патриархе неросалимском, от времени, как посылал к нему Перфирья и Стефана и Василия во град Тернов и отдал им грамоты, елико бе в Царьград писаны, да пойдут для вашего царского величества дела, обаче по сем, что они учинили, того неведомо. По сем покланяюсь святой державе вашего царского величества. 1665 г. Ноября 30-го дня. Раб малейший вашего царского величества Мелетий.

Н. Гиббенет, Историческое исследование дела патриарха Никона, Приложения ко 2-ой части, стр. 834—836.

მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ყოფ. სინოდის საბუთების ფონდში 2297 ნომრით დაცულია ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის წერილი გაგზავნილი თბილისიდან მოსკოვის პატრიარქ იოასაფისადმი 1669 წლის 22 ივლისს. წერილში მოცემულია ცნობები პატრიარქ მაკარიოსისა და პავლე ალექსოპოლის თავგადასავლის შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანში ყოფნის დროს. აქვეა ცნობა პავლე ალექსოპოლის გარდაცვალების შესახებ.

ბერძნული ტექსტის ამოკითხვის და თარგმნის სიმძიმე იკისრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დოცენტმა ა. დ. ალექსიძემ, ასევე ტექსტის თარგმანის დაზუსტებაში დაგვეხმარა პროფ. თ. ყაუხჩიშვილი, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

წერილის ტექსტი შესრულებულია ორად მოკეცილი ერთი მთლიანი ფურცლის სამ გვერდზე. თვითონ წერილი დაკეცილი იყო მცირე ზომის კონვერტად, რომელსაც ზემოდან აქვს ბერძნულად შესრულებული წარწერა. მისი თარგმანია: ქ. ნეტარო და ყოვლად წმინდაო პატრიარქო დიდი ქალაქის მოსკოვისა და მთელი მცირე და თეთრი რუსეთისა, უფალო იოასაფ, სულით წმინდით საყვარელო ძმავ და თანამოსაქმევე ჩემის უმდაბლესობისა. ჭანმრთელად და ბედნიერად მყოფს გებოდოს. სატახტო ქალაქ მოსკოვს, თბილისიდან. 1669.

ქვემოთ მიწერილი აქვს რუსულად შესრულებული შენიშვნა წერილის შინაარსის შესახებ: „Макария патриарха антиохийского к Иоасафу патриарху московскому уведомляя, что хан шамахинский его ограбил и просит о заступление о возврате отнятого. 1661, июля 22“.

თ ა რ გ მ ა ნ ი

ქ. მაკარიოსი, წყალობითა ღვთისათა პატრიარქი ღვთის დიდი ქალაქისა ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა.

ნეტარო და ყოვლადწმინდა პატრიარქო დიდი ქალაქის მოსკოვისა და მთელი მცირე და თეთრი რუსეთისა უფალო იოასაფ!

სულით წმინდით საყვარელო ძმავ და თანამოსაქმევე ჩემის

Ἰνὸν καὶ ἀνὰ φρονίαν· καὶ καὶ ἔχρα τήσων· ἐδωδεκάμηνος, ἄρ-
μεδιαφορον· καὶ ἄκαρος ἔτανε πόνυ καὶ ἕως τρίαρ γης καὶ ἕχα-
μαρῆμων τρίαρ τα ἀνός· καὶ οἰσός καὶ τὸ σκ ἄρρογα· καὶ κα-
φί μόν δὴ μαλ φθαρτέ εἰς δεκάρον πηλα· καὶ οἰσός τῆσων μαρῆ-
μαλ ἀπο τὸ ἔχρος τὸν ποτὴν χηρ κίμων βασιχρος· ἔρα τῶν
ξο δὴ ἀκαρῶν· καὶ οἰσός μόν πηλαχέδ· καὶ τριμὸν καὶ μαλ ἔχα-
μὸν πηχόνε· καὶ ἀπο τὴν ἔ-παρ χηρ κίμων καθε ἐν δὴ μαλ ἀ-
χουρ δὲ τὴν γηρ κίμων ἰλλῆκην δὴ ἀνὸν παγω εἰ πὴν φρονίαν μόν·
καὶ τὸ σκ ἕρμαλ ἔκαμὸν ἀν τὸ μαρῆμαλ ἀν ἄρ φηρ κίμων· ἡ
ἕρμαλ ἕρμαλ ἕρμαλ ἀν τὸν μέρ πηλα ἀπο τὰ τριμὸν τα μόν
καὶ πορ δὴν ξενὸν μόν ἀν τὰ ἕρμαλ πορ· καὶ ἕρμαλ καὶ
ων τὰ πηρ κίμων ἔτανε τῶν τρίαρ τα φηρ κίμων· καὶ πορ κίμων κίμων
σων τὸ ἀκαρῶν καὶ πηλαχέδ οἰσός τῶν ἕρμαλ μόν· ἔτο πα-
ρα κίμων ἀνὰ τῶν πορ κίμων ἕρμαλ ἀν τὸν κίμων ἕρμαλ· ἕρμαλ
ἕρμαλ ἀν τῶν πορ κίμων μόν ἕρμαλ· καὶ οἰσός ἕρμαλ τὰ πηρ κίμων
τὰ ἕρμαλ ἀπο τὸν πορ κίμων, ἕρμαλ ἀν τὴν τριμὸν τὸν· κα-
τὰ τὸν ἕρμαλ ἀν τὸν τὸν· καὶ ἕρμαλ πορ κίμων μόν καὶ μόν
τὸν πορ κίμων τὰ πηλαχέδ ἕρμαλ ἀν τὸν φρονίαν μόν· καὶ ἕρμαλ τὸ ἕρμαλ
χρὸν εἰς παρ κίμων τὰ χηρ κίμων ἕρμαλ· ὁ χηρ κίμων ἕρμαλ
καὶ πορ ἀν τὸν κίμων τὸν ἕρμαλ παρ κίμων· καὶ ἕρμαλ ἕρμαλ
μὸν καὶ τὸν πορ κίμων καὶ ἕρμαλ τὸν πορ κίμων ἕρμαλ
σῆμαλ· καὶ ἕρμαλ ἕρμαλ τὸν χηρ κίμων ἕρμαλ μόν· ἕρμαλ τὸν πορ κίμων
καὶ πορ τὸν πορ κίμων ἀν τὸν· καὶ ἕρμαλ τὸ καμ κίμων ἕρμαλ
ραμ κίμων μόν ἀν τὸν πορ κίμων· καὶ οἰσός κίμων ἕρμαλ ὁ πορ κίμων
ἕρμαλ ἕρμαλ ἕρμαλ καμ κίμων ἕρμαλ τὸν πορ κίμων· ἕρμαλ τὸν πορ κίμων
ἕρμαλ τὸν πορ κίμων καὶ ἕρμαλ τὸν πορ κίμων τὸν πορ κίμων μόν· ἕρμαλ
τὸν πορ κίμων καὶ ἕρμαλ τὸν πορ κίμων ἕρμαλ τὸν πορ κίμων μόν· ἕρμαλ
μὸν· καὶ ἕρμαλ τὸν πορ κίμων καὶ ἕρμαλ τὸν πορ κίμων· ἕρμαλ τὰ δὲ
οἰσός ἀν τὰ μόν μόν τὸν πορ κίμων· καμ κίμων ἕρμαλ τὸν πορ κίμων καὶ
ρὸν τὸν πορ κίμων· ἕρμαλ τὸν πορ κίμων ἕρμαλ τὸν πορ κίμων ἀν τὸν πορ κίμων
τὸν πορ κίμων· καὶ ἕρμαλ τὸν πορ κίμων τὸν πορ κίμων μόν καὶ ἕρμαλ

δὲν χανέται καὶ αὐτὸν καὶ αὐτὸ θεοῦ τὴν ὁρίαν τῆς γῆρας
 αὐτὸ δὲν ἔλε κείοντες ἀπὸ τὸν ποταμὸν ἢ κείον βασιλεῖαν.
 γὰρ ξενύχου τοῦ χρέως τῆς μετὰ γῆρας ἐκρητοσε, καὶ αὐτὸν κα-
 με τῆς αὐτῆς τῆς κείοντῆς μαζήμας, ὅλην τῆς βωκῆν μα-
 ζήμας εἶχε τῆς σῆς. καὶ αὐτὸν ἐν τοῦ καμῆ τῆς αὐτὸ μαζήμας ἔ-
 γομας πικρὰς μεν εἰς τοὺς χορῶνους. ἔλην τῆς βωκῆν μου. ἢ
 ἢ αὐτὸ τῆς καμῆ τῆς ποταμὸν κακοσυνάμῃ εἰς τῆς κῆρῆς
 ἔδομας καὶ μερὸν καὶ ἀπο πέρσου τέρων. ἀπὸ ἑκάτον
 χροῦ καὶ ἑκατοστάσι γῶδῃ κασαι πρὶς αἰχῆς. καὶ καμῆ
 μόνον αὐτὸν τὸν σῆς ἔπῆσαν. καὶ κατὰ φέρων τῆς
 καὶ κατὰ τῆς καμῆ ξενύχου ἔλαγ ἔστραψῶ ἀπὸ τῆς με-
 τὰ τῆς αὐτῆς ἢ ἐν αὐτὸν ὁμοιομορῶν ἢ χωρεῖν
 καὶ τῆς αὐτῆς ἢ ἐν αὐτὸν ὁμοιομορῶν. καὶ κείον τῆς εὐσοῦτας
 αὐτῆς καὶ ἐν αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς καὶ τὸν πᾶν. τὸν αὐτὸν
 ἢ τῆς καὶ ἐν αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς τῆς κῆρῆς καὶ κῆρῆς
 σὸν τῆς σῆς ἢ ἐν αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς καὶ κῆρῆς καὶ κῆρῆς
 παρακῆρῶ γὰρ καμῆ καὶ καμῆ καὶ καμῆ καὶ καμῆ καὶ καμῆ
 μα. ἔρρω μεν εἰς αὐτῆς εἰς αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς
 ἢ ἐν αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς ἢ ἐν αὐτῆς

كتاب روضة القلي بطريق الانطلي ساير المشرق
 كايوس تغلي

უმდაბლესობისა! ცრემლთა მფრქვეველი მოკრძალებით ვესალმე-
ბი შენს უწმონდესობას, ვევედრები სამსხივოსან და სამმზიან ღვთა-
ებას, ძესა და სულიწმინდას. რათა დაიცვას მალლით იგი (შენი უწ-
მინდესობა) მთელი თავისი ძლევამოსილებით, რათა სწყალობდეს
მას მრავალ წელსა და საუკუნეს. ხოლო თუ შენი უნეტარესობა
ჩემს ამბავს იკითხავს (მოგახსენებ, რომ) შენი ლოცვა-კურთხევით
ვარ კარგად და ჭანმრთელად. მე სწრაფად გამოვემგზავრე სატახტო
ქალაქ მოსკოვიდან, რათა ჩემს ტახტზე დავბრუნებულიყავი და
მეხილა ჩემი ცხოვარნი, რადგან არიან ისინი მგელთა შორის. და
როდესაც მივედით შემახას, ვუბოძეთ შემახის ხანს დიდძალი სა-
ჩუქარი, აგრეთვე მის ვაჟს, მის ნაზირს და ყველა მის კაცებს, და
შემდგომ ხელმეორედ ვუბოძეთ საჩუქარი და მაშინ მოვიდნენ
ჩვენთან მრავალი ვაჭრები, რათა შეესყიდათ ის, რაც მოგვეპოვე-
ბოდა ღლეგრძელი მეფის წყალობით, და მომზადებული ჰქონდათ
ფული და გამოაგზავნა ხანმა თავისი ნაზირი და არ დაანება არავის
რაიმეს ყიდვა. და ძალით წაიღო ყველაფერი, რაც გავაჩნდა, და
ისურვა ჩვენი გაგზავნა შაჰთან. ხოლო ზამთარი იყო, ჩვენ კი კარ-
ვებში ვიძყოფებოდით. და გაჭირვების გამო მივეცი სიტყვა, ხო-
ლო მან მოგვცა ხელწერილი და წაიღეს ჩვენი ნივთები სამი ათასი
მანეთით ნაკლებ ფასად იმ ფასთან შედარებით, რაც მათ მოსკოვ-
ში ჰქონდათ დაღებული. და გვითხრა ხანმა: „წადით საქართველო-
ში და გამოგზავნეთ კაცი, რომელსაც ისურვებთ. რათა მოგცეთ
თქვენი ფული“. და ჩვენ ჩავედით საქართველოში და დაეყავით ერ-
თი თვე. და განისვენა არქიდიაკონმა პავლემ. და შემდგომ გავაგ-
ზავნეთ ჩვენი მოციქული (მოურავი?) შემახის ხანთან ჩვენი ფუ-
ლისათვის. და არ ისურვა მოეცა ის, რასაც გვპირდებოდა. ხოლო
ჩვენ შევევედრეთ ქართლის ხანს და სამგზის გავაგზავნეთ მასთან
კაცები, რათა მოეცა ჩვენთვის ჩვენი ნივთების საფასური, მაგრამ
მან არაფერი არ მოგვცა და დაგვაკავა აქ ათ თვეს სრულიად უმი-
ზეზოდ. ხოლო შიმშილობა იყო და მე, პატრიარქს მახლდა ოცდა-
ათი კაცი და (მყავდა) ამდენივე ცხენი. დავყოვნდით, და ათ მანე-
თამდეც კი არ დაგვრჩა (ფული), და რაც გავაჩნდა ღლეგრძელი
მეფის წყალობით, ყველაფერი ეს შემოგვეხარჯა; მაშინ ვალი ავი-
ღეთ, (ამით) ვირჩინეთ თავი და ვიქეცი მათხოვრებად. ხოლო ჩე-
მი ეპარქიიდან ყოველ კვირას მიგზავნიან მოციქულს რათა წავიდე
ჩემს ტახტზე. ასეთი აურაცხელი ზარალი მოგვაყენა (ხანმა), ხო-
ლო შემდეგ დაგვიბრუნა ორი წილი ჩვენი ნივთებისა. და ვერ გავ-
ვიგია ეს ის ნივთებია თუ სხვა, (იმდენად) გაფუჭებულია. ადრე იყ-
ვნენ ვითარცა ვარდნი, ხოლო ახლა არიან ვითარცა ბზე. და ახლა

კვლავ გავიტანეთ ბაზარში გასაყიდათ, და კვლავ ზარალი ვნახეთ, ორი ათასი მანეთისა. მათმა კაცმა წაიღო საუკეთესო ნივთები, ხოლო ფასი მოგვცა თავისი სურვილისამებრ. და მე ახლა გაოგნებული ვარ (და ვფიქრობ), რა პირით წავიდე ჩემს ტახტზე, ან რატომ გვაქვს ვალი ორმოც ათას გროშამდე, სრულიად უმიზეზოდ. და აწ ძმავო და თანამოსამძევ, შენ გევედრები მექმნე მფარველად და უთხრა დღეგრძელ მეფეს გამოაგზავნოს (კაცი) შემახის ხანთან ან შაჰთან, რათა აიღოს ჩვენი ზარალი და რათა აღარასდროს აღარ მოგვექცენ ჩვენ, თქვენს კაცებს, ამგვარად. და რასაც შესძლებს დღეგრძელი მეფე, გამოართვას ჩემთვის, რადგან შორს წვდება მისი ხელი. და გამომიგზავნოს ჩემი დანაკლისი დამასკოში თქვენი ერთგული კაცის საშუალებით, რომელსაც ეცოდინება თურქული და ბერძნული, რათა გადმოგვცეს იგი ფარულად და არავინ იცოდეს (ამის შესახებ) ჩემს გარდა, რამეთუ მრავლად არიან ბოროტმოქმედნი ჩვენს მხარეში. და თუ გაიღებთ ჩვენდამი ამ წყალობას და არ დაგვლუპავთ, დაე ეს (საქმე) თქვენი სულების საცხონებელი იყოს. და კვლავ მოგვანიჭოს დღეგრძელმა მეფემ წყალობა—აიღოს დიდი ეკლესიის ვალი. და თუ მოგვანიჭებთ ამ წყალობას, მთელი ჩემი სიცოცხლე ვილოცებ თქვენთვის, ხოლო თუ არ გაგვიკეთებთ ამას, მთელი ჩემი სიცოცხლე განაწყენებული ვიქნები თქვენზე. ხოლო ვინაიდან თქვენ ასეული წელი ყოველდღიურად უფრო დიდად და უხვად ქველმოქმედებთ, აგრე შეძრწუნებული ვარ, (მოგმართავთ) თქვენი პატრიარქი და დაე შეგლადლოს ჩვენმა ამდენმა ვნებამ, შეურაცხყოფამ, სიავემ. და იცოდე აგრეთვე, რომ ჩემი დიდი გაჭირვების გამო მივეცი ეს თანხმობა და მოვევლინოს წყალობა (პატიება) ჩვენს საყდარს და დაგვიჯერებდეთ ამას.

ვლოცავ და ვაკურთხებ პავლე მიტროპოლიტს, არქიმანდრიტს უფალ იოაკიმს, და მთელს შენს სინოდს ვლოცავ და ვაკურთხებ. ასე რომ, გევედრებით გაგვიკეთოთ (ეს საქმე) და მოგვაწოდოთ ძვირფასი მოწერილობა და იყავ ძლევამოსილი ამ ქვეყნად საუკუნოდ. ამინ.

ივლისი, 22, 1669.

შაკაროს, წყალობითა ღვთისათა მადლისათა პატრიარქი ანტიოქიისა და მთელი აღმოსავლეთისა.

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ГРУЗИИ XVII ВЕКА

(описание Грузии, составленное Павлом Алеппским)

Резюме

В фонде Приказа тайных дел (ф. № 27) Центрального Государственного Архива Древних Актов (ЦГАДА) хранится описание Грузии, составленное в 1667 году Павлом Алеппским, сыном антиохийского патриарха Макария. Павел Алеппский вместе со своим отцом Макарием Антиохийским приезжал в Москву в 1666 г. для участия в церковном соборе, который осудил патриарха Никона. До приезда в Москву Павел Алеппский со своим отцом в течение целого года и девяти месяцев находились в Грузии и путешествовали по стране для сбора пожертвований в пользу антиохийского патриархата. В Грузии они получили приглашение от русского царя Алексея Михайловича принять участие в предстоящем московском соборе. Это приглашение им передал прибывший к ним посланник царя иеродиакон Мелетий, который возвращался из восточных патриаршеств и сопровождал в Москву александрийского патриарха Пайсия, синайского архиепископа Анания и др. После некоторого колебания и вмешательства грузинских властей Макарий Антиохийский дал согласие на поездку в Москву. Грузинские политики надеялись с его и его сына помощью установить негласный контакт с московским правительством. Восточно-грузинские царства — Картли и Кахети в это время находились под политическим господством Ирана и во главе этих царств стояли омусульманившиеся цари из рода Багратионов — Вахтанг V (Шах-Наваз I) — в Картли и Арчил (Шах-Назархан) — в Кахети. Грузинские политики заинтересовались поездкой патриарха Макария и его сына Павла в Москву, так как надеялись с их помощью связаться с Москвой и поставить в известность русского царя о том, что грузинские цари, вынужденные выставлять себя верноподанными шахскому двору, заинтересованы в распространении политического влияния России на Северный Кавказ. Это дало бы им, грузинским царям, возможность получить реальную помощь от России в случае их антииранского выступления.

Прибывшие в Москве Макарий и Павел получили от Приказа тайных дел поручение составить описание Грузии. Приказ тайных дел нуждался в проверке сведений о Грузии, которые собирались в Посольском приказе. Интерес русского правительства к Грузии в это время значительно возрос, в связи с готовившейся войной против Османской державы.

Прожив в Грузии достаточное время, Павел Алеппский и его отец Макарий имели полную возможность ознакомиться с внешним и внутренним политическим и экономическим положением страны. Они могли дать ценные сведения о Грузии. «Описание» составил Павел Алеппский, повидимому, по данному ему вопроснику, но при составлении «Описания» он включил в него и просьбу грузинских политиков и свои личные соображения. «Описание» было составлено на греческом языке и сразу же переведено на русский. В фонде Приказа тайных дел хранится этот перевод.

Павел Алеппский известный автор составленного им на арабском языке обширного описания своего первого путешествия в Москву в 1654—1656 гг. Публикуемое нами его «Описание Грузии» неизвестное до ныне произведение этого автора, содержащее ценные сведения о Грузии 60-х годов XVII века.

На обратном пути Павел Алеппский скончался в г. Тбилиси в 1669 году.

В книге публикуется описание Грузии («О грузинской земле»), составленное Павлом Алеппским, а также некоторые дополнительные материалы; В «Введении» и «Комментариях» устанавливается и уточняется ряд факторов, связанных с пребыванием в Грузии Павла Алеппского и его отца, дается также анализ его сведений и излагается, уточненная и дополненная новыми данными политическая история Грузии того периода. Особое внимание уделяется вопросам грузино-русских отношений.

შინაარსი.

შესავალი	5
ტექსტისათვის	69
О Грузинской земле	70
საკუთარ სახელთა საძიებელი	80
კომენტარები	82
დამატება № 1	96
დამატება № 2	98
Резюме	101

НОДАР ШАЛВОВИЧ АСАТИАНИ
МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ГРУЗИИ XVII ВЕКА
(Описание Грузии, составленное Павлом Алеппским)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ი. ცინცაძე
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
ტექნიკური რედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ნ. მამულაშვილი

გადაეცა წარმოებას 3.5.1973; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.X.73;
ჭალალდის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 6.50; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 5.55; უე 01514; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1324
ფასი 0,53 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН ГССР, Тбилиси, 380060, Кутузова, 19